ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 18 აპრილი 2001 №68 (1341) | ფასი 50 თეთრი


UEFA CHAMPIONS LEAGUE

# ვინ თქვა, არსენა ცოცხალიაო?!

| | |
|---|---|
| დეპორტივო | 2 |
| ლიდსი | 0 |

| | |
|---|---|
| ვალენსია | 1 |
| არსენალი | 0 |

ორი კვირის წინ „ჰაიბერიზე“ ესპანელთა მომგებ ლონდონელთა მწვრთნელ არსენ ვენგერს თავი ყინჩად ეჭირა, აქაოდა, „არსენალი“ ის გუნდია, ჩემპიონთა ლიგის მოგება რომ ძალუძსო. თუმცა, გუშინ „ვალენსიას“ შავი ნორვეგიელის იონ კარეუს გოლმა ვენგერის სურვილს ბოლო მოუღო — „არსენალს“ ჩემპიონთა ლიგის ფინალისკენ მიმავალი გზა გადაუკეტა, „ვალენსიას“ კი „ლიდსთან“ დააჭერინა საქმე. მართალია, დევიდ ოლირის მებრძოლი გუნდი „დეპორტივოსთან“ 0:2 დამარცხდა, მაგრამ ნახევარფინალისტის ბედი პირველ მატჩში „ელანდ როუდზე“ გატანილმა სამმა ლიდსურმა გოლმა გადაწყვიტა.

იხილეთ მეორე გვერდი



დეპორტივო — ლიდსი. იბრძოლა მთელმა გუნდმა, იბრძოლა დონატომაც (მარცხნივ), მაგრამ ალან სმიტი და „ლიდსი“ მაგრად დადგნენ

REUTERS ლა კორუნიიდან

# შელიას უშველია

პირველი ტაიმი: ორი უპასუხო გოლი, გაწევ-გამოწევა და ორმხრივი გაძევება. მეორე ტაიმი: ხელდახელ ჩხუბი და ოდენ ცალმხრივი გაფრთხილება; გოლი, რა გოლი, და კიდევ, ავტოგოლი! ასეთი იყო ფრედ, 2:2 დასრულებული „ლოკომოტივ“ — „დინამოს“ მთავარი მოვლენები. ამ შედეგით და კიდევ ფოთში იოლი მოგებით ჩემპიონმა ისარგებლა: „ტორპედომ“ ექს-ჩემპიონს მეორე ეტაპზე პირველად გადაასწრო და შაბათს „ლოკომოტივისვე“ მომლოდინემ ლიდერთან სხვაობა ორ ქულამდე შეამცირა. საბედისწერო გოლი საკუთარ კარში ნაკრების ყოფილმა და აწ რკინიგზელთა ცენტრალურმა მცველმა, 32 წლის მურთაზ შელიამ გაიტანა: „დინამოსთვის“ და უფრო ჩემპიონისთვის შელიას უშველია.

იხილეთ მესამე-მეოთხე გვერდები

ბადრი ქეთილაძის ფოტო



გუშინ ვაკეში: „ლოკომოტივი“ — „დინამო“ 2:2. ამ ჯარიმისას განმეორებითი დარტყმით სტუმრებმა პირველი საპასუხო გოლი გაიტანეს

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა 12
მეორე ეტაპი

## 4 ტური

### I-VI ადგილები

17 აპრილი, სამშაბათი

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი | 2 |
| დინამო | 2 |
| ვიტ ჯორჯია | 1 |
| მერანი | 0 |
| კოლხეთი | 0 |
| ტორპედო | 1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 33 |
| ტორპედო | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 31 |
| დინამო | 4 | 1 | 3 | 0 | 5:4 | 30 |
| ვიტ ჯორჯია | 4 | 2 | 0 | 2 | 5:4 | 25 |
| კოლხეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:4 | 22 |
| მერანი | 4 | 0 | 2 | 2 | 0:4 | 18 |

### VII-XII ადგილები

17 აპრილი, სამშაბათი

| | |
|---|---|
| იბერია | 0 |
| ბათუმი | 3 |
| დილა | 2 |
| გორდა | 1 |

18 აპრილი, ოთხშაბათი

| | |
|---|---|
| თსუ | |
| სიონი | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბათუმი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:2 | 19 |
| თსუ | 3 | 2 | 0 | 1 | 4:4 | 16 |
| დილა | 4 | 2 | 1 | 1 | 9:4 | 16 |
| გორდა | 4 | 2 | 0 | 2 | 6:5 | 15 |
| სიონი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:6 | 12 |
| იბერია | 4 | 0 | 1 | 3 | 3:14 | 3 |

„გორდა“ — „სიონის“ მონაწილეებს ჩაეთვალათ წაგება 0:3 და ჩამოაკლდათ 3-3 ქულა, „გორდას“ სწორედ გარიგებულ მატჩში (3:2) მოპოვებული

# ფუხელ

ჩემპიონთა ლიგა
მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩები

## დეპორტივო 2:0 ლიდს იუნაიტედი (0:3)

ლა კორუნია. «ესტადიო რიასორი»
35 000 მაყურებელი

1:0 ჯალმინია (83), 2:0 დიეგო ტრისტანი (73)

| | |
|---|---|
| მოლინა, მანუელ პაბლო, დონატო, ნაიბეტი, რომერო, ვიქტორი (დიეგო ტრისტანი 62), მაურო სილვა, ფრანი, ჯალმინია (ვალერონი 69), მაკაი, პანდიანი (ტური ფლორესი 79) | მარტინი, მილსი, ფერდინანდი, მატეო, ჰარტი, დაკური, ბოიერი, ბეტი, კიუელი (ბაკე 77), ვიდუკა, სმიტი |
| მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა | მწვრთნელი: დევიდ ოლირი |

გაფრთხილება: ფერდინანდი, მატეო; მსაჯი: სტეფანო ბრასკი (იტალია)

## ვალენსია 1:0 არსენალი (1:2)

ვალენსია. «მესტალია»
40 000 მაყურებელი

1:0 კარეუ (75)

| | |
|---|---|
| კანიძარესი, ანგლომა, აიალა (დჟუკიჩი 49), პელეგრინო, კარბონი, ბარახა, ვისენტე, მენდიეტა, ანგულო (აიმარი 67), კარეუ, ხუან სანჩესი (ზაჰოვიჩი 73) | სიმენი, დიქსონი, კიოუნი, ადამსი, ეშლი კოული, ლორენი, ვიეირა, პარლოუ (ლიუნგბერგი 46), პირესი (კანუ 77), ანრი, ვილტორდი |
| მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი | მწვრთნელი: არსენ ვენგერი |

გაფრთხილება: კიოუნი, ანგულო, პარლოუ, მენდიეტა; მსაჯი: კიმ მილტონ ნილსენი (დანია)

# ებრაელები ვალს გვიბრუნებენ
## იგივენი ძველებით და ახლებით, ოღონდ უჯანაშიოდ

**საქართველოს** ნაკრები ერთ კვირაში, 24 აპრილს, კვლავ თბილისში ითამაშებს — მეტოქე ამჯერად ისრაელის ეროვნული გუნდი იქნება, მატჩი კი ამხანაგური.

სწორედ 24 აპრილს ეცდება ქართველთა ნაკრები წახდენილი რეპუტაციის ოდნავ აღდგენას მაინც. საამისოდ რევაზ ძოძუაშვილმა და დავით ყიფიანმა, ისევე როგორც რუმინელებთან ოფიციალური მატჩისთვის, თითქმის უძლიერესი შემადგენლობა გამოიძახეს.

ჯერჯერობით მწვრთნელთა სიაში 21 ფეხბურთელია. საბოლოოდ ძოძუაშვილ-ყიფიანის განკარგულებაში 18 დარჩება.

*მეკარეები: ირაკლი ზოიძე (ტორპედო), იოსებ გრიშიკაშვილი (დინამო);*

*მცველები: ზურაბ ხიზანიშვილი (დანდი, შოტლანდია), გელა შეყილაძე (ლიერსი, ბელგია), ალექსანდრე რეხვიაშვილი (სკონტო, ლატვია), რევაზ ქემოკლიძე, ლევან სილაგაძე, სევასტი თოდუა, ვალერი აბრამიძე (ყველა ტორპედო), კახა კალაძე (მილანი, იტალია);*

*ნახევარმცველები: რატი ალექსიძე (ჩელსი, ინგლისი), თემურ ქეცბაია (ვულვერჰემპტონი, ინგლისი), გიორგი ქინქლაძე (დერბი ქაუნთი, ინგლისი), ზურაბ მენთეშაშვილი (სკონტო, ლატვია), გიორგი გახოკიძე (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), ლევან კობიაშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), გოჩა ჯამარაული (ციურიხი, შვეიცარია);*

*თავდამსხმელები: შოთა არველაძე (აიაქსი, ჰოლანდია), არჩილ არველაძე (კიოლნი, გერმანია), ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), გიორგი დემეტრაძე (სოსიედადი, ესპანეთი).*

მწვრთნელებმა ნაკრებში კვლავ უხმეს ბელგიის „ლიერსის" მცველ გელა შეყილაძეს, რომელსაც შარშან, თებერვალში კვიპროსული ტურნირის მერე ნაკრებში თამაში არ ღირსებია და ჰოლანდიის პსვ-ის ათამაშებულ ნახევარმცველ გოგა გახოკიძეს. ნაკრებში იქნება კიევის „დინამოდან" ესპანურ „სოსიედადში" გადაბარგებული გიორგი დემეტრაძეც, რომელსაც დაახლოებით სამი თვე ტრავმის გამო არ უთამაშია. ძოძუაშვილმა და ყიფიანმა ასევე გამოიძახეს ლონდონის „ჩელსის" სარეზერვო გუნდში მოთამაშე რატი ალექსიძე. ნაკრებში დაბრუნდა სოსო გრიშიკაშვილიც, რომელიც რუმინელებთან მატჩის შემდეგ „ბრალდებულ" დავით გვარამაძის ნაცვლად გამოიძახეს. იქნება ერთი დებიუტანტიც — „ტორპედოს" მცველი ვალერი აბრამიძე. ის, მართალია, „კიოლნ" — საქართველოს ნაკრების მატჩისთვისაც იხმეს, მაგრამ მაშინ არ უთამაშია.

დანარჩენებზე კი რა ითქმის... უფრო სწორად, საკითხავი ისაა, ჩამოვლენ თუ არა 24 აპრილისთვის ნაკრების მწვრთნელებზე გულაყრილი ციურიხელი გოჩა ჯამარაული და ფრაიბურგელი ალექსანდრე იაშვილი. ერთიც საკითხავია: რატომ არ გამოიძახეს მწვრთნელებმა ზაზა ჯანაშია?

გუნდის შემადგენლობა გამოაცხადა ისრაელის ნაკრების დანიელმა მწვრთნელმა რიჰარდ მიოლერ-ნილსენმაც. თბილისში ებრაელებიც თითქმის უძლიერესი შემადგენლობით ჩამოვლენ, თუმცა კი შესაძლოა ახლა ტრავმირებული მცველის ოფერ ტალქარის ნაცვლად მიოლერ-ნილსენმა ჰაიფას მაკაბელი ალონ ხარაზი იახლოს, ნახევარმცველ იოსი აბუქსისის შემცვლელად კი ხარაზის თანაგუნდელი ვალიდ ბადირი.

*მეკარეები: ნირ დავიდოვიჩი (მაკაბი, ჰაიფა), შავიტ ელიმელეხი (ჰაპოელი, თელ ავივი);*

*მცველები: არიკ ბენადო (მაკაბი, ჰაიფა), ამირ შელახი, გუდი ბრუმერი, დედი ბენ-დაიანი (ყველა მაკაბი, თელ ავივი), ადორამ კეისი, ალონ ხარაზი (ორივე მაკაბი, ჰაიფა), ოფერ ტალქარი (ჰაპოელი, ჰაიფა), შიმონ გერშონი (ჰაპოელი, თელ ავივი);*

*ნახევარმცველები: ორენ ზეტუნი (ჰაპოელი, ჰაიფა), იოსი აბუქსისი (ბეითარი, იერუსალიმი), ვალიდ ბადირი (მაკაბი, ჰაიფა), ეიალ ბენ-ამი (ჰაპოელი, ფეთაჰ თიკვა), ეიალ ბერკოვიჩი (ბლექბერნ როვერსი, ინგლისი), იოსი ბენაიონი (მაკაბი, ჰაიფა), ჰაიმ რევივო (ფენერბაჰჩე, თურქეთი);*

*თავდამსხმელები: ალონ მიზრახი (ბეითარი, იერუსალიმი), იანივ კატანი (მაკაბი, ჰაიფა)*

მატჩს ქართველები განსჯიან. სერგო კვარაცხელიას ლევან ჩიგოგიძე და კობა გაბრიაძე დაეხმარებიან. სათადარიგო ალექსანდრე შილაკაძე იქნება.

შეგახსენებთ, შარშან, 28 მარტს, ებრაელებმა უმასპინძლეს ქართველებს და მატჩი ფრედ — 1:1 დამთავრდა. ჩვენებურთაგან გოლი გიორგი ქინქლაძემ გაიტანა.

**ძოზბა ინასარიძე**




AP ფოტოქრონიკა

ვალენსია — არსენალი. სილვენ ვილტორდი და ჟოსელინ ანგლომა: ორი ფრანგიდან ერთი, ვალენსიელი ანგლომა ნახევარფინალშია

# ბლატერი გადაიდო

**ფიფას** პრეზიდენტ ზეპ ბლატერის 23 აპრილისთვის დაგეგმილი თბილისური ვიზიტი, რომელიც სულ ორსაათიანი უნდა ყოფილიყო, გაურკვეველი ვადით გადაიდო.

გუშინ ზეპ ბლატერმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას აცნობა, დიდი ბოდიში, მაგრამ 18 აპრილს ციურიხში საგანგებო შეკრებაზე მიმიწვიეს და თბილისში ჩამოსვლას ვერ მოვახერხებო. ფიფას პრეზიდენტმა ასეთივე შინაარსის წერილები გაუგზავნა უზბეკეთის, ყაზახეთისა და აზერბაიჯანის ფეხბურთის მოხელეებსაც.

**ძოზბა ინასარიძე**



REUTERS და ფოტოქრონიკა

დევიდ ოლირი: „ლიდსის" გამზრდელი და გზაზე დამყენებელი

## ინგლისი

XXXIV ტური

**ტოტენჰემი 0:3 ჩელსი**

0:1 ჰასელბაინკი (29), 0:2 პოიეტი (60), 0:3 გუდიონსენი (90)

**ჩარლტონი 3:3 ასტონ ვილა**

1:0 ბოატენგი (16, ა.გ.), 2:0 იენსენი (45), 2:1 ჯინოლა (69), 2:2 ვასელი (76), 3:2 კაისელი (89), 3:3 ჰენდრი (90)

### I დივიზიონი

გადადებული მატჩები

**შეფილდ იუნაიტედი 0:1 უიმბლდონი**

**უოტფორდი 3:2 ვულვერჰემპტონი**

### II დივიზიონი

გადადებული მატჩები

**ბორნმუთი 1:0 სტოკი**

**კემბრიჯი 1:5 მილუოლი**

**კოლჩესტერი 2:2 პიტერბრო**

**ოქსფორდი 0:2 რიდინგი**

**უოლსოლი 3:2 ბრენტფორდი**

## შვედეთი

II ტური

**ჰელსინგბორგი 1:0 იურგორდენი**

## ავსტრია

თასის 1/8 ფინალი

**შტურმი 2:2 (პენ. 3:4) რაპიდი**

**ადმირა მიოდლინგი 2:0 ზალცბურგი**

**პანდური 0:2 ტიროლი**

**კრინტენი 1:0 ბრაუნაუ**


## იყიდეთ!

ძია კლოდის გუნდში კაცები თამაშობენ — გვეუბნება მერაბ რატიშვილი.
სიცოცხლის ფასად რომ დაგვიჯდეს, მსოფლიოს თასზე მაინც გავალთ — გვარწმუნებს ლეონიო, ანუ ქართული რაგბის ვარსკვლავი ლევან ცაბაძე.
ეროვნულზე კი ვირტუალური ჭიდრისწვა გაიმართა — ასე აფასებს ფეხბურთელთა ნაკრების თამაშს სოლომონ გულისაშვილი.
ბევრიც სხვა და მაიკლ ოუენის პლაკატი
და სიახლე:
ფასი მხოლოდ 1 ლარი



საქართველოს ჩემპიონატი 12 — უმაღლესი ლიგა — მეორე ეტაპი

# 4 ტური

თბილისი
17 აპრილი
16 საათი
26 მაისი
15 000 (ტევადობა 35 000)

**ლოკომოტივი 2:2 დინამო**

1:0 გოგიჩაიშვილი (14) 2:0 შენგელია (44) 2:1 მაზიაშვილი (51) 2:2 შელია (69 ს.კ.)
**ლოკომოტივი:** ლომაია, ონიანი, შელია, სალუქვაძე, ცხადაძე, გილაური, ჭიჭვეიშვილი, ანჩაბაძე, დათვაძე (ზ. ლაცაბიძე 46), გოგიჩაიშვილი, გ. შენგელია (პარამონოვი 61, კაიდარაშვილი 86)
სათადარიგონი: ალანაძე, გონგაძე, ბაქრაძე, მანჯგალაძე
**დინამო:** გრიშიკაშვილი, კანდელაკი, შაშიაშვილი, ა. სახვაძე, მაზიაშვილი, გაბიდაური, ბურდული, მანჯგავა, მიკუჩაძე (გ. ვ. მიქაძე 81), იაგორაშვილი, ზირაქიშვილი
სათადარიგონი: გერგედავა, აფციაური, ჩივაძე, ი. შენგელია, თუთარაშვილი, თ. მაისურაძე
**გაფრთხილება:** კანდელაკი (37), გოგიჩაიშვილი (37), გილაური (50), გრიშიკაშვილი (63)
**გაძევება:** სახვაძე (45), ონიანი (45)
**მსაჯები:** ა. შალამბერიძე, კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; პ. დოგრაშვილი (ყველა ქუთაისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ფირცხალავა

## I–VI ადგილები

# ვაკეში, მტვერში...

## გაგება მართლა მთავარია

**მამუკა კვანტალიანი**

**გუშინ** „ლოკომოტივმა" საჩემპიონო ორი ქულა დაკარგა. რკინიგზელებმა პირველ ტაიმში მოპოვებული ორბურთიანი უპირატესობა სტადიონზე მოთარეშე ქარს და „დინამოს" გაატანეს. ქულით გაიმდიდრა მარაგი ათგზის ჩემპიონმა: თავიდან სევდიანი, ბოლოს სიხარულით გაეცალა ვაკის მშვენებარე სტადიონს.

ქომაგმა, მწვრთნელმა და ფეხბურთელმა მტვერი ბლომად ყლაპა. ფეხბურთიც ისეთი იყო, ისე რა... სამაგიეროდ, მრავლად ვიხილეთ გაწევ-გამოწევა და კრივის ილეთები.

„დინამოს" თუ ვინმე დალუპავს, პირველ რიგში თავისი მოთამაშეები. ბოლო დროს სულ კონფლიქტს დაეძებენ დინამოელები. თამაშზე მეტ დროს მეტოქესთან ჩხუბს ანდომებენ გოჩა ტყებუჩავას ბიჭები. ეს კი ერთხელაც სავალალო შედეგით დასრულდება მათთვის.

მატჩი რკინიგზელთა სრული უპირატესობით დაიწყო. სტუმართა სამკაციანი დაცვა მთლად საიმედოდ ვერ ირჯებოდა. დათვაძეს მესამე წუთზევე შეეძლო დინამოელთა დასჯა, მაგრამ დარტყმული გაუცუდდა.

სამ წუთში გოგიჩაიშვილმა კინაღამ გაიტანა. კახამ საჯარიმოში ჩაჰკიდა ბურთი, რომელსაც მომძლავრებულმა ქარმა ტრაექტორია შეუცვალა და... გრიშიკაშვილმა კარი მიატოვა, მერე მოტყუებული ბურთის მიმართულებას გაჰყვა, თუმც მისი დამჭერი მაინც არ იყო და ძელმა იხსნა „დინამო".

მასპინძლებმა გოლი მაინც გაიტანეს. მე-14 წუთზე „ლოკომოტივმა" მეტოქის შეტევა ჩაშალა. კონტრიერიში დათვაძემ წამოიწყო და კარგი პასით გოგიჩაიშვილი გაიყვანა გარღვევაზე. კახამ ერთი მცველი ჩამოიტოვა, ბურთი გაისწორა და დაარტყა. რკინიგზელს დარტყმული მაინცდამაინც ძლიერი არ გამოუვიდა, თუმც გრიშიკაშვილის ნახტომიც არ იყო მთლად უნაკლო. მეკარის ხელიდან ასხლეტილი ბურთი კარში შევარდა.

ეს იყო დინამოელთა მეკარის მეორე შეცდომა საწყის 15 წუთში. მერე და მერე სოსომ კიდევ არაერთხელ შესცოდა. 27-ე წუთზე ყველაფერს გრიშიკაშვილის ტრავმაც დაერთო. საჯარიმოს გარეთ გამოსულმა დათვაძესთან ჭიდილში მუხლი დაიშავა. მეკარის შეცვლა ტყებუჩავამ ვერ გაბედა. გამოუცდელი გერგედავას დაყენებას მოერიდა მწვრთნელი.

ამასობაში „დინამომაც" გამოაჩინა ბრჭყალები. ზირაქიშვილის ჩაწოდების შემდეგ სახვაძემ დაარტყა თავით და ბურთი ლომაიამ მოიგერია კუთხურზე.

მერე ბურდულს გაუცუდდა დარტყმა და „ლოკომოტივმა" მეორე გაიტანა. გოგიჩაიშვილმა საჯარიმოში ჩააწოდა, ბურთი მცველმა ვერ მოიგერია, შელიამ კარის მიმართულებით თავით დაარტყა და შენგელიაც ბურთთან გაჩნდა. მუხლმტკივანი გრიშიკაშვილი მომხვდურთან ვერას გახდა.

მეტოქეებს შორის კამათი მანამდეც იყო, ტაიმის ბოლო წუთზე კი სახვაძე და ონიანი წაეკიდნენ ერთმანეთს და გასაშველებელნი შეიქნენ. აფრიალდა წითელი ბარათი. ორივე გააძევა შალამბერიძემ, თუმც ემოციები მინდვრის გარეთაც გაჰყვათ მოშულარებს და მოფარებულშიც გაიწიეს ერთმანეთისკენ.

არ ვიცი, რატომ გამოცვალა ნოდიამ დათვაძე, ანაც პარამონოვი რაღად შეჰყავდა რკინიგზელთა თავკაცს მოედანზე. ფაქტი კი ერთია, მთლიანობაში „დინამომ" მეორე ტაიმი მოუგო „ლოკომოტივს".

ნაადრევად დაიწყეს ანგარიშის შენარჩუნებაზე ფიქრი მასპინძლებმა. აქედან ის გამოვიდა, რომ 51-ე წუთზე შელიამ არასწორად მოიგერია თავით ბურთი. გილაურმა კი ზირაქიშვილი წააქცია და სახიფათო ჯარიმაც დაინიშნა.

მაზიაშვილმა პირველ ცდაზე ბურთი კედელს მოარტყა, თუმც გადმოვარდნილზე პირველი თავად გაჩნდა და ლომაიასაც აუღებელი დაურტყა.

თამაშის გადარჩენის შანსი „დინამოს" ნაადრევად გაუჩნდა [illegible] ვილმაც, რომელმაც გოგიჩაიშვილის გარჯა სტუმართა საკეთილდღეოდ წყალს გაატანა, ის შანსი გააორმაგა.

„დინამოს" უპირატესობა აშკარა კი იყო, მაგრამ საგოლედ ვერ ემუქრებოდნენ ათგზის ჩემპიონები ჩემპიონობის მაძიებლებს. 69-ე წუთამდეც მშვიდად იგერიებდა „ლოკომოტივი" „დინამოს" შეტევებს. მერე კი ლომაიამ შელიას დაუძახა, ბურთი ჩემიაო, შელიამ ალბათ ვერ გაიგო მეკარის შეძახილი, ბურთს ფეხი მოუქნია და საკუთარ კარში ჩაჭრა.

მანამდე კი გილაურმა და გრიშიკაშვილმა მუშტი-კრივის გაჩაღებაც მოასწრეს. 63-ე წუთზე ანჩაბაძემ საგოლე პოზიციაზე გაიყვანა გილაური. აქვსენტიმ ბურთი ვერ დაიმორჩილა და ვარდნაში წასული გრიშიკაშვილს შეასკდა. წაქცეულებმა ერთმანეთი დაწიხლეს. კრივში კი მეკარე უფრო მაგარი გამოდგა. შალამბერიძემ ორივე დაინდო, დინამოელი გააყვითლა მხოლოდ, არადა, წითელი ბარათი ორივეზე უპრიანი იქნებოდა.

მსაჯსაც ჰქონდა შეცდომები, აბა, ისე როგორ იქნებოდა. როგორი თამაშიც იყო, მსაჯობაც ისეთივე გამოვიდა.

ბოლოს „დინამოს" ორჯერ შეეძლო გატანა. ჯერ ბურდულის ძლიერად დარტყმული და ცხრიანში მფრინავი ბურთი კუთხურზე მოიგერია ლომაიამ, მერე მიქაძემ ყველაფერი გააკეთა გოლის გასატანად, ბურთი კარგად მიიღო საჯარიმოსთან, მცველებიც უკან ჩამოიტოვა, მაგრამ ნაავადმყოფარს მუხლები მოეკეცა.

„დინამომ" არ წააგო, თუმც ერთი საფეხურით მაინც ქვევით ჩაინაცვლა, ხოლო „ლოკომოტივი" ჯერაც პირველია.



გუშინდელი „ლოკომოტივ" — „დინამოს" დაძაბულობის კულმინაცია: ამ შეტაკებისას წაქიდებული აქვსენტი გილაური (№11) და იოსებ გრიშიკაშვილი (№1), მიხეილ მაზიაშვილმაც ვერ გააშველა

ფოთი
17 აპრილი
16 საათი
ფაზისი
4 000 (ტევადობა 6 000)

**კოლხეთი 0:1 ტორპედო**

0:1 ბობოხიძე (34)
**კოლხეთი:** ქვაჩახია, გოროზია, ტორჩინავა (ჭანტურიძე 63), ქობულაძე, კვირკველია, ვართაგავა, შალამბერიძე (ნარსია 56), ფანჩულიძე, ლალანიძე, ხუჭუა (ყურაშვილი 46), ე. გვასალია
სათადარიგონი: ჩემია, ქუნთელია, შავგულიძე, მუმლაძე
**ტორპედო:** ზოიძე, ქემოკლიძე (მახვილაძე 66), სილაგაძე, აბრამიძე, თოდუა, გუჩუა, დიდავა, კვეტენაძე, იონანიძე, მ. ბობოხიძე (აშვეთია 50), იმედაძე (გვირჯიშვილი 88)
სათადარიგონი: ტოგონიძე, ჩხეტიანი, თავბერიძე, ვაშაკიძე
**გაფრთხილება:** ფანჩულიძე 37), გოროზია (85)
**მსაჯები:** ა. მეშკოვი; მ. ელიკაშვილი, ზ. მერთეშაშვილი (სამივე თბილისი), დ. სანაია (სოხუმი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ო. გუნთაძე

# თბილისელებისთვის წართმეული ფოთელებმა ქუთაისელებს გაატანეს

**გოჩა ჯანაშია ფოთიდან**

**საჩემპიონო** ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შედის. „ტორპედოს" რომ „ფაზისზე" ქულები დაეკარგა, უკვე მეტისმეტი იქნებოდა და ჩემპიონმაც არაფერი დათმო. მოტივაციაც კოლხებზე გაცილებით მეტი ჰქონდა და პირწმინდად დაჩაგრა კიდეც ისინი.

ორი თბილისური კლუბის — „ლოკომოტივის" და „ვიტ ჯორჯიას" დამარცხების შემდეგ, „კოლხეთს" გასამება იმერლებთან შეეძლო, მაგრამ...

მატჩის დასაწყისი თითქოს თანაბარი ბრძოლის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო. სწრაფ ტემპში დაწყებულ მატჩში ხიფათი უკვე მერვე წუთზე შეიქმნა, როცა ფანჩულიძის ფლანგურ გარღვევას გვასალიამ ფეხი დაუხვედრა, თუმცა ბურთი სტუმართა მცველის ფეხიდან კუთხურზე გადავიდა. იქედან ჩაწოდებულზე საჯარიმოს წინა ხაზიდან ლალანიძემ შეუჩერებლად დაარტყა და ზოიძის ბედად ბურთი ოდნავ ასცდა კარს.

ამასობაში „ტორპედომ" თამაში დაალაგა და იქედან მოყოლებული მყარად იგდო ხელთ მატჩის სადავეები. მოედნის ცენტრში აქტიური თამაშის წყალობით, სტუმრებმა კოლხთა კარისკენ გაიწიეს, სადაც იონანიძე-ბობოხიძე-იმედაძის ტრიო მცველებს ბევრ თავსატეხს უჩენდა.

მალე ხიფათიც შეიქმნა „კოლხეთის" კართან. ტაიმის შუისთვის ჯერ იონანიძემ დაკარგა ჩინებული შანსი, როცა ახლოდან დარტყმული ბურთი მაინცდამაინც ქობულაძეს დაუმიზნა. ერთ წუთში კი კვეტენაძეს ოდნავ უმტყუნა მიზანმა და საჯარიმოს მარჯვენა კიდიდან დარტყმული კარს ააცილა.

სტუმართა უპირატესობა თვალსა და ხელს შუა მატულობდა და ამის ლოგიკური გაგრძელება გოლი გამოდგა. 34-ე წუთი იყო, როცა ბობოხიძემ კორპუსით უნარიანად დაამუშავა ბურთი, შემოტრიალებულმა მეურვეც იოლად ჩამოიცილა და ქვაჩახიასაც აუღებელი დაურტყა.

ბობოხიძეს ორ წუთში მეორედაც შეეძლო გატანა, მაგრამ იმედაძის კარის გასწვრივ ჩაწოდებულზე ოდნავ შეაგვიანდა, თორემ გოლი გარდაუვალი იყო. კოლხები ამ დროს დაბნეულები ჩანდნენ და უამრავ შეცდომას უშვებდნენ. „ტორპედოს" კი ყველაფერი გამოსდიოდა და ტაიმის ბოლოს მორიგი ლამაზი შეტევა იმავე ბობოხიძემ კინაღამ გოლით დაასრულა.

თამაშის განახლების შემდეგ „კოლხეთი" გაცილებით მობილიზებული იყო, მაგრამ რად გინდა — ქაოტური შეტევებით სტუმართა საიმედო უკანა ხაზს ვერაფერი დააკლო. ერთი თვალსასეირო შანსიც კი არ შეგვიმჩნევია ზოიძის კართან.

სამაგიეროდ, იმერლებს კარის დაცვასთან ერთად სწრაფი კონტრშეტევებიც კარგად გამოსდიოდათ და ორჯერ გატანაც მართებდათ. ჯერ იყო და იმედაძის მოხდენილი დარტყმა ხარიხამ აისხლიტა, ხოლო მოგვიანებით მისივე ჩინებული პასით ტრავმირებული ბობოხიძის ნაცვლად შესულ აშვეთიას მიეცა გატანის დიდებული შანსი. მიხომ პირისპირ შეყრილი მეკარე კი ჩამოიცილა, მაგრამ კუთხე შეუმცირდა და ბურთი ხარიხას გადააშორა.

კოლხებს შეტევაში ისედაც პრობლემები ჰქონდათ და იძულებითმა შეცვლებმა სულ აურიათ გეგმები. უკბილო შეტევებს კი შედეგი არ მოჰყვა და ჩემპიონმა მატჩი უპრობლემოდ დაასრულა. თანაც „ლოკომოტივი" — „დინამოს" ფრეც შეიტყო და ერთიორად გაიხარა.

სტუმართაგან ყველა ფეხბურთელი ჯეროვნად გაისარჯა, მაგრამ მაინც იმედაძეს გამოვარჩევთ. ამ ბიჭმა სულ აიკლო მასპინძელთა დაცვა, ეფექტური პასები ხომ ბლომად არიგა და არც ბრძოლისუნარიანობაში შეურცხვენია თავი.

ერთი სიტყვით, ჩანს, „ტორპედომ" კრიზისი დაძლია და საჩემპიონო ბრძოლაშიც დიდი ნაბიჯი გადადგა. „ფაზისური" სამი ქულა ამის მანიშნებელი იყო.

**დავით ყიფიანი:** თბილისური ძნელი მატჩის შემდეგ „კოლხეთი" რომ გადაღლილი იქნებოდა, ეს კარგად ვიცოდით და გამოვიყენეთ კიდეც. წარუმატებელი სტარტის შემდეგ ეს მოგება ფსიქოლოგიურად ძალიან დაგვეხმარება. მით უმეტეს, რომ წინ ურთულესი მატჩი გველის „ლოკომოტივთან".

**სოსო ფილია:** „ტორპედო" რომ ფოთში მოსაგებად ჩამოვიდოდა, ეს ცხადი იყო. ჩვენც გამარჯვება გვსურდა, მაგრამ თავდამსხმელების პრობლემამ ხელ-ფეხი შეგვიკრა. ამით ტაქტიკური სქემაც აგვერია და მხოლოდ ერთი თავდამსხმელით ვერას გავხდით. ისე კი, „ტორპედომ" თამაშში გვაჯობა და დამსახურებულად გაიმარჯვა.

# ოთარ გაბელია ნაცვალსახელებს ანაცვალებს

| |
|---|
| მცხეთა |
| 17 აპრილი |
| 16 საათი |
| არმაზი |
| 800 (ტევადობა 3 000) |

**ვიტ ჯორჯია 1:0 მერანი**

1:0 ნოზაძე (19)
**ვიტ ჯორჯია:** მერლანი, საჯაია, ქანთარია, დოლმელაშვილი, ჯ. მუჯირი, გოგობერიშვილი, ლ. ნოზაძე, ყიფიანი (გოცირიძე 84), გოჩაშვილი (ინწკირველი 61), მელქაძე (გიორგი ქორიძე 61), ადამია
სათადარიგონი: ჭურაძე, ი. ხაჭაპურიძე, დოლიძე, სულთანიშვილი, გოცირიძე
**მერანი:** ნაჭყებია, გუჯაბიძე, დავითნიძე, ცქიფურიშვილი, ჩხაიძე, დევიძე, გოდერძიშვილი, მინაშვილი, ჭინჭარაული (კოშკაძე 60), ქაჯაელიძე, კვეკვესკირი (ხუციშვილი 76)
სათადარიგონი: კოროშინაძე, ქადაგიძე, ილურიძე, კრავეიშვილი, ხუჯაძე
**გაფრთხილება:** გუჯაბიძე (2), დავითნიძე (29)
**გაძევება:** ჩხაიძე (85)
**მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია). ა. კრიჭაშვილი (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

**დავით თავართქილაძე მცხეთიდან**

**დიდი** ვერაფერი გამოდგა ვეტერინართა და ავჭალელთა ბურთაობა — მასპინძელმა სტუმარს აჯობა და გაიმარჯვა.

უკვე მე-2 წუთზე წამოყო თავი მსაჯობის თემამ. მერანელთა ცენტრალურმა მცველმა გოჩა გუჯაბიძემ ზედ საკუთარ საჯარიმოს ხაზთან ვლადიმერ გოჩაშვილს, რომელიც ნაჭყებიასთან პირისპირ გადიოდა, ხელები მხრებში ჩაავლო და მინდორზე წამოაგორა. შეხვედრის არბიტრმა ავთო ორდინაძემ კი მხოლოდ გაფრთხილება აკმარა.

მძლავრობდნენ ვიტელები. თამაში, ფაქტობრივად, მერანელთა ნახევარზე მიმდინარეობდა. ზურგქარიც ეხმარებოდა მასპინძლებს. სტუმართა ცენტრალურ ნახევარმცველებს აშკარად უჭირდათ მეტოქესთან გამკლავება. დიდი ჯაფა დაადგათ „მერანის“ მცველებს და ვერც მათ მოვუწონებთ გარჯას. მეთორმეტე ეროვნულში საკმაოდ ხშირად მომიწია „მერანის“ მატჩებზე დასწრება და ამ გუნდის ასეთი არეული თამაში აქამდე არ მენახა.

პირველი ხიფათი გოგობერიშვილმა შექმნა მეტოქის კართან — გოჩაშვილს პასით ხელსაყრელ პოზიციაში მყოფმა მიზანი ვერ გაასწორა. შემდეგ ყიფიანის ცაცია აღმოჩნდა არაზუსტი. მესამე ცდაზე კი უკვე ზუსტნი გამოდგნენ ვიტელები: გოგობერიშვილმა მარცხენა ფლანგიდან ჩააწოდა, ლაშა ნოზაძემ 7-8 მეტრიდან უნაკლოდ შეასრულა თავური და ძელიდან ასხლეტილი ბურთი ნაჭყებიას კარში აღმოჩნდა.

ფიცხი კაცია ოთარ გაბელია, მაგრამ არაკორექტულობასა და უზრდელობას ვერავინ დასწამებს. გოლიდან ორი წუთი არ იყო გასული, სათადარიგოთა სკამიდან უკმაყოფილობა რომ გამოთქვა მსაჯის ერთ-ერთი გადაწყვეტილების გამო — მოედნის ცენტრში ორდინაძემ ჯარიმა არ დადო „მერანის“ სასარგებლოდ. ამ მატჩზე სფფ-ის ინსპექტორი ანატოლი მილჩენკო გაბელიას მიეჭრა და დაექადნა, ტრიბუნაზე აგიშვებო, მერე სათადარიგო მსაჯმა ალექსანდრე კრიჭაშვილმა ორდინაძეს მოახსენა ყოველივე და ონელმა არბიტრმაც, მილჩენკოს ნებასურვილის თანახმად, გაბელია მოედნიდან გააძევა. ტრიბუნაზე მყოფთ მერანელთა თავკაცისგან ბილწი გინება ნაღდად არ გაგვიგია, „შე ჩემა“ — ამის გამო კი ჩვენს ჩემპიონატში აქამდე არც ფეხბურთელი და არც მწვრთნელი არ გაუძევებიათ.

მეორე ტაიმამდე თვალსასეირო ალარაფერი მომხდარა. შესვენების შემდეგაც მასპინძელთა კარნახით მიმდინარეობდა თამაში. მელქაძის პასით გოჩაშვილს უნდა ეხეირა, მაგრამ ნაჭყებიას ვერ მოუგო დუელი. მერე თვით მელქაძემ გააცუდა შანსი მახვილი კუთხიდან — ბურთი მცირედით ასცდა მიზანს. შემდეგ გიორგი ადამიამ გაიბრწყინა მარცხენა ფლანგზე და კვლავ მელქაძეს მოეცარა ხელი, თუმც ნაჭყებიას ნახტომიც ჩინებული გამოდგა.

მერანელებმა მხოლოდ ამის შემდეგ შეძლეს თამაშის გამოსწორება, მაგრამ არა — ავჭალელები გუშინ ერთ მუშტად შეკრულ გუნდს არ ჰგავდნენ, რამდენიმე ეპიზოდში ერთმანეთსაც კი უწყრებოდნენ „მერანის“ ფეხბურთელები. ერთხელაც თერთმეტმეტრიანს მოითხოვდნენ არბიტრისგან, როცა გოდერძიშვილმა საპირისპირო სვლაზე გამოიჭრა ერთ-ერთი ვიტელი და წაიქცა — კონტაქტი ნამდვილად იყო, თუმც გადაჭრით ვერაფრის მტკიცებას შევუდგებით. ისე კი, ბევრი საგოლე მომენტის გაცუდებისთვის „ვიტ ჯორჯია“ ღირსი იყო საპასუხო ბურთი მიეღო, მაგრამ მეორე ტაიმში ერთხელაც არ შეუწუხებია, მერანელებს მირზა მერლანი.

***ჯანი კარნევალი, „ვიტ ჯორჯიას“ მთავარი მწვრთნელი:***

— პირველი 30 წუთი კარგად ვითამაშეთ, მერე კი გარკვეული პრობლემები შეგვექმნა. ბევრი წუნი გვქონდა გადაცემების შესრულებისას. უხვად შექმნილი საგოლე მომენტებიც ვერ გამოვიყენეთ. თამაშს ქარმაც დაასვა დაღი.

***ოთარ გაბელია, „მერანის“ მთავარი მწვრთნელი:***

— მეტოქეს გამარჯვებას ვულოცავ. „ვიტ ჯორჯიას“ კარნევალის ხელი ეტყობა, მაგრამ ამ კაცმა არ იცის, რა ხდება ჩვენს ფეხბურთში. ვთვლი, რომ მსაჯობა „ვიტ ჯორჯიასთვისაც“ წარმოადგენს პრობლემას. წაგებას არბიტრს არ ვაბრალებ, მაგრამ მსაჯობა უნდა გამოსწორდეს.

— „მერანის“ ექსეულში მოხვედრა ნახევარ ფედერაციას არ უნდოდა, აგრეთვე ზოგიერთ ლიდერსაც. უკვე ზედიზედ მეოთხე მატჩია, „მერანის“ თამაშებზე მილჩენკოა სფფ-ის დელეგატი...

— სხვები მსაჯებს დედას აგინებენ, მაგრამ...

— „დინამოსთან“ მატჩში ჩვენგან მუხინი გააგდეს, დინამოელთაგან იაგორაშვილი. მუხინს ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს, იაგორაშვილს კი ერთმატჩიანი, არადა, ორივემ ფაქტობრივად ერთი და იგივე დანაშაული ჩაიდინა.

— ამ მატჩში ჩხაიძე გააძევეს, დავითნიძესთვის კი ეს მესამე გაფრთხილება იყო. არა მგონია, რომ ყოველივე ეს შემთხვევით მოხდა — მომდევნო ტურში „კოლხეთთან“ შეხვედრისთვის ორივენი დისკვალიფიცირებულნი იქნებიან. არაფერს დავმალავ, სუფთა კაცი ვარ და მინდა რომ ფეხბურთშიც სისუფთავე იყოს.

— ამას წინათ დავით ყიფიანი გააძევეს, ახლა მე. სფფ-ს ამით ალბათ იმის თქმა უნდა, ნახეთ, რას ვმუშაობთო.



ვიტელი ლევან მელქაძე (მარცხნივ) და მერანელი ზაზა ცქიფურიშვილი

---

საქართველოს ჩემპიონატი — უმაღლესი ლიგა — მეორე ეტაპი — 12 — **4 ტური**

## VII–XII ადგილები

# ვისთვის ბედი, ვისთვის ბედიაშვილი

| |
|---|
| გორი |
| 17 აპრილი |
| 16 საათი |
| ცენტრალური |
| 800 (ტევადობა 8 230) |

**დილა 2:1 გორდა**

0:1 მელაძე (31), 1:1 მაისურაძე (34), 2:1 აკოფიანი (79)
**დილა:** ილურიძე, აკოფიანი, რ. ხაჭაპურიძე, ხ. გაგნიძე, ლ. გოჩაშვილი, დ. მაისურაძე (ფეზუაშვილი 82), გ. ჩიტაია, რევაზიშვილი (საყვარელიძე 73), ხორგუაშვილი, ეჯოშვილი (ერაძე 87), თაყაძე
სათადარიგონი: გ. სომხიშვილი; გრიგალაშვილი, ლომიძე, მ. ბურნაძე
**გორდა:** ბედიაშვილი, კედელაშვილი, ა. ბურნაძე, ა. გელაძე, დ. ბერიძე (კიტეიშვილი 80), ბექაური (ლაშა სილაგაძე 67), მელაძე, ჯუღელი (მიშველიძე 59), ჯელაძე, ალადაშვილი, გ. გ. მიქაძე
სათადარიგონი: გუგუნავა; ზ. ლაბაძე, თ. მეტრეველი, ა. ბუკია
**გაფრთხილება:** რევაზიშვილი (41), ჯუღელი (63), მიშველიძე (73), ბერიძე (77), გოჩაშვილი (85), ილურიძე (89), თაყაძე (90)
**მსაჯები:** ა. შილაკაძე; ზ. დოლიძე, ი. ზალამბერიძე; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. კაკულია

**პაატა კვანტალიანი გორიდან**

**მატჩის** პირველი ნახევრის შემხედვარე ვერაფრით იფიქრებდი, რომ „დილა“ შინაურ სარბიელზე თამაშობდა. შილაკაძის სასტვენისთანავე ინიციატივა „გორდამ“ იგდო ხელთ და პრაქტიკულად საკუთარ ნახევარს მიაჯაჭვა გორელები. სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, სამი ქულა უფრო გორელთათვის იყო ფასეული, საამისოდ კი მასპინძლები, ფაქტობრივად, არც ირჯებოდნენ. „გორდა“ გამოზომილად უტევდა და 31-ე წუთზე საწადელსაც მიაღწია. მარჯვენა ფრთაზე შეტევაში ეფექტურად ჩართულმა კედელაშვილმა საჯარიმოში ჩაჰკიდა ბურთი, იქიდან მცველის გამოტანილს შეუჩერებლივ დაჰკრა მელაძემ და ილურიძეს შორეულ მარჯვენა კუთხეში შეუცურა. ვერ ვიტყვი, რომ გოლმა „დილა“ გამოაფხიზლა, პირიქით, წუთის შემდეგ ალადაშვილის სწრაფ გარღვევას მორიგი ხიფათი მოჰყვა „დილას“ კართან. მიუხედავად ამისა, მასპინძლებმა ანგარიში გაქვითეს და ამას მხოლოდ და მხოლოდ ბედიაშვილს უნდა უმადლოდნენ. რუსთაველთა მეკარემ მიხეილ თაყაძის 40 მეტრიდან დარტყმული ბურთი ზედ ცხვირწინ დაუგდო დავით მაისურაძეს, მანაც ვარდნაში თავით თავისიანთა პირველ შეტევა გოლად აქცია. აი, ამ გოლმა კი მართლაც შეასხა ფრთები მასპინძლებს. „დილა“ გამოფხიზლდა და ტაიმის ბოლომდე ანგარიშის გაზრდაც შეეძლო — რევაზიშვილი დარჩა ბედიაშვილთან პირისპირ, მაგრამ ეჯოშვილის პასს სუსტი დარტყმა მოაყოლა.

მეორე ტაიმში უპირატესობა მთლიანად მასპინძლების იყო. მარჯვენა ფლანგზე ერთობ აქტიურობდა მიხეილ თაყაძე, მარცხნივ ეჯოშვილმა, ფაქტობრივად, ყველა ორთაბრძოლა მოიგო, სწორედ მისი ზუსტი გადაცემით იყო, 52-ე წუთზე ხორგუაშვილი მეკარესთან პირისპირ რომ დარჩა, მაგრამ საბოლოო დარტყმა გაუცუდდა.

შეცვლაზე შესულმა ლაშა სილაგაძემ ასე თუ ისე შეძლო თავისიანთა არეული დაცვის ხაზის დალაგება, თამაშიც გათანაბრდა და უფრო ფრესლა თუ იფიქრებდი კაცი, მატჩის მსვლელობიდან გამომდინარე, ეს შედეგი სავსებით ლოგიკური იქნებოდა, მაგრამ გუშინ აშკარად მარცხენა ფეხზე იყო ამდგარი რუსთაველთა მეკარე გრიგოლ ბედიაშვილი. 79-ე წუთზე თაყაძემ კუთხური ჩააწოდა „გორდას“ საჯარიმოში, ბედიაშვილმა შეძლო ამ ბურთის დაჭერა და ის-ის იყო დამშვიდებული რუსთაველები საჯარიმოდან ამოსვლას აპირებდნენ, რომ მეკარეს ბურთის ხელიდან გაუვარდა და ყოველი შემთხვევისთვის ჩასაფრებულ აკოფიანსაც გატანა არ გასჭირვებია — 2:1.

დარჩენილ დროში საბოლოოდ გატეხილი სტუმრები ვერც კიტეიშვილის მოედანზე შესვლამ გამოაფხიზლა, ის კი არა, თითოჯერ თაყაძეს და ხორგუაშვილს შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა.

მატჩის შემგომ პრესკონფერენციაზე კი ქართველი მწვრთნელებისთვის უჩვეულო დიდსულოვნება გამოამჟღავნა სტუმართა თავკაცმა გია გეგუჩაძემ, მიუხედავად საფუძვლიანი მიზეზისა, ნალვლიანად თქვა, კონკრეტული მოთამაშეები არაფერ შუაშია, თამაში გუნდმა წააგო, ამაში ჩემი წილიცაა და პასუხისმგებლობას არ გავურბივარო.

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

# ორი ძელი ერთი გოლია

| |
|---|
| თბილისი |
| 17 აპრილი |
| 16 საათი |
| შევარდენი |
| 300 (ტევადობა 3 000) |

**იბერია 0:3 ბათუმი**

0:1 ყულეჯიშვილი (58), 0:2 მაჭუტაძე (65), 0:3 ყულეჯიშვილი (89)
**იბერია:** ცინაძე, მიქელთაძე, ნინუა, ამისულაშვილი, ჩაჩუა, გ. ნოზაძე, თარგამაძე, კაკაშვილი, ლ. ხმალაძე, ქიაბრიშვილი, გულორდავა (სანიკიძე 46)
სათადარიგონი: კობახიძე, ჟვანია, გაგუა, ხიზანიშვილი
**ბათუმი:** ჭანტურია, მახარაძე, მინდაძე, მჟავანაძე, ვ. გველესიანი, გელა ქორიძე (ჩიჩუა 71), ღლონტი, ყულეჯიშვილი, მაჭუტაძე (აფხაზავა 86), თ. ტულუში (დარჩიძე 82), ა. მუჯირი
სათადარიგონი: ბალაძე, კობიძე, ქავარაძე, ცინარიძე
**გაფრთხილება:** მიქელთაძე (37), მინდაძე (73)
**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ლ. ფანიაშვილი (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** დ. ყიფიანი

**კობა ინასარიძე**

**არ გაახარეს** ბათუმელებმა „იბერია“. ჯერ იყო და პირველ ეტაპზე სამტრედიელებს შინ 3:0 სძლიეს, მეორე წრეში ხუთბურთიანი სხვაობით დაამარცხეს „იბერია“ თბილისში. ახლაც სტუმრად „ბათუმმა“ იმარჯვა — კვლავ დიდი ანგარიშით მოუგო ჩემპიონატის აშკარა აუტსაიდერს.

იმდენად დიდი იყო გუშინ სტუმრების უპირატესობა, სათქმელადაც არ ღირს. თავად განსაჯეთ, „იბერიას“ შესვენებამდე ჭანტურია არ შეუწუხებია, კარისკენ არც დაურტყამს. მხოლოდ ერთხელ იყო, ისიც მატჩის დასაწყისში, როცა თარგამაძე შეიჭრა ბათუმელების საჯარიმოში, მაგრამ დააყოვნა და მინდაძემ ბურთი ფეხებიდან ააცალა.

სტუმრებმა კი ლამის მეტოქის კარის ხარიხა ჩამოილეს — ყულეჯიშვილმა, ღლონტმა ორჯერ და ტულუშმა შეაზანზარეს კარი, მაგრამ გატანა ვერა და ვერ მოახერხეს, თანაც ღლონტი და ყულეჯიშვილი ორიოდ მეტრიდან ურტყამდნენ. ესეც რომ არა, „ბათუმს“ ხუთ-ექვსჯერ კიდევ ჰქონდა გოლის გატანის რეალური შანსი, მაგრამ სიზუსტე აკლდათ და ისე მოხდა, მიუხედავად ამხელა უპირატესობისა, ტაიმი უგოლოდ ჩამთავრდა.

მატჩი შესვენების შემდეგაც ისევე გაგრძელდა, როგორც იქამდე. ეგ იყო, როგორც იქნა, „იბერიამ“ დაარტყა „ბათუმის“ კარისკენ, თუმც იმდენად არაზუსტად, რომ ბურთი ლამის ქუჩაში გადავარდა.

სტუმრებმა კი პირველად 58-ე წუთზე გაიხარეს. მუჯირმა მცველებისგან საჯარიმოში უყურადღებოდ მიტოვებულ ღლონტს გადააწოდა, მანაც იქვე, ერთი შეხებით ბურთი ყულეჯიშვილს დაუგდო და ანგარიშიც გახსნა — ყულეჯიშვილის დარტყმული უნაკლო გამოდგა.

კიდევ სამჯერ შეზანზარდა „იბერიას“ კარი. ისევ ყულეჯიშვილმა, მუჯირმა და მაჭუტაძემ ამჯერადაც ძელს ვერ აარიდეს ბურთი, თუმც კი ვიდრე მეშვიდედ უშველიდა ძელი „იბერიას“, იქამდე „ბათუმმა“ საქმე მოამთავრა. ტულუშის ჩინებული პასი მაჭუტაძემ გამოიყენა. ცინაძესთან მიახლოებულმა ბათუმელმა ერთი მცველი ჩამოიშორა და მეკარეს შორეულ კუთხეში გაუტანა.

საბოლოო წერტილი კი მატჩს ისევ ყულეჯიშვილმა დაუსვა. მისი პირველი დარტყმული მასპინძელთა მეკარემ რომ მოიგერია, ბურთს ისევ მან დაამატა და მატჩიც მალევე დამთავრდა. „ბათუმმა“ მორიგი სამი ქულა მიითვალა და ჩამორჩენილთა ცხრილს ისევ სათავეში მოექცა. „იბერია“ კი... „იბერიას“ სასწაული და თუ დატოვებს უმაღლეს ლიგაში.

## ინგლისი

### XXXIII ტური

**ლივერპული 1:2 ლიდსი**

0:1 ფერდინანდი (4), 0:2 ბოიერი (33), 1:2 ჯერარდი (55)
ლივერპული: ვესტერველდი, ბაბელი, ენრიკი, ჰიპია, კარაგერი, ჯერარდი, ჰამანი (ჰესკი 66), მერფი (შმიცერი 46), ბერგერი (მაკალისტერი 46), ფაულერი, ოუენი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
ლიდსი: მარტინი, ჰარტი, რ. ფერდინანდი, მატეო, მილსი, ბოიერი, დაკური, ბეტი, კიუელი (უილკოქსი 84), ვიდუკა, სმიტი (რობი კინი 87)
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გაფრთხილება: ჯერარდი, ჰამანი, შმიცერი, მილსი
გაძევება: ჯერარდი (70)
44 116 მაყურებელი

**ბრედფორდი 2:0 ჩარლტონი**

1:0 ბლეიქი (73პ), 2:0 კარბონე (79)
ბრედფორდი: გ. უოლში, ჰალე, მიერსი, მოლენაარი, ჯეკობსი, მაკკოლი, უოლი (ნოლანი 90), ჯესი, რ. ბლეიქი (მაკკინლი 80), კარბონე, უორდი
მწვრთნელი: ჯიმ ჯეფერისი
ჩარლტონი: ილიჩი, ფიში, რუფუსი, ტოდი, კონჩესკი, კიშიშევი (იენსენი 68), კინსელა, ჯ. რობინსონი, პარკერი (სალაკო 73), იოჰანსონი, სვენსონი (ბარტლეტი 68)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: უორდი, რუფუსი, კიშიშევი, პარკერი
17 511 მაყურებელი

**არსენალი 0:3 მიდლსბრო**

0:1 ედუ (34ს.კ.), 0:2 სილვინიო (38ს.კ.), 0:3 რიკარდი (58)
არსენალი: სიმენი, დიქსონი, კიოუნი, ადამსი, სილვინიო, პირესი, ვიეირა, ედუ (ვილტორდი 46), ლიუნგბერგი (პარლოუ 75), ანრი, კანუ
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
მიდლსბრო: შვარცერი, გევინი, ეჰიოგუ, ვიკერსი, კარამბეუ, ოკონი, ინსი, უინდასი, გორდონი, ბოკშიჩი (მასტო 90), რიკარდი (სტამპი 79)
მწვრთნელი: ტერი ვენებლზი
გაფრთხილება: ანრი, ოკონი
37 879 მაყურებელი

**ასტონ ვილა 2:1 ევერტონი**

1:0 დაბლინი (2), 1:1 ანსუორთი (21), 2:1 ტეილორი (81)
ასტონ ვილა: ჯეიმსი, დილანი, ა. რაიტი, საუთგეიტი, ალფაი, ტეილორი, ბოატენგი, ლ. ჰენდრი (ჟინოლა 69), სტოუნი (ვასელი 62), მერსონი, დაბლინი (პაბლო ანხელი 79)
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
ევერტონი: ჟერარი, უოტსონი, პისტონე, ვეირი, ანსუორთი (მური 85), ბოლი, ჯემილი, პემბრიჯი, გრავესენი (ნიარკო 60), ალექსანდერსონი (ტალი 70), კ. კემბელი
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
გაფრთხილება: გრავესენი, პისტონე, ვეირი, ბოლი
31 272 მაყურებელი

**ჩელსი 1:0 საუთჰემპტონი**

1:0 პოიეტი (43)
ჩელსი: კუდიჩინი, ტერი, დესაი, მელხიოტი, ლესო, დალა ბონა, პოიეტი, უაიზი, სტანიჩი (იოკანოვიჩი 46), ჰასელბაინკი, ძოლა
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
საუთჰემპტონი: პ. ჯოუნსი, დოდი, რიჩარდსი, ლუნდეკვამი, ბრიჯი, პეტრესკუ, დრეიპერი (კაჩლული 68), ოკლი (ელ ხალეჯი 79), ტესემი, ბიტი, კ. დევისი (როსლერი 79)
მწვრთნელი:
გაფრთხილება: ტერი, იოკანოვიჩი, მელხიოტი, ბიტი, დრეიპერი, ტესემი
35 136 მაყურებელი

**იფსვიჩი 1:0 ნიუკასლი**

1:0 სტიუარტი (76პ)
იფსვიჩი: რ. რაიტი, უილნისი (ვენუსი 53), მაკგრილი, ჰრეიდარსონი, მაკინი, როიზერი (კლაპამი 77), მეჯილტონი (სკოუკროფტი 67), ჰოლანდი, ჯ. რაიტი, ა. არმსტრონგი, მ. სტიუარტი
მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი
ნიუკასლი: გივენი, უ. ბარტონი, ობრაიენი, ა. ჰიუზი, ე. ქუინი, სოლანო, ლი (ლუა ლუა 81), აკუნია, სპიდი, ამეობი (გალაჰერი 81), კორტი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
გაფრთხილება: გივენი
გაძევება: სოლანო (76)
24 028 მაყურებელი

**ლესტერი 1:2 მანჩესტერ სიტი**

0:1 გოტერი (17), 1:1 აკინბიი (41), 1:2 ვანჩოპე (67)
ლესტერი: ფლაუერსი, როუეტი, მ. ელიოტი, ტაგარტი, იმპი, სევიჯი, ლუისი, მარშალი (დავიდსონი 69), გაპი, გუნლაუგსონი (იდი 70), აკინბიი (ბენჯამინი 87)
მწვრთნელი: პიტერ ტეილორი



სერ ალექს ფერგიუსონი

მანჩესტერ სიტი: ნეში, შარვე (კანჩელსკისი 46), დანი, ჰაუი, გრენვილი, ჯეფ უიტლი, ჰაალანდი, ვიკენსი (გრანტი 61), კენედი, ვანჩოპე, გოტერი (პრიორი 71)
მწვრთნელი: ჯო როილი
გაფრთხილება: როუეტი, ტაგარტი, დანი, გრანტი, ვანჩოპე
20 224 მაყურებელი

**მანჩესტერი 4:2 ქოვენთრი**

0:1 ჰარტსონი (10), 1:1, 2:1 იორკი (12, 27), 2:2 ჰარტსონი (33), 3:2 გიგზი (81), 4:2 სქოულზი (87)
მანჩესტერი: გორამი (ვან დერ გოუ 66), გ. ნევილი, უესლი ბრაუნი, სტამი, სილვესტრი, სქოულზი, როი კინი, ბატი (ბექჰემი 70), გიგზი, ენდი კოული (სოლსკიაერი 81), იორკი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ქოვენთრი: კირკლენდი, ბ. ქუინი, ბრინი, შოუ, ჰალი, ბელამი, ისტიჩი (პ. უილიამსი 78), ტელფერი (ჩიპო 63), კარსლი, ტომპსონი, ჰარტსონი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
გაფრთხილება: ბრაუნი, ჰარტსონი, ტომპსონი, ბრინი, უილიამსი
67 637 მაყურებელი

**სანდერლენდი 2:3 ტოტენჰემი**

1:0 კილბეინი (3), 2:0 ქუინი (12), 2:1 კლემენსი (53), 2:2, 2:3 დოჰერტი (75, 88)
სანდერლენდი: სორენსენი, კარტერონი, გრეი, კრადოკი, არკა, ტომე, კილბეინი, შვარცი, ფილიპსი, ნ. ქუინი (დ. უილიამსი 67), ჰატჩისონი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
ტოტენჰემი: სალივანი, კარი, პერი, იანგი, კინგი (გარდნერი 19), ს. დევისი (პერსი 85), ლეონარდსენი (კორსტენი 46), შერვუდი, კლემენსი, რებროვი, დოჰერტი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
გაფრთხილება: არკა, დოჰერტი, იანგი
48 029 მაყურებელი

**ვესტ ჰემი 3:1 დერბი ქაუნთი**

1:0 კანი (5), 2:0 ლამპარდი (7), 3:0 კოული (45), 3:1 გუდიონსონი (83)
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, შტიმაცი, ი. პირსი, სონგი, უინტერბერნი, მონკუ, კარიკი, ჯ. კოული, ლამპარდი, დი კანიო, კანი
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
დერბი ქაუნთი: პოომი, დელაპი, კარბონარი, ვესტი, ჰიგინბოთემი (ლ. მორისი 73), რიგოტი, დ. პაუელი, ს. ჯონსონი, ერანიო (კრისტი 46), ძინძლაძე (გუდიონსონი 79), დ. ბარტონი
მწვრთნელი: ჯიმ სმიტი
გაფრთხილება: ერანიო, ვესტი
25 319 მაყურებელი

### XXXIV ტური

**ქოვენთრი 1:0 სანდერლენდი**

1:0 ჰარტსონი (21)
ქოვენთრი: კირკლენდი, ბ. ქუინი, ბრინი, შოუ, ჰალი, ისტიჩი (ტომპსონი 89), ტელფერი, კარსლი, ბელამი, ჰარტსონი, ბოტროიდი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
სანდერლენდი: სორენსენი, დ. უილიამსი, ტომე, ვარგა, მაკკარტნი, კილბეინი, შვარცი (ნ. ქუინი 69), მაკკენი, არკა (კრადოკი 52), ჰატჩისონი (ტირლველი 69), ფილიპსი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
გაფრთხილება: ბრინი, ისტიჩი, ვარგა, არკა, შვარცი, ტომე, უილიამსი
გაძევება: ვარგა (49)
20 946 მაყურებელი

**დერბი ქაუნთი 2:0 ლესტერი**

1:0 ბოერტიენი (24), 2:0 ერანიო (90)
დერბი ქაუნთი: პოომი, კარბონარი, ვესტი, რიგოტი, დელაპი, ერანიო, დ. პაუელი (გუდიონსონი 30; მაკენი 90), ს. ჯონსონი, ბოერტიენი, ძინძლაძე (კრისტი 75), დ. ბარტონი
მწვრთნელი: ჯიმ სმიტი

# ჩვეულებრივი ამბავი
# მანჩესტერი ჩემპიონია!

ლესტერი: როისი, როუეტი, მ. ელიოტი, დავიდსონი (ე. ოუქსი 72), იმპი, ლუისი, სევიჯი, იდი, გაპი (გუნლაუგსონი 46), აკინბიი, ბენჯამინი (მარშალი 46)
მწვრთნელი: პიტერ ტეილორი
გაფრთხილება: დელაპი, ძინძლაძე, კარბონარი, ბოერტიენი, იდი, ელიოტი
გაძევება: ბარტონი (90)
28 387 მაყურებელი

**ევერტონი 2:3 ლივერპული**

0:1 ჰესკი (5), 1:1 ფერგიუსონი (42), 1:2 ბაბელი (57), 2:2 ანსუორთი (84პ), 2:3 მაკალისტერი (90)
ევერტონი: ჟერარი, ვეირი, გავი (ალექსანდერსონი 73), ბოლი, უოტსონი (პისტონე 61), ანსუორთი, ნავიერი, ნიარკო, ჯემილი, კ. კემბელი, დ. ფერგიუსონი
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
ლივერპული: ვესტერველდი, ბაბელი, ენრიკი, ჰიპია, კარაგერი, შმიცერი, ჰამანი, მაკალისტერი, ბისკანი, ჰესკი, ფაულერი (ვინალი 84)
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: ბოლი, ფერგიუსონი, გავი, ჟერარი, ანსუორთი, ალექსანდერსონი, ბისკანი, ჰამანი, კარაგერი, მაკალისტერი, ენრიკი
გაძევება: ბისკანი (77)
40 260 მაყურებელი

**მიდლსბრო 1:2 იფსვიჩი**

1:0 უინდასი (39), 1:1, 1:2 არმსტრონგი (46, 50)
მიდლსბრო: შვარცერი, გორდონი, ვიკერსი (მასტო 57), ეჰიოგუ, კარამბეუ (სტამპი 58), გევინი, ოკონი, ინსი, რიკარდი, უინდასი (მარინელი 77), ბოკშიჩი
მწვრთნელი: ტერი ვენებლზი
იფსვიჩი: რ. რაიტი, ვენუსი, მაკინი, ბრემბლი, ჰრეიდარსონი, ჯ. რაიტი, ჰოლანდი, მეჯილტონი, როიზერი (კლაპამი 46), ა. არმსტრონგი (ნეილორი 80), მ. სტიუარტი (ბერჩილი 90)
მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი
გაფრთხილება: გევინი, ვენუსი
34 294 მაყურებელი

**ნიუკასლი 2:1 ვესტ ჰემი**

1:0 კორტი (32), 2:0 სოლანო (56პ), 2:1 ლამპარდი (80პ)
ნიუკასლი: გივენი, უ. ბარტონი (კოლდუელი 9), ობრაიენი, დაბიზასი, ე. ქუინი, სოლანო, ბასედასი, ლი (აკუნია 77), სპიდი, კორტი, გალაჰერი (ლუა ლუა 89)
მწვრთნელი: ბობი რობსონი
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, შტიმაცი, სონგი, ი. პირსი, შემელი (დეილი 46), უინტერბერნი, მონკუ (დობავარა 69), ლამპარდი, კარიკი, ჯ. კოული, კანო (ტოდოროვი 22)
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: დეილი
51 107 მაყურებელი

**რაც** ამ სააღდგომო კვირაში ინგლისელებმა ფეხბურთი ითამაშეს, ბევრ სხვას მთელი სეზონი ეყოფოდა, მაგრამ გიჟური ორკვირეული გრძელდება, ვინც საპრემიერლიგო თამაშიდან ისვენებს, ევროთასებზე თამაშობს და ამ კვირაშიც, ინგლისელებისთვის ყოველდღე თამაშია.

შაბათის და ორშაბათის ტურებში ერთი უიღბლო „ლესტერი" იყო. პიტერ ტეილორის თებერვლამდე კარგმა გუნდმა წაგებათა ერთთვიან სერიას ორი სააღდგომო მარცხიც დაუმატა — შინ „სიტისთან", როცა გადამწყვეტი გოლი სიტელმა პაულო ვანჩოპემ ქუსლით გაუტანა და სტუმრად „დერბისთან".

ამასობაში კი გრძელდება „ქოვენთრის" გმირული ბრძოლა პრემიერლიგაში დასარჩენად. ხელალებით ვერავინ იტყვის, რომ „ქოვენთრი" გავარდნილია, „მიდლსბრო" კი ლიგაში რჩება. შაბათ დილით „ქოვენთრიმ" ომი გაუმართა „მანჩესტერ იუნაიტედს" „ოლდ ტრეფორდზე" და მასპინძელთა ლიპიან ბერიკაცს ენდი გორამს გაუტანა და გაუტანა. არავინ იცის, როგორ დამთავრდებოდა ეს მატჩი, ალექს ფერგიუსონს გორამი ვან დერ გოუთი რომ არ შეეცვალა და გიგზს და სქოულზს არ ევაუკაცათ. მანჩესტერში მარცხის მიუხედავად, „ქოვენთრის" თამაში მოგების ტალღაზეა მომართული და თანაც, მებრძოლებს ჰყავთ იმედის კაცი, რომელსაც ყველა თამაშში გააქვს გოლი. ის „უიმბლდონიდან" ნაქირავები ჯონ ჰართსონია. აშარმა ჯონმა ორშაბათს კვლავ გაიტანა და კვლავ გამარჯვებისა, მისმა თავურმა „ქოვენთრის" სამი ქულა, „სანდერლენდს" კი „ლესტერის" მხრადამხარ ყოფნა და სამ დღეში ორი წაგება არგუნა.

შაბათს „სანდერლენდმა" მწარე მარცხი იწვნია გლენ ჰოდლის „ტოტენჰემთან", რომელსაც 2:0 უგებდა და 2:3 კი წააგო.

ეს კიდევ არაფერი, თითქოს „მიდლსბრომ" იმიტომ ჩაატარა სეზონის საუკეთესო თამაში, რომ... ასე კი გამოვიდა და, „ჰაიბერიზე" „არსენალმა" 0:3 წააგო „ბოროსთან". თანაც ორი გოლი თავისი ნანატრი, პასპორტიანი ბრაზილიელების, დებიუტანტ ედუსა და სილვინიოს წყალობით გაუშვა. აგერ ეს თამაში მიმოხილვის თავში უნდა გამოგვეტანა, რადგან „არსენალის" მარცხმა ოფიციალურად გააჩემპიონა „მანჩესტერი", მაგრამ ერთი რომ „მანჩესტერი" ისედაც ჩემპიონია და მეორეც, ამ ამბავს უფრო მომავალ ტურში ველოდით და მიუხედავად ამისა, ჩვეულებრივ ამბად მივიჩნიეთ. მანჩესტერულ ამბავში კი სარეკორდო ის არის, რომ აქამდე არავის მოუგია პრემიერლიგა მის დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე.

„მანჩესტერი" ჩემპიონია, „ბორო" კი „ქოვენთრის" ებრძვის და ორი ქულითღა უსწრებს. ორშაბათს ტერი ვენეიბლზის გუნდმა შინ „იფსვიჩ თაუნთან" წააგო 1:2, თუმცა კი იგებდა „ბრედფორდიდან" გადმობირებულ დინ ვინდასის გოლით, რომელმაც შაბათსაც მიითვალა ერთი გოლი — სწორედ მისი დარტყმული აიჭრა ედუს ფეხიდან და სიმენის კარში შევარდა.

ამ გიჟური დღეების ნამდვილი მშვენება იყო მერსისაიდული დერბი, რომელსაც „ევერტონი" მასპინძლობდა, სტუმარი „ლივერპული" ჩემპიონთა ლიგის საგზურისა და უეფას თასისთვის იბრძვის, „ევერტონი" ლიგაში დასარჩენად. ამ თამაშში იყო ყველაფერი: დაუნიშნავი, აცილებული და საეჭვო პენალტები, თერთმეტი გაფრთხილება, ერთი წითელი და შემტევი, ლალი ფეხბურთი. „ლივერპული" ორჯერ იგებდა, გარდამტეხ წუთს რობი ფაულერმა პენალტი ძელს გაარტყა. უბერებელმა დანკან ფერგიუსონმა გოლიც გაიტანა და პენალტიც მოუპოვა მასპინძლებს, ნაღდი სადერბო ფრეც უნდა აღსრულებულიყო, მაგრამ დაახლოებით 95-ე წუთზე უტეხმა გარი მაკალისტერმა 40 მეტრიდან ჯარიმა ჩააზრიალა, მანამდე ბრწყინვალედ მოთამაშე პოლ ჯერარდის კარში, რომელსაც იმ გნიასში კედლის დაყენება არც უფიქრია და „ლივერპულმა" მოიგო.

„ეს ნიშნავს, რომ ჩვენ უტეხი გუნდი ვართ", თქვა გამარჯვებულთა მენეჯერმა ჟერარ ულიემ. „დასანანია, რომ ასეთ თამაშს აგებ", ასეთი იყო წაგებულთა თავკაცის, უოლტერ სმიტის აზრი.

„მანჩესტერი" კი კვლავ ჩემპიონია — მეშვიდედ ბოლო ცხრა წელიწადში.

**ირაკლი გამყრელიძე**

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მანჩესტერი | 33 | 23 | 7 | 3 | 74:24 | 50 | 76 | 17 | 15 | 1 | 1 | 48:10 | 38 | 46 | 16 | 8 | 6 | 2 | 26:14 | 12 | 30 |
| 2 არსენალი | 33 | 17 | 9 | 7 | 53:32 | 21 | 60 | 17 | 13 | 3 | 1 | 39:11 | 28 | 42 | 16 | 4 | 6 | 6 | 14:21 | -7 | 18 |
| 3 იფსვიჩი | 34 | 18 | 5 | 11 | 51:38 | 13 | 59 | 17 | 9 | 5 | 3 | 27:14 | 13 | 32 | 17 | 9 | 0 | 8 | 24:24 | 0 | 27 |
| 4 ლიდსი | 33 | 16 | 8 | 9 | 50:39 | 11 | 56 | 16 | 8 | 3 | 5 | 25:19 | 6 | 27 | 17 | 8 | 5 | 4 | 25:20 | 5 | 29 |
| 5 ლივერპული | 32 | 15 | 8 | 9 | 55:36 | 19 | 53 | 16 | 11 | 3 | 2 | 32:11 | 21 | 36 | 16 | 4 | 5 | 7 | 23:25 | -2 | 17 |
| 6 ჩელსი | 32 | 14 | 9 | 9 | 59:38 | 21 | 51 | 17 | 12 | 3 | 2 | 42:18 | 24 | 39 | 15 | 2 | 6 | 7 | 17:20 | -3 | 12 |
| 7 სანდერლენდი | 34 | 13 | 10 | 11 | 39:36 | 3 | 49 | 17 | 8 | 6 | 3 | 20:13 | 7 | 30 | 17 | 5 | 4 | 8 | 19:23 | -4 | 19 |
| 8 ასტონ ვილა | 33 | 12 | 12 | 9 | 40:35 | 5 | 48 | 17 | 7 | 7 | 3 | 24:18 | 6 | 28 | 16 | 5 | 5 | 6 | 16:17 | -1 | 20 |
| 9 ტოტენჰემი | 33 | 12 | 9 | 12 | 41:43 | -2 | 45 | 16 | 10 | 5 | 1 | 28:12 | 16 | 35 | 17 | 2 | 4 | 11 | 13:31 | -18 | 10 |
| 10 ჩარლტონი | 33 | 12 | 9 | 12 | 42:46 | -4 | 45 | 16 | 10 | 4 | 2 | 26:11 | 15 | 32 | 17 | 2 | 5 | 10 | 16:35 | -19 | 11 |
| 11 ლესტერი | 34 | 13 | 6 | 15 | 34:42 | -8 | 45 | 17 | 9 | 4 | 4 | 24:18 | 6 | 31 | 17 | 4 | 2 | 11 | 10:24 | -14 | 14 |
| 12 საუთჰემპტონი | 32 | 12 | 8 | 12 | 34:40 | -6 | 44 | 16 | 9 | 2 | 5 | 22:18 | 4 | 29 | 16 | 3 | 6 | 7 | 12:22 | -10 | 15 |
| 13 ნიუკასლი | 32 | 12 | 6 | 14 | 38:45 | -7 | 42 | 15 | 8 | 2 | 5 | 21:16 | 5 | 26 | 17 | 4 | 4 | 9 | 17:29 | -12 | 16 |
| 14 ვესტ ჰემი | 34 | 9 | 12 | 13 | 41:45 | -4 | 39 | 17 | 5 | 6 | 6 | 21:18 | 3 | 21 | 17 | 4 | 6 | 7 | 20:27 | -7 | 18 |
| 15 ევერტონი | 34 | 10 | 8 | 16 | 39:50 | -11 | 38 | 17 | 5 | 7 | 5 | 25:24 | 1 | 22 | 17 | 5 | 1 | 11 | 14:26 | -12 | 16 |
| 16 დერბი ქაუნთი | 34 | 9 | 11 | 14 | 34:54 | -20 | 38 | 17 | 8 | 6 | 3 | 21:21 | 0 | 30 | 17 | 1 | 5 | 11 | 13:33 | -20 | 8 |
| 17 მიდლსბრო | 34 | 7 | 14 | 13 | 38:40 | -2 | 35 | 17 | 3 | 7 | 7 | 16:20 | -4 | 16 | 17 | 4 | 7 | 6 | 22:20 | 2 | 19 |
| 18 ქოვენთრი | 34 | 8 | 9 | 17 | 34:56 | -22 | 33 | 17 | 4 | 6 | 7 | 14:21 | -7 | 18 | 17 | 4 | 3 | 10 | 20:35 | -15 | 15 |
| 19 სიტი | 34 | 7 | 9 | 18 | 37:60 | -23 | 30 | 17 | 3 | 3 | 11 | 18:29 | -11 | 12 | 17 | 4 | 6 | 7 | 19:31 | -12 | 18 |
| 20 ბრედფორდი | 32 | 4 | 9 | 19 | 25:59 | -34 | 21 | 16 | 3 | 6 | 7 | 17:26 | -9 | 15 | 16 | 1 | 3 | 12 | 8:33 | -25 | 6 |

## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მ. სტიუარტი (იფსვიჩი) | 19 |
| ჰასელბაინკი (ჩელსი) | 17 |
| ანრი (არსენალი) | 16 |
| ვიდუკა (ლიდსი) | 15 |
| შერინგემი (მანჩესტერ იუნ.) | 14 |

### XXXV ტური

21 აპრილი

არსენალი — ევერტონი
ასტონ ვილა — საუთჰემპტონი
ბრედფორდი — დერბი
ჩელსი — ჩარლტონი
იფსვიჩი — ქოვენთრი
ლესტერი — მიდლსბრო
მანჩესტერი — სიტი
სანდერლენდი — ნიუკასლი
ვესტ ჰემი — ლიდსი

22 აპრილი

ლივერპული — ტოტენჰემი

## პირველი დივიზიონი

### XLII ტური

**ბოლტონი 2:2 ბირმინგემი**
0:1 ოკონორი (14), 1:1 ბერგსონი (53), 2:1 ჰოლდსუორთი (55), 2:2 მარსელო (57)

**ბარნსლი 1:1 ვესტ ბრომვიჩი**
1:0 ლიტლი (46), 1:1 ტეილორი (84)

**ჯილინგემი 4:1 შეფილდ იუნაიტედი**
1:0 ონუორა (32), 1:1 ნდლოვუ (49), 2:1, 3:1 კინგი (55, 58), 4:1 შოუ (68)

**გრიმსბი 2:1 უოტფორდი**
0:1 მუნი (45), 1:1 ჰენდისაიდი (58), 2:1 კოლდიკოტი (72)

**ჰადერსფილდი 1:2 ფულემი**
0:1 საჰა (66პ), 1:1 ფეისი (78), 1:2 ბოა მორტე (85)

**პორტსმუთი 1:1 ქუინზ პარკი**
1:0 ბრედბერი (2), 1:1 ტომსონი (56)

**პრესტონი 1:1 ნოტინგემი**
1:0 ჰეილი (11), 1:1 ჰიელდი (90)

**შეფილდ უენსდი 4:1 კრისტალ პალასი**
0:1 მორისონი (2), 1:1 ეკოკუ (26), 2:1 დე ბილდე (32), 3:1 სიბონი (45), 4:1 რიპლი (64)

**სტოკპორტი 0:0 ბლექბერნი**

**ტრანმერი 0:1 ნორვიჩი**
0:1 მაკგოვერნი (87)

**უიმბლდონი 1:1 ბარნსლი**
1:0 ეინსვორთი (19), 1:1 შიპერლი (68)

**ვულვერჰემპტონი 0:0 კრიუ**

### XLII ტური

**ბარნსლი 0:4 პრესტონი**
0:1 მაკენი (14), 0:2 ანდერსონი (38), 0:3 მაკკენა (57), 0:4 კროსველი (70)

**ბირმინგემი 0:0 პორტსმუთი**

**ბლექბერნი 2:0 ჰადერსფილდი**
1:0 ფლიტკროფტი (30), 2:0 იანსენი (90)

**კრიუ 2:1 ჯილინგემი**
1:0 ნავარო (9), 1:1 ჰოპი (45), 2:1 ეშტონი (59)

**კრისტალ პალასი 0:2 ბოლტონი**
0:1 მარშალი (12), 0:2 სამერბი (68)

**ფულემი 1:1 შეფილდ უენსდი**
0:1 სოლტვედტი (45), 1:1 დევისი (90)

**ნორვიჩი 2:3 ბარნლი**
1:0 ნოტმენი (13), 1:1 ბოლი (24), 2:1 რობერტსი (38პ), 2:2 ტეილორი (48), 2:3 მური (62)

**ნოტინგემი 1:0 სტოკპორტი**
1:0 ჯონი (25)

**ქუინზ პარკი 2:0 ტრანმერი**
1:0 ტომსონი (14), 2:0 კრუში (63)

**ვესტ ბრომვიჩი 0:1 გრიმსბი**
0:1 კორნუოლი (22)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფულემი | 42 | 29 | 9 | 4 | 86:29 | 96 |
| ბლექბერნი | 41 | 23 | 11 | 7 | 67:36 | 80 |
| ბოლტონი | 41 | 21 | 14 | 6 | 70:42 | 77 |
| ბირმინგემი | 43 | 21 | 8 | 14 | 56:47 | 71 |
| ვესტ ბრომვიჩი | 43 | 20 | 10 | 13 | 56:48 | 70 |
| პრესტონი | 42 | 20 | 9 | 13 | 56:47 | 69 |
| ნოტინგემი | 42 | 20 | 7 | 15 | 52:47 | 67 |
| ბარნლი | 42 | 19 | 8 | 15 | 46:51 | 65 |
| უოტფორდი | 41 | 18 | 8 | 15 | 67:59 | 62 |
| შეფილდ იუნ. | 42 | 17 | 10 | 15 | 48:47 | 61 |
| უიმბლდონი | 40 | 15 | 14 | 11 | 63:44 | 59 |
| ბარნსლი | 43 | 15 | 9 | 19 | 48:56 | 54 |
| ჯილინგემი | 42 | 12 | 15 | 15 | 58:60 | 51 |
| ვულვზი | 40 | 13 | 11 | 16 | 40:40 | 50 |
| კრიუ | 41 | 14 | 8 | 19 | 41:52 | 50 |
| ნორვიჩი | 43 | 13 | 11 | 19 | 45:57 | 50 |
| გრიმსბი | 42 | 13 | 10 | 19 | 41:56 | 49 |
| უენსდი | 42 | 13 | 7 | 22 | 49:69 | 46 |
| პორტსმუთი | 42 | 9 | 18 | 15 | 40:51 | 45 |
| სტოკპორტი | 43 | 9 | 18 | 16 | 52:64 | 45 |
| ჰადერსფილდი | 42 | 10 | 13 | 19 | 43:52 | 43 |
| კრ. პალასი | 42 | 10 | 12 | 20 | 51:65 | 42 |
| ქუინზ პარკი | 43 | 7 | 18 | 18 | 43:69 | 39 |
| ტრანმერი | 42 | 9 | 8 | 25 | 41:71 | 35 |

## მეორე დივიზიონი

42-ე ტური: ბრენტფორდი — პორტველი 1:1; როვერსი — კოლჩესტერი 2:0; ლუთონი — ოლდემი 0:0; მილუოლი — სუინდონი 1:0; ნოთსი — ბორნმუთი 0:2; პიტერბრო — ბრისტოლი 2:1; რედინგი — ბერი 4:1; სტოკი — უოლსოლი 0:0; სუონსი — როტერჰემი 0:0; უიგანი — ოქსფორდი 3:2; უიკომბი — რექსჰემი 1:1; ნორთჰემპტონი — კემბრიჯი 0:2.
43-ე ტური: ბრისტოლი — უიკომბი 1:2; ბერი — უიგანი 0:1; ოლდემი — როვერსი 1:0; პორტველი — სუონსი 1:0; როტერჰემი — ნორთჰემპტონი 1:0; სუინდონი — ნოტსი 1:2; რექსჰემი — ლუთონი 3:1

## მესამე დივიზიონი

42-ე ტური: კარლაისლი — ბლექპული 1:0; ჩელტენემი — ლინკოლნი 2:1; დარლინგტონი — კარდიფი 2:0; ექსეტერი — საუთენდი 2:2; ჰარტლპული — ჰალი 0:1; მაკლსფილდი — როჩდეილი 0:0; მენსფილდი — ტორკი 0:0; პლიმუთი — ბრაიტონი 0:2; შრიუსბერი — სკანთორპი 0:2; იორკი — ჰალიფაქსი 2:1
43-ე ტური: ბლექპული — ჩელტენემი 2:2; ჰალი — იორკი 0:0; კიდერმინსტერი — პლიმუთი 3:0; ლეიტონი — ჰარტლპული 3:1; ლინკოლნი — ბარნეტი 2:1; როჩდეილი — ექსეტერი 3:0; სკანთორპი — კარლაისლი 3:0; ტორკი — შრიუსბერი 0:0; ბრაიტონი — დარლინგტონი 2:0; ბარნეტი — ლეიტონი 1:2. საუთენდი — მანსფილდი ჩაიშალა (იხილეთ 10 გვერდი)

## გერმანია

### XXIX ტური

**ლევერკუზენი 1:3 ფრაიბურგი**

0:1 შუმანი (11), 1:1 ზე რობერტო (51), 1:2 ბაია (81), 1:3 ბუტი (89)
ლევერკუზენი: იურიჩი, ლუსიო, ნოვოტნი, ჟივკოვიჩი, რამელო, ვრანიეში, ბალაკი (რინკი 58), ზე რობერტო, ბ. შნაიდერი (ოჯიგვე 77), ნოივილი, კირსტენი
მწვრთნელი: ბერტი ფოგტსი
ფრაიბურგი: გოლცი, შუმანი, კობიაშვილი, კოლი (რამდანე 67), კელი, ა. ცაიერი, ზანდი, კულიბალი (ბაია 67), ვ. ბუტი, სელიმი (დიარა 86), იაშვილი
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
გაფრთხილება: ნოვოტნი, რამელო, კელი
22 500 მაყურებელი

**ჰამბურგი 1:1 კიოლნი**

0:1 ბარანეკი (20), 1:1 ბარბარესი (76)
ბუტმა ვერ გაიტანა პენალტი (53, მეკარე)
ბარბარესმა ვერ გაიტანა პენალტი (71, ძელი)
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, იუჟფალუში, ჰოოგმა (ბესტერი 89), პანადიჩი, ჰოლერბახი, გროთი, ნ. კოვაჩი, ბარბარესი, მაჰდავიკია, ჰაინცი, მეიერი
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
კიოლნი: პრიოლი, სიხონე, ბულაიჩი, ქივიორი, ვოიგტი, შპრინგერი, ბარანეკი, ლოტნერი (ჩიკონი 89), შერცი, კროიცი (დონკოვი 90), ტიმი (კურტი 90)
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
გაფრთხილება: მეიერი, ჰოლერბახი, კოვაჩი, ბარბარესი, ჰაინცი, სიხონე, ვოიგტი, პრიოლი, ქივიორი, შერცი, ბარანეკი
გაძევება: ბარანეკი (85)
50 029 მაყურებელი

**უნტერჰახინგი 1:1 ჰანზა**

1:0 აპინფუფი (53), 1:1 მაიაკი (75)
უნტერჰახინგი: ტრემელი, შტრემელი, გრასოვი, ზაიფერტი, ჰაბერი (გარსია 90), ციმერმანი, შვარცი (ჩიჟეკი 58), ჰირში, ობერლაიტნერი, ბუგერა (აპინფუფი 46), ბრაიტენრაიტერი
მწვრთნელი: გიუნტერ ლორანც კოსტნერი
ჰანზა: პიკენჰაგენი, ბენკენი (მაიაკი 67), იაკობსონი, ოსვალდი, ლანცი, ვიბრანი, შნოიდერი (ცალმანი 46), რიდლევიჩი, ბაუმგარტი (ბრანდი 67), არვიდსონი, სალუ
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
გაფრთილება: ჰაბერი, აპინფუფი
10 000 მაყურებელი

**ჰერტა 1:0 დორტმუნდი**

1:0 რემერი (65)
ჰერტა: კირალი, ვან ბურიკი, სვერისონი, კონსტანტინიდისი, შმიდტი, რემერი, დარდაი, ჰარტმანი, დაისლერი (მაასი 82), ალვეში (სიმუნიჩი 72), დაეი
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
დორტმუნდი: ლემანი, ვიორნსი (კაპეტანოვიჩი 54), კოლერი, ოლისე (რეინა 68), ჰაინრიხი, მეცელდერი (სტევიჩი 76), დედე, რიკენი, ადო, როსიცკი, ბობიჩი
მწვრთნელი: მათიას ზამერი
გაფრთხილება: კონსტანტინიდისი, დაისლერი, ბობიჩი, კაპეტანოვიჩი, დარდაი
გაძევება: დარდაი (74)
54 429 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 0:1 მიუნხენი**

0:1 ბიროფკა (31)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, კრიგერი, ჰენგენი, შნური, ბკონორი, გრაინერი, სებესკენი, ვაისერი, მუნტიანუ (ს. მიულერი 46), იუსკოვიაკი, აკპობორი (ტ. მარიჩი 46; რიშე 66)
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
მიუნხენი: იენჩი, ზელიჩი, ტ. ჰოფმანი, პფუდერერი, რისეტი, ბორიმიროვი, მიუკლანდი, ბიროფკა (ტაპალოვიჩი 72), ჰესლერი (ტისი 90), შროტი, მაქსი
მწვრთნელი: ვერნერ ლორანტი
გაფრთხილება: ჰოფმანი
13 639 მაყურებელი

**ბაიერნი 1:3 შალკე**

1:0 იანკერი (3), 1:1, 1:2, 1:3 სანდი (14, 48, 76)
ბაიერნი: კანი, სანიოლი, ანდერსონი (ჰარგრივსი 69), კუფური, ტარნატი, სალიჰამიჯიჩი, იერემისი, შოლი, პაულო სერჯიო (ციკლერი 69), იანკერი, სანტა კრუზი (ვისინგერი 81)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
შალკე: რეკი, ჰაიტო, ვალდოხი, ნემეცი, ვან ჰუგდალემი, ბიუსკენსი, ასამოა (ლატალი 89), ბიომე, მიოლერი, სანდი, მპენზა
მწვრთნელი ჰუბ სტივენსი
გაფრთხილება: სანიოლი, კუფური, იერემისი, სალიჰამიჯიჩი, მიოლერი, ვალდოხი
63 000 მაყურებელი

# შალკეს დამრტყმელები
## ებე ოცგოლაური და ემილ წილოსანი



ბაიერნი — შალკე. ებე სანდმა ოლივერ კანი და „ბაიერნი“ სამჯერ წააქცია

REUTERS მიუნხენიდან

**ლაუტერნი 4:2 აინტრახტი**

1:0 ლოკვენცი (1), 1:1 გუიე-მიენი (21), 1:2 კრიჟალოვიჩი (36), 2:2 ბასლერი (50პ), 3:2 ლოკვენცი (62), 4:2 კლოზე (89)
კაიზერსლაუტერნი: ვაიდენფელერი, რამზი, კლოსი (შიონბერგი 46), ბასლერი, შტრასერი, ბიელიცა (ჯორკაეფი 46), ხრისტოვი, რატინიო, დომინგუში (რაიხი 57), კლოზე, ლოკვენცი
მწვრთნელი: ანდრეას ბრემე
აინტრახტი: ჰაინენი, რადა (სობოტზიკი 79), კრასტი, ბინდევალდი, ვიმერი, ბრანკო, მუტცელი, პრეისი, ჰელდტი, გუიე-მიენი (რ. შმიდტი 87), კრიჟალოვიჩი
მწვრთნელი: ფრიდელ რაუში
გაფრთხილება: დომინგუში, შტრასერი, რატინიო, ბასლერი, მუტცელი
41 500 მაყურებელი

**ბოხუმი 1:2 ვერდერი**

0:1 პიზარო (38), 1:1 რაისი (62), 1:2 ვერლაატი (74)
ბოხუმი: ვან დუინოვენი, ტოპლაკი (მეშელი 73), რაისი, შრიოდერი, მანდრეკო, კოლდინგი, შინდცილორცი (ფარენჰორსტი 89), სკრაიფერი (მ. მარიჩი 46), ფრაიერი, ბასტურკი, კრისტიანსენი
მწვრთნელი: როლფ შაფშტალი
ვერდერი: როსტი, ფ. ბაუმანი, ვერლაატი, კრსტაიჩი, ტიკუზუ, აილტსი, ფ. ერნსტი, სტალტერი (სკრიპნიკი 84), ა. ჰერცოგი, პიზარო, აილტონი (ბანოვიჩი 71)
მწვრთნელი: თომას შაფი
გაფრთხილება: შრიოდერი, კოლდინგი, მანდრეკო, ვერლაატი, კრსტაიჩი
21 974 მაყურებელი

**შტუტგარტი 1:0 კოტბუსი**

1:0 ბალაკოვი (72პ)
შტუტგარტი: ტ. ერნსტი, მარკეში, სოლდო (მინჯელი 22), ვენცელი, ტოდტი, ტიამი, ბალაკოვი, ლისტეში, ზაიცი (ტაიფერტი 46), განია (კარნელი 84), დუნდი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
კოტბუსი: პიპლიცა, ვატა, პუჯოროვიჩი, მატიუში, რეჯეკამპფი, სკერბე (ს. ილიე 82), აკრაპოვიჩი, კობილანსკი (ვაგრიჩეკი 75), ლატუნდი, ლაბაკი (რიოდლუნდი 77), ჰელბიგი
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
გაფრთხილება: მარკეში, კარნელი, მინჯელი, კობილანსკი, ჰელბიგი, პიპლიცა, ვატა
40 000 მაყურებელი

**„შალკე“** ჩემპიონობის უპირველესი ფავორიტია, ასე თუ გააგრძელა, გერმანიას დამსახურებული ჩემპიონი ეყოლება“ — ეს სიტყვები „ბაიერნის“ მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა შაბათს სალამოს თქვა. ჰქონდა კიდეც ამის საფუძველი, გელზერკირხენელებმა მისი გუნდი „ოლიმპიაშტადიონზე“ წამოაქციეს და ეს ბოლო 18 წელიწადში პირველად შეძლეს.

დღეს თუ ბუნდესლიგის ჩემპიონობა ვინმეს ეკუთვნის, უდავოდ „შალკეს“. ეს გუნდი აშკარად სჯობს დანარჩენ ხუთ პრეტენდენტს, ბოლო სამი შეხვედრა გაიხსენეთ და ყველაფერი ცხადი გახდება — 3:0 სტუმრად „ლევერკუზენთან“, 5:1 შინ „კაიზერსლაუტერნთან“ და ახლა 3:1 „ბაიერნთან“.

რა ფორმულა აქვს ასეთი ჰოლანდიელ ჰუუბ სტევენსს? აინტერესებთ გერმანელებს, ფორმულა მარტივია — დანიელი ებე სანდი და ბელგიელი ემილ მპენზა, ორი თავდამსხმელი, რომლებმაც წლეულს ბუნდესლიგის საუკეთესო კლუბები დააწიოკეს. სანდმა ამ სეზონში ოცი გოლი გაიტანა და 11-ჯერ ასისტენტობა სწორედ მპენზამ გაუწია... მიუნხენში ასეთი რამ სამჯერ მოხდა და „შალკემაც“ 3:1 მოიგო, მერე რა, რომ მასპინძლებს დისკვალიფიცირებული ეფენბერგი, ელბერი, ლიზარაზუ და ლინკე აკლდათ.

„რომ ყოფილიყვნენ, მაინც მოვიგებდით“ — აღნიშნა ჰეთ თრიქის შემსრულებელმა სანდმა ნამატჩევს, რომელმაც ამ შეხვედრაში სულ ოთხჯერ დაურტყა კანს და სამჯერ გაუტანა.

თამაშის დაწყებიდან სამი წუთიც არ გასულიყო, რომ იერემისმა იანკერი მოძებნა, ამან კი რეკს აუღებელი დაურტყა - 1:0 — თამაში ისე დაიწყო, როგორც ელოდნენ, „ბაიერნმა“ შეუტია და შედეგიც მალე მოიმკო. მაგრამ მერე მინდორზე „შალკე“ გაბატონდა, გელზენკირხენელებმა მეტოქეს გზები გადაუკეტეს და სახიფათო მომენტი სულ სამჯერ შეაქმნევინეს, ორჯერ იერემისმა შორიდან ძელს გაარტყა, ერთხელაც სანტა კრუზის დარტყმული მცველებმა კარის ხაზიდან გამოიტანეს. მიუნხენელთა დაცვას კი დიდი ჯაფა დაადგა და ვერაფერს გახდა. ვერც კანმა გადაარჩინა გუნდი, „ბაიერნიც“ წლეულს უკვე მეცხრედ(!) დამარცხდა და პირველობაც „შალკეს“ გადაულოცა. დროებით თუ არა, ამას მომავალი გვიჩვენებს.

„წაეთრიე ბერტი“ — გაჰყვიროდნენ თავიანთი გუნდის თამაშით უკმაყოფილო ქომაგები ლევერკუზენში, სადაც შაბათს ქართველთა „ფრაიბურგი“ იყო ჩასული. სტუმრებმა მოულოდნელად 3:1 მოუგეს ჩემპიონობის მაძიებელ მასპინძლებს. იაშვილი ერთ-ერთი საუკეთესო იყო თავის გუნდში, პირველ გოლშიც უდიდესი წვლილი შეიტანა, არც დაცვის ცენტრში გამწესებულ კობიაშვილს უთამაშია ურიგოდ, თუმცა მისი ერთი შეცდომა „ფრაიბურგს“ გოლად დაუჯდა.

„ჩვენ გუნდი აღარ ვართ“ — უთხრა ნამატჩევს ლევერკუზენელმა კარსტენ რამელომ გაზეთ „ბილდს“. მართლაც, ბოლო ხანს გუნდში ვითარება დაიძაბა, ფოგტსსა და ბალაკს შორისაც უთანხმოება ყოფილა, ყოველივე ამის გამო „ლევერკუზენი“ ჩემპიონობიდან, ფაქტობრივად, ჩამოწერეს. ძნელი დასაჯერებელია, გუნდს ერთი კვირით ყაზარმულ რეჟიმზე გადაყვანამ უშველოს — კლუბის უფროსობა სწორედ ამას აპირებს. არ არის გამორიცხული, ფოგტსიც დაითხოვონ, მისი ხელმძღვანელობით „ლევერკუზენმა“ უკვე 17 შეხვედრა გამართა — 9 მოიგო და 8 წააგო. „რა თქმა უნდა, ბრავო ბერტიო, ვერ იტყვიან და ამას არც არავინ ითხოვს, მაგრამ ყველაფრის ჩემთვის დაბრალებაც არ შეიძლება“ — ჩივის ფოგტსი.

ჩემპიონობის კიდევ ორი მაძიებელი, ბერლინში შეერკინა ერთმანეთს — „ჰერტამ“ „დორტმუნდს“ უმასპინძლა. შაბათის „სარბიელშიც“ წაიკითხავდით, ეს მატჩი დაისლერ-როსიცკის დუელად მონათლეს. ახლა თამამად შეიძლება ითქვას, დუელი დაისლერმა მოიგო, სწორედ მისი გამოზომილი პასით გაიტანა რემერმა ერთადერთი გოლი. სტუმრებს ქულის გადარჩენის შანსი დარდაის გაძევების შემდეგაც არ მისცემიათ.

ერთკვირიანი კოშმარის შემდეგ, როგორც იქნა, მოიგო „კაიზერსლაუტერნმა“, რომელმაც შინ გასავარდნად გამზადებული „აინტრახტი“ დაამარცხა. ფრანკფურტელებმა ბოლოს 9 თებერვალს იმარჯვეს და [illegible] ლეს, გამარჯვების [illegible] რე ბუნდესლიგაში თუღა გაიხსენებენ. არადა, „ლაუტერნთან“ მატჩის 36-ე წუთზე სტუმართა მწვრთნელმა ფრიდელ რაუშმა სიამოვნებისგან ხელები მოიფშვნიტა, მისმა შეგირდებმა მასპინძლებს 1:0 1:2-ად უქციეს, თუმცა საბოლოოდ თამაში 4:2 დასრულდა, რაშიც დიდი წვლილი მეორე ნახევარში შეცვლაზე შესულმა იური ჯორკაეფმა შეიტანა.

„დასანანი მარცხი განვიცადეთ, ჯერ ყველაფერი წინაა, მთავარია, პანიკაში არ ჩავვარდეთ“ — თავი დაიმშვიდა რაუშმა მატჩის მერე.

„მიუნხენ 1860“-მა შემთხვევით მოიგო, ისიც შემთხვევითი გოლის წყალობით. ვოლფსბურგში მიუნხენელთა გამარჯვება შემთხვევითი იმიტომ იყო, რომ მასპინძლები მთელი შეხვედრა უპირატესობას ფლობდნენ, იენჩის კარის ძელხარიხაც შეაწუხეს, მაგრამ... 29-ე წუთზე ბიროფკა მარცხენა ფლანგზე გაიჭრა და საჯარიმოში ჩააწოდა, თუმცა ბურთი აიჭრა, ძელს მოხვდა და იქიდან ასხლეტილი ბადეში გაეხვია. შედეგად სტუმრებმა მოიგეს და სახიფათო ზონას გვარიანად დასცილდნენ.

არჩილ არველაძემ კი „კიოლნის“ ძირითადში ადგილი, ალბათ, კარგა ხნით დაკარგა. მისი მთავარი კონკურენტი მიროსლავ ბარანეკი ბოლო დროს შედეგიანად ათამაშდა. ჰამბურგში ანგარიში სწორედ მან გახსნა, კროიცის ჩაწოდებულს ვარდნაში ლამაზი თავური მიაყოლა. მასპინძლებმა ბოლოსლა გაათანაბრეს, ბარბარესმა ფეხით რომ ვერ ივარგა, თავით გაიტანა. ამ გოლამდე და მის მერეც დიდი ამბები იყო. გოლამდე „ჰამბურგმა“ ორი პენალტი გააფუჭა, პენალტების გატანით სახელდაგდებულმა მეკარე ჰანს-იორგ ბუტმა ბუნდესლიგაში მეორედ ვერ გამოიყენა თერთმეტმეტრიანი, პრიოლმა აუღო, ცოტა ხნის შემდეგ კი იმავე ნიშნულიდან ბარბარესმა ძელს გაარტყა ბურთი. აღსანიშნავია, რომ ბუტს პირველად პენალტი ასევე „ქართული“ გუნდის მეკარემ აუღო, შარშანწინ ეს ფრაიბურგელმა გოლცმა მოახერხა. მატჩის მიწურულს „ჰამბურგმა“ „კიოლნს“ მეორე გოლიც გაუტანა, მაგრამ მსაჯმა, ბურთს კარის ხაზი არ გადაუკვეთიაო, ტელეკამერებმა კი საპირისპირო დააფიქსირეს.

**ვანო ოქრობირიძე**
**ბერლინიდან**

| № | გუნდი | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | შალკე | 29 | 15 | 7 | 7 | 54:28 | 26 | 52 | 14 | 9 | 4 | 1 | 26:8 | 18 | 31 | 15 | 6 | 3 | 6 | 28:20 | 8 | 21 |
| 2 | ბაიერნი | 29 | 15 | 5 | 9 | 55:35 | 20 | 50 | 15 | 10 | 1 | 4 | 34:19 | 15 | 31 | 14 | 5 | 4 | 5 | 21:16 | 5 | 19 |
| 3 | ლევერკუზენი | 29 | 15 | 4 | 10 | 50:37 | 13 | 49 | 14 | 9 | 1 | 4 | 28:14 | 14 | 28 | 15 | 6 | 3 | 6 | 22:23 | -1 | 21 |
| 4 | დორტმუნდი | 29 | 14 | 7 | 8 | 49:37 | 12 | 49 | 14 | 8 | 2 | 4 | 26:17 | 9 | 26 | 15 | 6 | 5 | 4 | 24:19 | 5 | 23 |
| 5 | ჰერტა | 29 | 16 | 1 | 12 | 52:47 | 5 | 49 | 15 | 10 | 1 | 4 | 34:21 | 13 | 31 | 14 | 6 | 0 | 8 | 18:26 | -8 | 18 |
| 6 | ლაუტერნი | 29 | 15 | 4 | 10 | 45:44 | 1 | 49 | 15 | 8 | 3 | 4 | 24:17 | 7 | 27 | 14 | 7 | 1 | 6 | 21:27 | -6 | 22 |
| 7 | ვერდერი | 29 | 13 | 7 | 9 | 44:42 | 2 | 46 | 14 | 9 | 3 | 2 | 28:15 | 13 | 30 | 15 | 4 | 4 | 7 | 16:27 | -11 | 16 |
| 8 | ფრაიბურგი | 29 | 11 | 10 | 8 | 41:32 | 9 | 43 | 14 | 6 | 5 | 3 | 26:12 | 14 | 23 | 15 | 5 | 5 | 5 | 15:20 | -5 | 20 |
| 9 | კიოლნი | 29 | 11 | 9 | 9 | 49:41 | 8 | 42 | 15 | 7 | 5 | 3 | 28:15 | 13 | 26 | 14 | 4 | 4 | 6 | 21:26 | -5 | 16 |
| 10 | ვოლფსბურგი | 29 | 10 | 10 | 9 | 51:36 | 15 | 40 | 15 | 7 | 5 | 3 | 34:17 | 17 | 26 | 14 | 3 | 5 | 6 | 17:19 | -2 | 14 |
| 11 | მიუნხენი | 29 | 10 | 7 | 12 | 36:49 | -13 | 37 | 14 | 6 | 3 | 5 | 18:22 | -4 | 21 | 15 | 4 | 4 | 7 | 18:27 | -9 | 16 |
| 12 | ჰანზა | 29 | 10 | 6 | 13 | 30:41 | -11 | 36 | 14 | 6 | 4 | 4 | 19:19 | 0 | 22 | 15 | 4 | 2 | 9 | 11:22 | -11 | 14 |
| 13 | ჰამბურგი | 29 | 9 | 8 | 12 | 51:50 | 1 | 35 | 14 | 7 | 4 | 3 | 29:18 | 11 | 25 | 15 | 2 | 4 | 9 | 22:32 | -10 | 10 |
| 14 | შტუტგარტი | 29 | 7 | 10 | 12 | 37:44 | -7 | 31 | 15 | 7 | 5 | 3 | 28:19 | 9 | 26 | 14 | 0 | 5 | 9 | 9:25 | -16 | 5 |
| 15 | უნტერჰახინგი | 29 | 7 | 10 | 12 | 28:47 | -19 | 31 | 15 | 6 | 6 | 3 | 17:14 | 3 | 24 | 14 | 1 | 4 | 9 | 11:34 | -23 | 7 |
| 16 | კოტბუსი | 29 | 9 | 3 | 17 | 32:45 | -13 | 30 | 15 | 8 | 1 | 6 | 22:18 | 4 | 25 | 14 | 1 | 2 | 11 | 10:27 | -17 | 5 |
| 17 | აინტრახტი | 29 | 8 | 5 | 16 | 36:59 | -23 | 29 | 14 | 6 | 3 | 5 | 21:19 | 2 | 21 | 15 | 2 | 2 | 11 | 15:40 | -25 | 8 |
| 18 | ბოხუმი | 29 | 7 | 5 | 17 | 28:54 | -26 | 26 | 15 | 5 | 3 | 7 | 18:24 | -6 | 18 | 14 | 2 | 2 | 10 | 10:30 | -20 | 8 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| სანდი (შალკე) | 20 |
| ბარბარესი (ჰამბურგი) | 19 |
| პიზარო (ვერდერი) | 16 |
| ელბერი (ბაიერნი) | 15 |
| პრეეცი (ჰერტა) | 15 |
| ნოივილი (ლევერკუზენი) | 12 |

### XXX ტური

20 აპრილი
დორტმუნდი — ბოხუმი
21 აპრილი
ლევერკუზენი — ჰამბურგი
კოტბუსი — უნტერჰახინგი
ვერდერი — ვოლფსბურგი
აინტრახტი — ბაიერნი
ჰანზა — კიოლნი
შალკე — ჰერტა
22 აპრილი
მიუნხენი — შტუტგარტი
ფრაიბურგი — ლაუტერნი

## მეორე ბუნდესლიგა

### XXIX ტური

**ფიურტი 1:0 როიტლინგენი**

1:0 ელბერფელდი (72)
ფიურტი: რაიხოლდი, შკარაბელა, რაიტერი, სურმანი, რუმანი, ვალტერი, აზუზი, ფელგენაუერი, ამანატიდისი (რუსისი 70), ტიური (დეკანოსიძე 90), კიოიო (ელბერფელდი 59)
მწვრთნელი: გიუნტერ ერკენბრეხერი
როიტლინგენი: კურკო, მალხოვი, ლაპაჩინსკი, აგუ (სუმიალა 74), ტრაუბი, ჰოფაკერი, ადუბე, იანიჩი, ლექსა (საშაია 86), ბეკერი, ჰოფმანი
მწვრთნელი: რალფ ვე
გაფრთხილება: აზუზი, ვალტერი, ჰოფაკერი
4 816 მაყურებელი

**ულმი 1:4 ზანქტ პაული**

0:1 მეგლე (6პ), 0:2 სტანისლავსკი (20), 0:3 მეგლე (31), 1:3 ვან დე ჰაარი (72პ), 1:4 რატი (81)

**მიონხენგლადბახი 1:0 კიკერსი**

1:0 დემო (90)

**ოსნაბრუკი 2:1 ნიურნბერგი**

1:0 კლაასენი (12), 1:1 კრჟინოვეკი (17), 2:1 მუტე (90)

**ქემნიცი 0:0 ვალდჰოფი**

**არმინია 1:1 დუისბურგი**

0:1 ებერსი (68), 1:1 ვიშნიარეკი (89პ)

**ობერჰაუზენი 3:0 ალემანია**

1:0 ვებერი (70), 2:0 ჩიუკა (75), 3:0 ლიპინსკი (83)

**ჰანოვერი 2:4 მაინცი**

1:0, 2:0 შიმაკი (9, 12), 2:1, 2:2 ტურკი (29, 34), 2:3 ნკუფო (61), 2:4 ზაიმერი (82)

**ზაარბრიუკენი — ალენი**

გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიურნბერგი | 29 | 17 | 5 | 7 | 52:30 | 56 |
| გლადბახი | 29 | 15 | 9 | 5 | 55:28 | 54 |
| ვალდჰოფი | 29 | 13 | 8 | 8 | 42:38 | 47 |
| ზტ. პაული | 28 | 13 | 7 | 8 | 59:47 | 46 |
| ფიურტი | 29 | 13 | 7 | 9 | 45:33 | 46 |
| ალენი | 28 | 12 | 8 | 8 | 51:45 | 44 |
| ობერჰაუზენი | 29 | 13 | 5 | 11 | 40:37 | 44 |
| დუისბურგი | 28 | 12 | 7 | 9 | 43:32 | 43 |
| როიტლინგენი | 28 | 12 | 6 | 10 | 54:46 | 42 |
| ჰანოვერი | 29 | 11 | 7 | 11 | 46:37 | 40 |
| ზაარბრიუკენი | 28 | 11 | 7 | 10 | 38:49 | 40 |
| ალემანია | 28 | 10 | 6 | 12 | 36:57 | 36 |
| მაინცი | 28 | 9 | 8 | 11 | 33:36 | 35 |
| ოსნაბრუკი | 29 | 8 | 9 | 12 | 34:44 | 33 |
| არმინია | 29 | 7 | 10 | 12 | 42:40 | 31 |
| კიკერსი | 28 | 7 | 10 | 11 | 26:34 | 31 |
| ულმი | 29 | 6 | 7 | 16 | 32:47 | 25 |
| ქემნიცი | 29 | 2 | 6 | 21 | 22:70 | 12 |

# წაგებულს მოგებულისა

## ესპანეთი

### XXX ტური

**ნუმანსია 3:3 სოსიედადი**

0:1 დე პედრო (18), 1:1 რუბენ ნავარო (22), 1:2 ხოხლოვი (59), 1:3 დე პაულა (64), 2:3 პაჩეტა (71), 3:3 როსუ (78)
ნუმანსია: ნუნიესი, სორია, ანტია, პაჩეტა, ნაგორე, ოქტავიო (როსუ 60), ხოსე მანუელი, კაკო მორანი (მანელი 52), ინიაკი, ივან პერესი (ობედა 52), რუბენ ნავარო
მწვრთნელი: მარიანო გარსია რემონი
სოსიედადი: ალბერტო, ფუენტესი, არანსაბალი, ლორენი, ჟულიო სეზარი, დე პედრო, ტაიფუნი (ლოპეს რეკარტე 61; პიკაბეა 86), ხოხლოვი, ხაბი ალონსო, დე პაულა, იდიაკესი
მწვრთნელი: ჯონ ტოშაკი
გაფრთხილება: დე პედრო, დე პაულა, ხოხლოვი, ფუენტესი, ხაბი ალონსო, რუბენ ნავარო, მანელი
10 000 მაყურებელი

**ბილბაო 0:1 ესპანიოლი**

0:1 ტამუდო (43)
ბილბაო: ლაფუენტე, ლარასაბალი, ლაკრუსი, რიოსი, ოსკარ ვალესი, გერერო (კარლოს მერინო 85), ალკისა, ტიკო (იესტე 70), ორბაისი (კუელიარი 84), ესკერო, ურსაისი
მწვრთნელი: ფრანსისკო ჩიჩი როხო
ესპანიოლი: მორა, კრისტობალი, როტჩენი, ლოპო, ველამასანი, სერხიო, გალკა, ნავასი, მორალესი, როხერი (არტეაგა 71), ტამუდო (სერანო 84)
მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი
გაფრთხილება: ოსკარ ვალესი, ორბაისი, ურსაისი, კრისტობალი
25 000 მაყურებელი

**მალაგა 1:1 რაიო ვალეკანო**

1:0 დარიო სილვა (5), 1:1 მიჩელი (21)
მალაგა: კონტრერასი, როხასი, ბრავო, როტეტა, ფერნანდო სანსი, რუფეტე (ედგარი 86), დე ლოს სანტოსი, სანდრო (მოვილია 32), დარიო სილვა (კანაბალი 83), აგოსტინიო, დელი ვალდესი
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
რაიო ვალეკანო: კელერი, მინგო, დე კინტანა (ფერეირა 75), ალკასარი, ბალესტეროსი, ივან იგლესიასი (მაურო 79), მიჩელი, კევედო, ლუის სემბრანოსი, პოშნერი, ბოლიჩი (ბოლო 69)
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: ივან იგლესიასი, მიჩელი, დარიო სილვა, პოშნერი, როტეტა
12 000 მაყურებელი

**ვალენსია 1:2 ალავესი**

0:1 მენდიეტა (6ს.კ.), 1:1 ვისენტე (14), 1:2 ეგენი (73)
ვალენსია: კანისარესი, ბიორკლუნდი, ჟუკიჩი, აიალა, ფაბიო აურელიო, მენდიეტა (დიეგო ალონსო 76), ანგულო, ვისენტე (ხუან სანჩესი 48), ბარახა, აიმარი (ზაჰოვიჩი 68), კარეუ
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
ალავესი: ერერა, იბონ ბეგონია (კარმონა 79), კონტრა, ეგენი, ტელიესი, ჟელი, პაბლო, ი. ტომიჩი (მაგნო 56), დესიო, კრუიფი, ივან ალონსო
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
გაფრთხილება: ბარახა, ხუან სანჩესი, ჟელი, ვუკო
45 000 მაყურებელი

**დეპორტივო 2:1 ოსასუნა**

0:1 ივან როსადო (24), 1:1 მაკაი (51), 2:1 ფერნანდო (86)
დეპორტივო: მოლინა, სესარი, კაპდევილა, ჰელდერი, მაურო სილვა, ფრანი (ვალერონი 54), სკალონი, ემერსონი, ვიქტორი (ფერნანდო 77), მაკაი, დიეგო ტრისტანი (პანდიანი 52)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
ოსასუნა: სანსოლი, ხოსუე, იანგუსი (ტრეჩაკი 74), იბან პერესი (არმენტანო 88), კრუჩაგა, ხერარდო, ანხელ ლუისი (ალფონსო 65), ლორენსი, ალექსი, განკედო, ივან როსადო
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: იანგუსი, ჰელდერი, ვიქტორი, ალექსი, სკალონი, სესარი
23 000 მაყურებელი

**ბარსელონა 4:4 სარაგოსა**

0:1 ესნაიდერი (9), 0:2 ჟამელი (44), 1:2 ოვერმარსი (52), 1:3 ხოსე იგნასიო (73), 2:3 კლუივერტი (77), 2:4 ესნაიდერი (81), 3:4 კლუივერტი (82), 4:4 რივალდო (90)
ბარსელონა: რეინა, რაიციგერი, ფ. დე ბური, სერხი, გვარდიოლა, კოკუ (დანი 75), ოვერმარსი, გაბრი, სიმაო (დე ლა პენია 65), კლუივერტი, რივალდო
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
სარაგოსა: ხუანმი, აგუადო, პაბლო, სუნდგრენი (გურენკო 42), პაკო ხემესი, მარტინ ველისკა, ხოსე იგნასიო, აკუნია, ჟამელი (გარიტანო 88), ხუანელე, ესნაიდერი (ფერონი 90)
მწვრთნელი: ლუის კოსტა
გაფრთხილება: პაბლო, ესნაიდერი, გაბრი, დე ბური, ოვერმარსი, აგუადო, ხუანელე
65 000 მაყურებელი

**ვალიადოლიდი 1:0 ოვიედო**

1:0 პაჩონი (76)
ვალიადოლიდი: ბიზარი, მარკოსი, პაინცე, გარსია კალვო, ტორეს გომესი, ჩირიჩი (პაჩონი 46), ეუსებიო, ხესუსი (პენია 67), კამინერო, ფერნანდო, ალბერტო (კავიედესი 62)
მწვრთნელი: პეპე მორე
ოვიედო: ესტებანი, რაბარივონი (ხაიმე 86), ბორისი, ონოპკო, დანჯუ, პაბლო სუარესი (რაული 78), ჟ. ტომიჩი, ამიევა (რუბენი 69), ივან ანია, ოლი, პაუნოვიჩი
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
გაფრთხილება: მარკოსი, ივან ანია, ფერნანდო, პაბლო სუარესი, კავიედესი, ესტებანი
23 000 მაყურებელი

**რეალი 4:0 ვილიარეალი**

1:0, 2:0 გუტი (20, 49), 3:0 რობერტო კარლოსი (53), 4:0 გუტი (58)
რეალი: კასილიასი, სალგადო, რობერტო კარლოსი, იერო (ფლავიო კონსეისაო 46), კარანკა, ელგერა, მაკმანამანი, სავიო, გუტი, მაკელელე (რაული 61), ფიგუ (მუნიტისი 69)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
ვილიარეალი: ლოპეს ვალეხო, კიკე მედინა, არუაბარენა, კიკე ალვარესი, ხავი როკა (გალვანი 72), ხავი გრასია, ამორი (ხაიმე 69), ხორხე ლოპესი, ვიქტორი, კალეხა (კრაიოვიანუ 60), პალერმო
მწვრთნელი: ვიქტორ მანრიკე
გაფრთხილება: ლოპეს ვალეხო, კიკე მედინა, მაკელელე, ამორი, კიკე ალვარესი, ხავი როკა, ხორხე ლოპესი
60 023 მაყურებელი

**რასინგი 3:0 სელტა**

1:0 ქაპინია (16), 2:0 რეგუერო (42), 3:0 ამავისკა (45)
რასინგი: სებალიოსი, არსენო, მელბერგი, ტაისი (რუშფელდტი 68), ხუანმა, რეგუერო, ქაპინია (ხაიმე 69), ისმაელი, მაცონი (მაგალიანესი 68), ამავისკა, მანხარინი
მწვრთნელი: გუსტავო ბენიტესი
სელტა: კავალიერო, ველასკო, კასელესი, ხუანფრანი, ბერიზო, ხაიო, კარპინი (ედუ 46), მოსტოვოი, ვაგნერი, გუსტავო ლოპესი (იაგო 46), კატანია (ჯოვანელა 46)
გაფრთხილება: მოსტოვოი, კავალიერო, ვაგნერი, კარპინი, არსენო, კასერესი, მაგალიანესი
გაძევება: ბერიზო (33), მოსტოვოი (33)
20 000 მაყურებელი

**მალიორკა 2:1 ლას პალმასი**

1:0 სივიერო (34), 1:1 გიარე (45), 2:1 კარლოსი (91)
მალიორკა: ლეო ფრანკო, მიგელ სოლერი (კარლოსი 76), სივიერო, ოლაიზოლა, ნადალი, კარერასი (ნოვო 50), იბაგასა, ფინიდი, მარკოსი, ეტოო, ლუკე (ლეო ბიაჯინი 62)
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
ლას პალმასი: ნაჩო გონსალესი, რამონი, პაკუი, ალვარო, შურერი, ხოსიკო, იარნი, ხორხე (პაბლო ლაგო 59), ანხელი, ტურდო (ელოი 74), გიარე (ორლანდო 83)
მწვრთნელი: სერჯიო კრესიჩი
გაფრთხილება: იარნი, სივიერო, ნაჩო გონსალესი
14 000 მაყურებელი

**პრიმერადივიზიონში** 28 ტური ისე გასრულდა, ერთ მატჩში რვა გოლი არ გასულა. ბოლო ორ ტურში კი ორი ასეთი თამაში გამოერია, ორივე „ბარსელონას“ მონაწილეობით და ორჯერვე კატალონიელები სასწაულით გადაურჩნენ მარცხს.



ხოსე მარია გუტიმ მაისურა სამჯერ წამოიხურა

REUTERS

წინა ტურში ვილიარეალში ჩასული ბარსელონელები მე-19 წუთისთვის 0:3 აგებდნენ და საბოლოოდ 4:4 გაახერხეს. პატრიკ კლუივერტმა ჰეთ თრიქი შეასრულა, თან ქულის მომტანი გოლი 92-ე წუთზე შეაგდო.

ამ შაბათს ზუსტად იგივე თუ არა, თითქმის იგივე ნამდვილად მოხდა. „სარაგოსამ“ პირველი ტაიმი 2:0 მოიგო. მეორე ტაიმის 35 წუთში ოთხი გოლი გავიდა, მაგრამ ორბურთიანი სხვაობა არ შეცვლილა. დარჩენილ ათ წუთში კი „ბარსამ“ კვლავ შეძლო წაგებული თამაშის გადარჩენა. კვლავ ორი ბურთი გაიტანა პატრიკ კლუივერტმა, ხოლო ქულის მომტანი გოლი, ამჯერად რივალდოსი, ისევ წამატებულ დროში გავიდა.

„კამპ ნოუზე“ „ბარსელონას“ ვერმოგებას იქაურები, საზოგადოდ, დიდ წარუმატებლობად აღიქვამენ, ახლა კი ორი ქულის დაკარგვა განსაკუთრებით მტკივნეულია, რადგან „ბარსა“ ოთხეულს მიღმა აღმოჩნდა. თავისთავად ჩემპიონატის დასრულებამდე რვა ტურით ადრე ერთქულიანი ჩამორჩენა კატალონიური გრანდისთვის საგანგაშო არ უნდა იყოს, მაგრამ საქმეს რამდენადმე ართულებს რივალდოსა და კლუივერტის წასვლის თაობაზე გავრცელებული ხმები და გვარდიოლას უკვე გადაწყვეტილი ამბავი. ეს აჟიოტაჟი, ცხადია, კლუბის სასარგებლოდ არ მოქმედებს. ერთიცაა, „ბარსელონამ“ რაგინდ კარგად ითამაშოს, მის წინ მყოფმა გუნდებმა ქულები თუ არ დაკარგეს, არაფერი გამოვა.

„ბარსას“ ერთი ქულით უსწრებს „მალიორკა“, რომლის თამაშზეც კაცს აუგი ვერ დასცდება. კუნძულელებმა ბოლო ექვს მატჩში ოთხი მოიგეს და ორიც ფრედ დაასრულეს. ამათგან ერთი ფრე სწორედ „ბარსას“ გამოსტაცეს („კამპ ნოუზე“), ხოლო დამარცხებულთა შორის „რეალი“ და „დეპორტივო“ ჰყავთ.

თუმცა „ლას პალმასთან“ „მალიორკას“ გაუჭირდა. ბარსელონური თამაშის მსგავსად, მასპინძლებმა აქაც წამატებულ დროში იხეირეს, მაგრამ რივალდოს გოლისგან განსხვავებით, კარლოს დომინგუშისა სამ ქულად შეფასდა.

ზედიზედ მეორე საშინაო მატჩი წააგო „ვალენსიამ“ და საქმეს ისეთი პირი უჩანს, „ბარსელონა“ ოთხეულში თუ დაბრუნდა, სწორედ „ვალენსიას“ გააძევებს იქიდან.

მე-15 წუთისთვის ვალენსიელებს ორი გოლი ჰქონდათ გატანილი, თუმცა ამათგან პირველი გაისკა მენდიეტამ საკუთარ კარში ჩაჭრა. კაპიტნის შეცდომა ყმაწვილმა ვისენტემ გამოასწორა, რომელიც ამ მატჩში ტრავმირებულ კილი გონსალესს ცვლიდა. ისიც ვთქვათ, რომ ვისენტესთვის ეს პირველი პრიმერადივიზიონური სეზონია, არცთუ ხშირადაა სასტარტო შემადგენლობაში, მაგრამ ხუთი გოლი კი მიითვალა.

ვისენტეს გარჯა ვიტორიელმა მცველმა დან ეგენმა წყალში ჩაუყარა, როცა მასპინძლებს მეორე გაუტანა.

გაუტანა და კვლავ თავი წამოყო ფრიად მნიშვნელოვანმა საკითხმა — ექტორ რაულ კუპერისთვის ვალენსიური კარიერა დასასრულს უახლოვდება, ვინ შეცვლის მას? ამ საკითხმა საკმაოდ მოულოდნელი გაგრძელება ჰპოვა. კლუბის თავკაცებს „ალავესის“ მწვრთნელის, ხოსე მანუელ ესნალ პარდოსთვის შეუთავაზებიათ ადგილი და მასთან ერთად მილიონდოლარიანი წლიური გასამრჯელო. ეს თანხა ორჯერ მეტია ამ სპეციალისტის ბასკურ ხელფასზე.

„ვალენსია“ — „ალავესზე“ დავუმატოთ, რომ კვლავ არ უთამაშია ხავი მორენოს და, შესაბამისად, ვერც გოლს გაიტანდა. ამით კი რივალდომ ისარგებლა და ზემოთ ნახსენები გოლით ბომბარდირთა სიას სათავეში მოექცა.

დარჩენილ რვა ტურში „რეალს“ ჩემპიონობის მოსაპოვებლად ხუთი მოგება და ერთი ფრე ჰყ[illegible] კი, თუ უახლოესი მ[illegible] „დეპორტივო“ რვავე თამაშს მოიგებს.

ამ ტურში კი გალისიური გუნდი, „მალიორკასი“ არ იყოს, ბოლოსღა გამორჩა სამ ქულას. 87-ე წუთზე ფერნანდომ როი მაკაის დაწყებული საქმე დაასრულა, ჰოლანდიელმა კი, თავის მხრივ, ოსასუნელი ივან როსადოს გოლი გაქვითა.

და „რეალი“. მადრიდელებმა პირწმინდად გაანადგურეს მეტოქე, ხოლო ხოსე მარია გუტიერესმა იგივე გუტიმ პირველად შეასრულა ჰეთ თრიქი. გოლებიც დიდებული გამოდგა. რობერტო კარლოსის ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს გუტიმ მინდორზე დაშვება არ აცალა, ისე დაარტყა — 1:0. რობერტო კარლოსის ჯადო-საჯარიმო და — 3:0. ბოლოს სავიომ მარადონას სტილში ნახევარი მოედანი გადაჭრა, ნახევარი „ვილიარეალი“ ჩამოიტოვა და თუმცა მეკარესთან პირისპირ დარჩენილს თავადაც შეეძლო გატანა, გუტი გაახარა — 4:0. აქ მადრიდელის მეორე გოლი არ გვიხსენებია, რაკი დანარჩენებთან შედარებით ნაკლებ ეფექტური იყო.

ისე, ძალიანაც ნუ შევაქებთ „რეალს“ და გუტის. ახლა ვისენტე დელ ბოსკე რომ მოგვდგეს და გაგვლანძღოს, ბიჭებს ნუ მიქებთ, თავში აუვარდებათო, რა ვქნათ? დასაბუთებული პასუხის გაცემას მოინდომებ და შეგაწყვეტინებს, ეგ ზღაპარი რევაზ მოჟუაშვილს უამბეთო.

სხვათა შორის, დელ ბოსკე ტყუილში უნდა ვამხილოთ. ის მატჩის წინ გვარწმუნებდა, რაულს სერიოზული ტრავმა აქვსო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ასე არ ყოფილა.

და კიდევ. ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა თამაში, მე-7 წუთზე მარტინ პალერმოს ოდნავ ზუსტად რომ დაერტყა — ასე კი ძელს მოახვედრა.

„რასინგმა“ მესამე მატჩი ჩაატარა ახალი მწვრთნელის, გუსტავო ბენიტესის თავკაცობით და ამ სამ მატჩში შვიდი ქულა მოიხვეჭა. ამ ტურში სანტანდერელებმა თერთმეტმატჩიანი წაუგებელი სერია შეაწყვეტინეს „სელტას“. „რასინგს“ მსაჯის პრინციპულობაც წაეხმარა, რომელმაც მთელი 55 წუთი ვიგოელები ცხრა კაცით ათამაშა.

უდემეტრაძეო „სოსიედადმა“ კი მე-17 ადგილი ვერ შეინარჩუნა და ისევ გასავარდნთა ზონას დაუბრუნდა. არადა, ტოშაკის გუნდი სორიელებს 3:1 უგებდა.

**გიორგი დარჯანია**

## მეორე დივიზიონი

### XXXIII ტური

**კორდობა 1:0 ტენერიფე**
1:0 მელგარი (81)

**კომპოსტელა 0:2 სევილია**
0:1 მიჩელი (17), 0:2 ექტორი (63)

**ხეტაფე 3:1 სპორტინგი**
1:0 მარიანო ხუანი (17პ), 2:0 ფაიზულინი (27), 2:1 მანელი (57), 3:1 ფაიზულინი (80)

**ლევანტე 0:0 ალბასეტე**

**ელჩე 0:1 უნივერსიდადი**
0:1 ალექსისი (47პ)

**ფეროლი 1:1 მურსია**
0:1 ზარატე (32პ), 1:1 რაზოვი (81)

**ხაენი 2:1 ლეიდა**
1:0, 2:0 ხურადო (32, 60), 2:1 რენალდო (73)

**ატლეტიკო 2:0 ესტრემადურა**
1:0, 2:0 სალვა (65, 86პ)

**ბადახოსი 1:0 ეიბარი**
1:0 მაურისიო (90)

**ბეტისი 2:1 სალამანკა**
0:1 როდრიგო (21), 1:1 კასასი (39), 2:1 კუელიარი (90)

**უელვა 1:1 ლეგანესი**
0:1 მაკულულა (29), 1:1 ბოდიპო (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სევილია | 33 | 18 | 8 | 7 | 50:30 | 62 |
| ბეტისი | 33 | 16 | 10 | 7 | 34:23 | 58 |
| ტენერიფე | 33 | 16 | 9 | 8 | 4827 | 57 |
| ატლეტიკო | 33 | 15 | 10 | 8 | 4832 | 55 |
| უელვა | 33 | 12 | 17 | 4 | 36:21 | 53 |
| ალბასეტე | 33 | 14 | 11 | 8 | 35:29 | 53 |
| სპორტინგი | 33 | 13 | 10 | 10 | 43:38 | 49 |
| სალამანკა | 33 | 14 | 5 | 14 | 37:37 | 47 |
| ლევანტე | 33 | 10 | 15 | 8 | 40:35 | 45 |
| კორდობა | 33 | 11 | 12 | 10 | 30:29 | 45 |
| ბადახოსი | 33 | 9 | 17 | 7 | 2827 | 44 |
| ხაენი | 33 | 11 | 11 | 11 | 23:32 | 44 |
| ესტრემადურა | 33 | 12 | 7 | 14 | 32:38 | 43 |
| ეიბარი | 33 | 9 | 15 | 9 | 23:21 | 42 |
| მურსია | 33 | 10 | 11 | 12 | 46:47 | 41 |
| ლეგანესი | 33 | 8 | 16 | 9 | 3834 | 40 |
| ფეროლი | 33 | 8 | 11 | 14 | 35:41 | 35 |
| კომპოსტელა | 33 | 9 | 8 | 16 | 31:54 | 35 |
| ელჩე | 33 | 7 | 13 | 13 | 32:43 | 34 |
| ხეტაფე | 33 | 8 | 8 | 17 | 34:48 | 32 |
| უნივერსიდადი | 33 | 4 | 15 | 14 | 23:43 | 27 |
| ლეიდა | 33 | 4 | 11 | 18 | 29:46 | 23 |

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | რეალი | 30 | 20 | 5 | 5 | 66:30 | 36 | 65 | 15 | 13 | 1 | 1 | 43:11 | 32 | 40 | 15 | 7 | 4 | 4 | 23:19 | 4 | 25 |
| 2 | დეპორტივო | 30 | 17 | 6 | 7 | 59:36 | 23 | 57 | 15 | 12 | 3 | 0 | 36:10 | 26 | 39 | 15 | 5 | 3 | 7 | 23:26 | -3 | 18 |
| 3 | ვალენსია | 30 | 15 | 7 | 8 | 48:25 | 23 | 52 | 16 | 11 | 1 | 4 | 28:9 | 19 | 34 | 14 | 4 | 6 | 4 | 20:16 | 4 | 18 |
| 4 | მალიორკა | 30 | 14 | 10 | 6 | 42:35 | 7 | 52 | 15 | 10 | 4 | 1 | 26:16 | 10 | 34 | 15 | 4 | 6 | 5 | 16:19 | -3 | 18 |
| 5 | ბარსელონა | 30 | 14 | 9 | 7 | 67:47 | 20 | 51 | 15 | 10 | 3 | 2 | 42:19 | 23 | 33 | 15 | 4 | 6 | 5 | 25:28 | -3 | 18 |
| 6 | ალავესი | 30 | 13 | 7 | 10 | 48:40 | 8 | 46 | 15 | 9 | 2 | 4 | 26:16 | 10 | 29 | 15 | 4 | 5 | 6 | 22:24 | -2 | 17 |
| 7 | სელტა | 30 | 12 | 8 | 10 | 41:43 | -2 | 44 | 15 | 8 | 6 | 1 | 24:15 | 9 | 30 | 15 | 4 | 2 | 9 | 17:28 | -11 | 14 |
| 8 | ვილიარეალი | 30 | 12 | 7 | 11 | 44:44 | 0 | 43 | 14 | 6 | 5 | 3 | 22:19 | 3 | 23 | 16 | 6 | 2 | 8 | 22:25 | -3 | 20 |
| 9 | ესპანიოლი | 30 | 12 | 6 | 12 | 37:32 | 5 | 42 | 15 | 7 | 2 | 6 | 19:13 | 6 | 23 | 15 | 5 | 4 | 6 | 18:19 | -1 | 19 |
| 10 | მალაგა | 30 | 12 | 6 | 12 | 48:48 | 0 | 42 | 16 | 8 | 4 | 4 | 27:21 | 6 | 28 | 14 | 4 | 2 | 8 | 21:27 | -6 | 14 |
| 11 | რაიო ვალეკანო | 30 | 9 | 11 | 10 | 50:52 | -2 | 38 | 15 | 6 | 5 | 4 | 26:20 | 6 | 23 | 15 | 3 | 6 | 6 | 24:32 | -8 | 15 |
| 12 | სარაგოსა | 30 | 8 | 12 | 10 | 45:46 | -1 | 36 | 14 | 7 | 6 | 1 | 33:17 | 16 | 27 | 16 | 1 | 6 | 9 | 12:29 | -17 | 9 |
| 13 | ბილბაო | 30 | 9 | 9 | 12 | 37:43 | -6 | 36 | 15 | 8 | 3 | 4 | 27:18 | 9 | 27 | 15 | 1 | 6 | 8 | 10:25 | -15 | 9 |
| 14 | ვალიადოლიდი | 30 | 8 | 11 | 11 | 34:39 | -5 | 35 | 16 | 8 | 6 | 2 | 21:12 | 9 | 30 | 14 | 0 | 5 | 9 | 13:27 | -14 | 5 |
| 15 | ლას პალმასი | 30 | 10 | 5 | 15 | 30:50 | -20 | 35 | 14 | 7 | 2 | 5 | 14:17 | -3 | 23 | 16 | 3 | 3 | 10 | 16:33 | -17 | 12 |
| 16 | ოვიედო | 30 | 9 | 5 | 16 | 38:55 | -17 | 32 | 15 | 8 | 4 | 3 | 34:23 | 11 | 28 | 15 | 1 | 1 | 13 | 4:32 | -28 | 4 |
| 17 | რასინგი | 30 | 8 | 6 | 16 | 38:49 | -11 | 30 | 15 | 8 | 3 | 4 | 26:19 | 7 | 27 | 15 | 0 | 3 | 12 | 12:30 | -18 | 3 |
| 18 | სოსიედადი | 30 | 7 | 9 | 14 | 36:59 | -23 | 30 | 15 | 4 | 6 | 5 | 20:25 | -5 | 18 | 15 | 3 | 3 | 9 | 16:34 | -18 | 12 |
| 19 | ოსასუნა | 30 | 6 | 10 | 14 | 33:46 | -13 | 28 | 15 | 3 | 7 | 5 | 18:21 | -3 | 16 | 15 | 3 | 3 | 9 | 15:25 | -10 | 12 |
| 20 | ნუმანსია | 30 | 7 | 7 | 16 | 30:52 | -22 | 28 | 15 | 5 | 5 | 5 | 18:20 | -2 | 20 | 15 | 2 | 2 | 11 | 12:32 | -20 | 8 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| რივალდო (ბარსელონა) | 19 |
| ხავი მორენო (ალავესი) | 18 |
| კლუივერტი (ბარსელონა) | 17 |
| რაული (რეალი) | 16 |
| კატანია (სელტა) | 15 |

**XXXI ტური**

21-22 აპრილი

| | |
|---|---|
| სოსიედადი | ვალიადოლიდი |
| ოვიედო | ვალენსია |
| ალავესი | მალაგა |
| რაიო ვალეკანო | ბილბაო |
| ესპანიოლი | რასინგი |
| სელტა | დეპორტივო |
| ოსასუნა | ბარსელონა |
| სარაგოსა | რეალი |
| ვილიარეალი | მალიორკა |
| ლას პალმასი | ნუმანსია |

## იტალია

### XXVI ტური

### მილანი 3:0 უდინეზე

1:0 კალაძე (9), 2:0 სერჯინიო (32), 3:0 შევჩენკო (72)
მილანი: ს. როსი, ჰელვეგი (გატუზო 81), როკე ჟუნიორი, მალდინი, კოკო (სალა 90), ხოსე მარი (ლეონარდო 75), სერჯინიო, კალაძე, ჯუნტი, შევჩენკო, ბირჰოფი
მწვრთნელი: ჩეზარე მალდინი
უდინეზე: ტურჩი, ძამბონი, სოტილი, ბერტოტო, ალბერტო, ჯანიკედა (პინცი 81), ელგერა (მუცი 46), დიასი, ვალემი, ფიორე, მარჯოტა (იაკინტა 66)
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: ჯანიკედა
45 000 მაყურებელი

### იუვენტუსი 3:1 ინტერი

1:0 ტაკინარდი (51), 2:0 ინძაგი (54), 3:0 დელ პიერო (63), 3:1 ვიერი (66პ)
იუვენტუსი: ვან დერ სარი, ტუდორი, იულიანო, მონტერო, პესოტო (ფერარა 77), ძამბროტა, ტაკინარდი, დავიდსი, ზიდანი (კონტე 88), ფ. ინძაგი, დელ პიერო (ონილი 90)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
ინტერი: ფრეი, ხ. ძანეტი, ბლანი, ფერარი, სერენა (ფერანტე 63), ბროკი, დი ბიაჯო (ზეედორფი 85), იუგოვიჩი, დალმა, ვიერი, რეკობა (გრეშკო 64)
მწვრთნელი: მარკო ტარდელი
გაფრთხილება: იუგოვიჩი, დი ბიაჯო, დავიდსი, იულიანო
40 000 მაყურებელი

### ატალანტა 0:1 პარმა

0:1 მილოშევიჩი (28)
ატალანტა: პელიცოლი, პაგანინი, კარერა, ლორენცი (განცი 46), ბელინი, კ. ძენონი, ბერეტა (დუნდიერსკი 12), დონატი, დონი (ნაპი 76), პინარდი, ვენტოლა
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
პარმა: ბუფონი, ტურამი, ტორისი, ფ. კანავარო, სერჯიუ კონსეისაუ, ბოლანო, ლამუში, აპია, მიკუ (ალმეიდა 59), დი ვაიო (მბომა 59), მილოშევიჩი (ფუზერი 90)
მწვრთნელი: რენცო ულივიერი
გაფრთხილება: დონი, კანავარო, პაგანინი
18 000 მაყურებელი

### რომა 2:2 პერუჯა

0:1 ბაიოკო (44), 1:1 ტოტი (53), 1:2 საუდატი (77), 2:2 ტედესკო (90ს.კ)
რომა: ანტონიოლი, რინალდი (კ. ძანეტი 66), სამუელი, ძაგო, კაფუ, ტომაზი, ემერსონი, კანდელა, ტოტი, დელვეკიო (მონტელა 46), ბატისტუტა
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
პერუჯა: მაცანტინი, რივალტა, მატერაცი, დი ლორეტო, ზე მარია, ჯოვანი ტედესკო, ლივერანი, ბაიოკო, პიერი (მილანეზე 59), საუდატი (პეტრაკი 84), ვრიზასი (ბლაზი 59)
მწვრთნელი: სერსე კოზმი
გაფრთხილება: ძაგო, ტოტი, სამუელი, რივალტა, მატერაცი, მაცანტინი
61 128 მაყურებელი

### რეჯინა 0:2 ლაციო

0:1, 0:2 კრესპო (16, 70)
რეჯინა: ტაიბი, კანეირა, მეცანო, სტოვინი, ჟორანეკი, ვიკარი (მოცარტი 84), ბრევი, რ. ვერონი, კოცა (ნასი 71), და კოშტა, დიონიჯი (ბოგდანი 77)
მწვრთნელი: ფრანკო კოლომბა
ლაციო: პერუცი, ნეგრო, ფერნანდუ კოუტუ, ნესტა, ფავალი, პობორსკი (სტანკოვიჩი 75), დ. ბაჯო, ხ. ვერონი, სიმეონე, ნედვედი, კრესპო
მწვრთნელი: დინო ძოფი
გაფრთხილება: ბაჯო, ხ. ვერონი, ფავალი, სტოვინი
23 234 მაყურებელი

### ფიორენტინა 2:0 ლეჩე

1:0, 2:0 კიეზა (5, 87)
ფიორენტინა: ტოლდო, რეპკა, ადანი, ლასისი, მორეტი, ბრესანი (ტორიჩელი 68), დი ლივიო, კ. ამორუზო, მარკო როსი (ამარალი 88), კიეზა, მიატოვიჩი (ლეანდრო 55)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
ლეჩე: კიმენტი, დაინელი, ვიალი, სავინო, ბალერი (ვაზარი 65), კონტიკიო (ჯორჯეტი 55), ინგესონი, პიანჯერელი, ტონეტო (კოლონელო 84), ვუგრინეცი, ლუკარელი
მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი
გაფრთხილება: კონტიკიო, ვიალი, ლეანდრო
28 000 მაყურებელი

# ცხრას მინუს ხუთის ამბავი


REUTERS

იუვენტუსი — ინტერი. ფილიპო ინძაგის ვლადიმირ იუგოვიჩი და მატეო ფერარი გადაეღობნენ

### ვიჩენცა 4:2 ბოლონია

1:0 ტონი (37) 2:0, 3:0 კალონი (41, 44), 4:0 სომეზე (57), 4:1, 4:2 ბია (65პ, 85)
ვიჩენცა: სტერკელე, კარდონე (მარკო აურელიო 78), ძანკი, ტომაში, სომეზე, ფირმანი, დაბო, ბეგეტო (კომოტო 85), ძაული, ტონი, კალონი (ბერნარდინი 88)
მწვრთნელი: ედუარდო რეია
ბოლონია: პალიუკა, ფალკონე, ბია, კასტელინი, ნერვო, ოლივე, მარესკა, ვომე (ბრიოსკი 54), ლოკატელი, ჩიპრიანი (გამბერინი 60), ოლივეირა (ხულიო კრუზი 54)
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
გაფრთხილება: ძანკი, ოლივე, ბრიოსკი, პალიუკა, კომოტო
გაძევება: კასტელინი (56)
15 000 მაყურებელი

### ბარი 0:1 ნაპოლი

0:1 იანკულოვსკი (90)
ბარი: ჟილე, საიდი, მაცარელი, ინოჩენტი, ბელავისტა, პეროტა (მარკოლინი 69), ანდერსონი, კოლაუტო (მადსენი 75), ოსმანოვსკი, პოჯი, მასინგა (კასანო 56)
მწვრთნელი: ეუჯენიო ფაკეტი
ნაპოლი: ფონტანა (მანჩინი 45), ბოკეტი, ბალდინი, კიროგა (იანკულოვსკი 83), ბაჩინი, მაგონი, მატუზალემი, პეკია, პინედა, ნ. ამორუზო, ამაური (მორიერო 69)
მწვრთნელი: ემილიანო მონდონიკო
გაფრთხილება: ბელავისტა, ამორუზო, პოჯი
7 000 მაყურებელი

### ბრეშა 1:0 ვერონა

1:0 ბაჯო (22)
ბრეშა: სრნიჩეკი, ბონერა, პეტრუცი, გალი, დიანა, ა. ფილიპინი, ილანა (კ. ესპოზიტო 85), ბაკინი, პირლო (ბიზოლი 74), რ. ბაჯო, უბნერი (ტარე 85)
მწვრთნელი: კარლო მაცონე
ვერონა: ფერონი, ოდო (ლანძარო 57), ლაურსენი, გონელა, ტეოდორანი (ფრანჩესკეტი 71), კამორანეზი, მაცოლა, ლ. კოლუჩი, სალვეტი, ბონაცოლი, მუტუ (ჟილარდინო 67)
მწვრთნელი: ატილიო პეროტი
გაფრთხილება: ბონერა, კოლუჩი, ილანა, ტეოდორანი, ლაურსენი, პეტრუცი, ბაკინი, კამორანეზი, გონელა
გაძევება: კამორანეზი (63), გონელა (90)
13 000 მაყურებელი

**იყო** და არა იყო რა, იყო „რომა“ და იყო „იუვენტუსი“, ხოლო მათ შორის სხვაობა 9 ქულას უდრიდა. „რომას“ „სკუდეტოს“ ერთადერთ ფავორიტად მიიჩნევენ, ხოლო იტალიის პირველობას თითქმის დასრულებულად, ოღონდ საბოლოო წერტილის დასმას მაინც ერიდებოდნენ — იტალიაა, რა იცი რა ხდებაო.

როგორც გაირკვა მართლაც იტალია ყოფილა. გამოხდა ორიოდ ტური, „რომა“ და „იუვენტუსი“ პირველ-მეორე ადგილზე დარჩნენ, მაგრამ მათ შორის სხვაობა ოთხად ოთხ ქულამდე შემცირდა, ოთხი ქულა კი ერთი მოგება და ერთი ფრეა, მეტი არაფერი.

ახლა საქმე ასეა: დღეს 18 აპრილია და ოთხ დღეში „იუვენტუსი“ პარმაში მიდის, ხოლო „რომა“ უდინეში. მერე მოვა 29 აპრილი და „რომა“ „ლაციოს“ უმასპინძლებს, ხოლო „იუვენტუსი“ „ლეჩეს“, ამის მერე კი უთუოდ დადგება 6 მაისი, როდესაც „რომა“ ტურინში ჩავა... 6 მაისის შემდეგ კიდევ ხუთი ტურია, თუმცა ამ წერილში მთელ კალენდარს ნუ განვიხილავთ.

ეს წერილი საალდგომო ტურს ეხება — წლეულს კათოლიკური და მართლმადიდებლური აღდგომა დაემთხვა — „რომამ“ „სტადიო ოლიმპიკოზე“ „პერუჯას“ 2:2-ზე უკეთესი ვერაფერი მოუხერხა, ხოლო „იუვენტუსი“ „ინტერზე“ ძლიერი გამოდგა — 3:1.

გაზეთის კითხვისას, როგორც წესი, გულშემატკივარმა ანგარიშები უკვე იცის, მაგრამ თეორიულად დავუშვათ, რომ ვიღაცამ ახლა შეიტყო „რომასა“ და „პერუჯას“ ფრის ამბავი. ამ კაცს, ცხადია, გაუკვირდა, მაგრამ ჯერ არ იცის, რომ წინ მეტი საოცრება ელის — მასპინძლებმა ის ერთი ქულაც თამაშის ბოლოს, მსაჯის წამატებულ წუთებშიღა მოინადირეს. გაბრიელ ბატისტუტასა და დამიანო ტომაზის ექვს მცველთან ჭიდილში ვინჩენცო მონტელა ჩაერთო და ამ ბოლო, თავგანწირული გაბრძოლების უკანასკნელი დარტყმა შეასრულა. მოგვიანებით ეს გოლი პერუჯელი ჯოვანი ტედესკოს მიერ ბურთის საკუთარ კარში შეგდებად მონათლეს, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს, ისევე, როგორც იმას, რომ სტუმრებმა მსაჯს, კოსიმო ბოლონიოს გადაწყვეტილება გაუპროტესტეს, ზედახორის დროს ხელი იყო, ჩვენს სასარგებლოდ ჯარიმა უნდა დანიშნულიყოო. პროტესტმა რამდენიმე წუთს გასტანა.

ზოგადად, ამ შეხვედრაში „რომამ“ იწვალა. პირველად 44-ე წუთზე გაუჭირდა, როდესაც დავიდე ბაიოკომ ჩინებულად გაუტანა, მისი დარტყმა 30 მეტრიდან შევარდა მიზანში. ხოლო მეორედ მაშინ, როდესაც მეკარემ, ფრანჩესკო ანტონიოლიმ საშინელი შეცდომა დაუშვა და სტუმრები ხელმეორედ დააწინაურა — ლუკა საუდატიმ შეაგდო.

ამ ორ გოლს შორის „რომას“ კაპიტანმა ფრანჩესკო ტოტიმ მარჯვენა ფეხით დაბლა დაუმიზნა და ანგარიში გაათანაბრა.

ამასობაში კი, ტურინში, „სტადიო დელე ალპიზე“ ტურინელებმა ალესიო ტაკინარდიმ, ფილიპო ინძაგიმ და ალესანდრო დელ პიერომ „ინტერს“ სამი გოლი გაუტანეს, ოღონდ ეს ყველაფერი, მილანელთა ერთი საპასუხოს ჩათვლით, მეორე ტაიმში მოხდა. პირველში კი ინძაგიმ ძელს გაარტყა ბურთი.

ხოლო 50-ე წუთზე ტაკინარდიმ წინ სივრცე აღმოაჩინა და მეკარე სებასტიან ფრეის შანსი არ დაუტოვა. ოთხი წუთის შემდეგ ინძაგი თავის მეურვეს, მატეო ფერარის დაუსხლტა და დაბალი დარტყმით გააორმაგა ანგარიში, ხოლო 63-ეზე „ინტერის“ მეტად და მეტად არეულ დაცვას ახალი უბედურება დაატყდა თავს. ინძაგის პასით დელ პიერომ (ცოტა ლორან ბლანის წახმარებითაც) მესამე შეაგდო. აქ უკვე ყველაფერი ნათელი იყო, გარდა საბოლოო ანგარიშისა. საბოლოო ანგარიში კი მალევე დადგინდა — მასპინძელთა საჯარიმოში პაოლო მონტერომ კრისტიან ვიერი წააქცია, მსაჯმა პენალტი დანიშნა, ხოლო ვიერი წამოდგა და გაიტანა.

„ლაციომ“ „რეჯინასთან“ სტუმრად იმარჯვა. ორივე გოლი არგენტინელი ერნან კრესპოს დარტყმას მოჰყვა და ორივეჯერ პასი თანამემამულემ, დიეგო სიმეონემ მიაწოდა.

„პარმამ“ „ატალანტა“ დაამარცხა. თანაბარქულიანთა ამ შეხვედრაში, რომლის მონაწილენიც მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად იბრძვიან, გოლი პირველ ტაიმში გავიდა — სავო მილოშევიჩმა გაიტანა. ახლა პარმელებს რვა თამაშია არ წაუგიათ, მეოთხეზე არიან, „ლაციოს“ ექვსი ქულით ჩამორჩებიან და ოთხშაბათს, გამოტოვებული შეხვედრის სათამაშოდ სწორედ „სტადიო ოლიმპიკოზე“ მიდიან.

**ბაჩუნა ძიდია**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 რომა | 26 | 18 | 5 | 3 | 50:23 | 27 | 59 | 13 | 10 | 3 | 0 | 26:10 | 16 | 33 | 13 | 8 | 2 | 3 | 24:13 | 11 | 26 |
| 2 იუვენტუსი | 26 | 16 | 7 | 3 | 45:21 | 24 | 55 | 13 | 9 | 3 | 1 | 26:9 | 17 | 30 | 13 | 7 | 4 | 2 | 19:12 | 7 | 25 |
| 3 ლაციო | 25 | 15 | 4 | 6 | 46:27 | 19 | 49 | 12 | 8 | 2 | 2 | 25:11 | 14 | 26 | 13 | 7 | 2 | 4 | 21:16 | 5 | 23 |
| 4 პარმა | 25 | 12 | 7 | 6 | 39:21 | 18 | 43 | 13 | 7 | 3 | 3 | 24:9 | 15 | 24 | 12 | 5 | 4 | 3 | 15:12 | 3 | 19 |
| 5 ატალანტა | 26 | 10 | 10 | 6 | 31:21 | 10 | 40 | 14 | 4 | 7 | 3 | 13:10 | 3 | 19 | 12 | 6 | 3 | 3 | 18:11 | 7 | 21 |
| 6 მილანი | 26 | 10 | 10 | 6 | 41:35 | 6 | 40 | 14 | 8 | 5 | 1 | 32:17 | 15 | 29 | 12 | 2 | 5 | 5 | 9:18 | -9 | 11 |
| 7 ინტერი | 26 | 10 | 8 | 8 | 34:32 | 2 | 38 | 12 | 6 | 5 | 1 | 17:9 | 8 | 23 | 14 | 4 | 3 | 7 | 17:23 | -6 | 15 |
| 8 ფიორენტინა | 26 | 8 | 12 | 6 | 43:35 | 8 | 36 | 13 | 7 | 3 | 3 | 27:18 | 9 | 24 | 13 | 1 | 9 | 3 | 16:17 | -1 | 12 |
| 9 ბოლონია | 26 | 10 | 6 | 10 | 34:35 | -1 | 36 | 13 | 8 | 2 | 3 | 18:13 | 5 | 26 | 13 | 2 | 4 | 7 | 16:22 | -6 | 10 |
| 10 პერუჯა | 26 | 8 | 8 | 10 | 34:38 | -4 | 32 | 13 | 5 | 4 | 4 | 19:15 | 4 | 19 | 13 | 3 | 4 | 6 | 15:23 | -8 | 13 |
| 11 უდინეზე | 26 | 10 | 2 | 14 | 39:44 | -5 | 32 | 13 | 7 | 0 | 6 | 26:21 | 5 | 21 | 13 | 3 | 2 | 8 | 13:23 | -10 | 11 |
| 12 ლეჩე | 26 | 7 | 8 | 11 | 31:42 | -11 | 29 | 13 | 5 | 4 | 4 | 19:21 | -2 | 19 | 13 | 2 | 4 | 7 | 12:21 | -9 | 10 |
| 13 ბრეშა | 26 | 6 | 10 | 10 | 30:36 | -6 | 28 | 13 | 4 | 6 | 3 | 15:14 | 1 | 18 | 13 | 2 | 4 | 7 | 15:22 | -7 | 10 |
| 14 ვიჩენცა | 26 | 7 | 7 | 12 | 28:38 | -10 | 28 | 13 | 5 | 4 | 4 | 17:16 | 1 | 19 | 13 | 2 | 3 | 8 | 11:22 | -11 | 9 |
| 15 ნაპოლი | 26 | 6 | 9 | 11 | 25:36 | -11 | 27 | 13 | 4 | 5 | 4 | 15:15 | 0 | 17 | 13 | 2 | 4 | 7 | 10:21 | -11 | 10 |
| 16 ვერონა | 26 | 6 | 6 | 14 | 29:46 | -17 | 24 | 12 | 6 | 3 | 3 | 17:16 | 1 | 21 | 14 | 0 | 3 | 11 | 12:30 | -18 | 3 |
| 17 რეჯინა | 26 | 5 | 5 | 16 | 18:42 | -24 | 20 | 13 | 4 | 4 | 5 | 9:15 | -6 | 16 | 13. | 1 | 1 | 11 | 9:27 | -18 | 4 |
| 18 ბარი | 26 | 5 | 4 | 17 | 21:46 | -25 | 19 | 13 | 5 | 1 | 7 | 15:19 | -4 | 16 | 13 | 0 | 3 | 10 | 6:27 | -21 | 3 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| შევჩენკო (მილანი) | 18 |
| კრესპო (ლაციო) | 18 |
| კიეზა (ფიორენტინა) | 16 |
| ბატისტუტა (რომა) | 15 |
| უბნერი (ბრეშა) | 13 |

### გამოტოვებული მატჩი

დღეს
ლაციო — პარმა

### XXVII ტური

21 აპრილი
ნაპოლი — ბრეშა
ინტერი — ფიორენტინა
22 აპრილი
პერუჯა — ატალანტა
ბოლონია — ბარი
პარმა — იუვენტუსი
ლეჩე — მილანი
ვერონა — რეჯინა
უდინეზე — რომა
ლაციო — ვიჩენცა

## სერია B

### XXXI ტური

### ტრევიზო 1:2 ჩიტადელა

1:0 ბიცი (55), 1:1, 1:2 ბაიკუ (80, 90)

### ტერნანა 4:0 რავენა

1:0 ბორგობელო (44), 2:0 მიკოლი (45), 3:0, 4:0 გრაბი (45, 46პ)

### სიენა 1:1 ემპოლი

1:0 სკაჩალუგა (9), 1:1 მარკიონი (36)

### სალერნიტანა 0:1 კოზენცა

0:1 გვიდონი (16)

### პიაჩენცა 1:0 მონცა

1:0 ტოსტო (50)

### პესკარა 0:1 პისტოიეზე

0:1 ბაიანო (64პ)

### ჯენოა 3:1 ანკონა

1:0 როსინი (30), 2:0 კარპარელი (42), 2:1 პარლატო (45), 3:1 კარპარელი (60)

### კროტონე 0:1 ტორინო

0:1 კალაიო (5)

### კიევო 1:1 სამპდორია

0:1 დავერზა (22), 1:1 ზანფრედინი (24)

### კალიარი 2:1 ვენეცია

0:1 ვანუკი (20), 1:1 პინა (33), 2:1 კონტი (64)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პიაჩენცა | 31 | 17 | 6 | 8 | 39:21 | 57 |
| ტორინო | 31 | 17 | 6 | 8 | 37:28 | 57 |
| ვენეცია | 31 | 15 | 11 | 5 | 50:34 | 56 |
| კიევო | 31 | 15 | 11 | 5 | 42:28 | 56 |
| სამპდორია | 31 | 13 | 13 | 5 | 43:27 | 52 |
| კოზენცა | 31 | 15 | 7 | 9 | 35:31 | 52 |
| ტერნანა | 31 | 13 | 11 | 7 | 47:30 | 50 |
| კალიარი | 31 | 12 | 11 | 8 | 47:32 | 47 |
| კროტონე | 31 | 14 | 5 | 12 | 40:42 | 47 |
| ანკონა | 31 | 13 | 7 | 11 | 45:42 | 46 |
| ემპოლი | 30 | 12 | 8 | 10 | 34:33 | 44 |
| ჯენოა | 31 | 8 | 12 | 11 | 36:34 | 36 |
| სიენა | 31 | 8 | 12 | 11 | 32:39 | 36 |
| პისტოიეზე | 31 | 9 | 8 | 14 | 40:43 | 35 |
| ჩიტადელა | 31 | 8 | 11 | 12 | 33:45 | 35 |
| სალერნიტანა | 31 | 8 | 9 | 14 | 28:34 | 33 |
| ტრევიზო | 30 | 6 | 9 | 15 | 28:43 | 27 |
| მონცა | 31 | 7 | 4 | 20 | 30:61 | 25 |
| პესკარა | 31 | 3 | 12 | 16 | 26:42 | 21 |
| რავენა | 31 | 3 | 13 | 15 | 24:48 | 21 |

## სერია C1/A

30-ე ტური. არეცო — ალძანო 1:0; კარარეზე — სპეცია 0:1; ლეკო — ბრეშელო 3:2; ლუმეცანე — ჩეზენა 0:0; მოდენა — ალბინოლეფე 2:0; პიზა — ალესანდრია 0:1; რეჯანა — კომო 0:2; სპალ — ლივორნო 1:1; ვარეზე — ლუკეზე 0:0

## სერია C1/B

30-ე ტური. ატლეტიკო — ასკოლი 1:1; ბენევენტო — კატანია 2:3; ფერმანა — პალერმო 2:2; ჯულიანოვა — მესინა 1:1; ლოდიჯანი — ფ. ანდრია 0:2; ტორესი — ნოჩერინა 2:2. აველინო — რიზარო, დი სანგრო — სავოია და აკილა — ვიტერბეზე გადაიდო

იტალიის ჩემპიონატი
ოცდამეექვსე ტურის მატჩი

## მილანი 3:0 უდინეზე

კახა კალაძე: 90 წუთი

# კალაძე ტაბლოზე ავიდა

— „**სან სიროზე**“ გოლი ადრეც გამიტანია, ორი წლის წინ, კიევის „დინამოში“ რომ ვიყავი და „მილანს“ ამხანაგურ მატჩში შევხვდით, მაგრამ პირველი ოფიციალური გოლი სხვა გემოსია. იმ თამაშში, რომელიც მოვიგეთ, ანგარიშის გახსნა დიდებული იყო. დიდ მადლობას ვუხდი თანაგუნდელებს, ქომაგებსა და ჟურნალისტებს“ — განაცხადა „უდინეზესთან“ 3:0 მოგების შემდეგ „მილანის“ ქართველმა ნახევარმცველმა კახა კალაძემ. იმ შეხვედრაში „შავ-წითლების“ მე-13 ნომერმა ახალი გუნდის შემადგენლობაში პირველი გოლი შეაგდო.

ეს გოლი, მე-9 წუთზე ასე გავიდა: საჯარიმოში, კარისკენ ზურგით მდგომ კალაძეს პასი ჯუნტიმ მიაწოდა. კახამ ბურთი დაიმორჩილა, შემობრუნება შეძლო და მარცხენა ფეხით დაარტყა. ბურთი ხალხმრავალ ადგილას გაძვრა, ტურჩის ჩაუარა, მარჯოტას შეეხო და კარში შევარდა.

აღსანიშნავია, რომ არაევროკავშირელთა ლიმიტის დასაცავად ჩეზარე მალდინიმ ზვონიმირ ბობანი ვერ ათამაშა. ლიმიტირებულთაგან მოედანზე იყვნენ კალაძე, შევჩენკო და როკე ჟუნიორი. მალდინის განლაგება კლასიკური 4-4-2 გახლდათ.

„ძალიან კმაყოფილი ვარ იმით, რაც ფეხბურთელებმა შეასრულეს. მათ მთელი 90 წუთის განმავლობაში კარგად ითამაშეს, ირბინეს და ერთმანეთს ეხმარებოდნენ. კალაძე მისთვის ცოტა უჩვეულო დავალებით გავუშვი მოედანზე და მაინც გაართვა ამოცანას თავი. მან გოლიც გაიტანა, თუმცა მინდა ქების სიტყვები სხვა ნახევარმცველების მისამართითაც ვთქვა“ — განაცხადა მატჩის შემდეგ მწვრთნელმა.

ოლივერ ბირჰოფი: „მიუხედავად იმისა, რომ გოლი ვერ გავიტანე, ტრიბუნებმა მხარი დამიჭირეს. ჩვენ მოედანზე მოსაგებად ვიყავით გასული და მიზანს მივაღწიეთ. საზოგადოდ, ძაკერონის დროს უფრო მეტს ვუტევდით და მომენტებსაც უფრო ხშირად ვქმნიდით, მაგრამ დღეს დაცვა შეუდარებლად ძლიერი გვყავს“.

რაც შეეხება შეფასებებს, კახა კალაძეს „გაძეტა დელო სპორტისგან“ 7 ქულა ერგო, ხოლო „რაი უნოსგან“ 6,5. მილანური გაზეთის ვერსიით გუნდში ყველაზე ძლიერი სერჟინიო იყო — 7,5. იგივე აზრისაა სახელმწიფო ტელეკომპანიაც, ოღონდ ბრაზილიელს ნახევარი ქულით ნაკლებს უწერს. კალაძის ტოლად გაზეთმაც და ტელეარხმაც პაოლო მალდინი შეაფასეს, თუმცა ტელეარხმა ამ ორს ანდრეი შევჩენკოც მიამატა.

**ბაჩუნა ძიძია**



კახა კალაძემ პირველი იტალიური გაიტანა


სარბიელი

სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს, გამოცდილთაც და ახალბედებსაც, გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებლებს და მბეჭდავ-ოპერატორებს.

მიღება მოხდება შერჩევით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14


## საფრანგეთი

XXXI ტური

**ლიონი 2:0 პსჟ**
1:0 ანდერსონი (45), 2:0 მარლე (80)

**ნანტი 1:0 ბასტია**
1:0 მონტერუბიო (27)

**ოსერი 1:1 ლილი**
1:0 ჟ. სისე (2), 1:1 ნდიაე (21)

**ბორდო 2:1 სტრასბური**
0:1 ბეიე (46), 1:1 ვილმოტსი (53), 2:1 პაულეტა (61)

**გენგამი 1:3 მეცი**
1:0 ფიორეზე (35), 1:1, 1:2 ბატიკლი (64, 82), 1:3 მეირო (90)

**მონაკო 5:3 სენტ ეტიენი**
0:1 პედრონი (31), 0:2 ალექსი (34), 1:2 ჟიული (54), 1:3 ალოიზიო (58), 2:3 ჟიული (65), 3:3 პანუჩი (78), 4:3 სიმონე (83), 5:3 რიისე (85)

**მარსელი 2:1 სედანი**
0:1 კუინტი (6), 1:1 ბელმადი (11), 2:1 ვეა (28)

**ტულუზი 2:0 რენი**
1:0 დიუზი (26), 2:0 ბონილია (90)

**ლანსი — ტრუა**
გადაიდო

# ერთი ჩავიდა, ორი ავიდა, ტაპი დაბრუნდა




REUTERS მარსელიდან

ტაპის ელოდნენ, ტაპი მივიდა

**ამ უქმეებზე** საფრანგეთის ჩემპიონატის 31-ე ტური ჩატარდა, რომელმაც რამდენიმე კითხვას პასუხი გასცა. პირველი ისაა, რომ მომავალ სეზონში „სტრასბური“ მეორე დივიზიონში ითამაშებს. ალზასელებმა „ბორდოსთან“ მორიგი მარცხი იწვნიეს და ჩემპიონატის დამთავრებამდე სამი ტურით ადრე „მარსელს“ 10 ქულით ჩამორჩებიან. ხოლო ვინაიდან პირველი დივიზიონიდან სამი გუნდი ვარდება, „სტრასბური“ უკვე ოფიციალურად დაქვეითდა.

ტური გაიმართა მეორე დივიზიონშიც და იქ ორმა გუნდმა უკვე გაინაღდა ელიტაში თამაშის უფლება. ლავალში ფრედ 0:0 დასრულებული მატჩი „მონპელიეს“ ალზევებისთვის საკმარისი გამოდგა, „სოშო“ კი „კრეტეისთან“ 0:1 მარცხს საერთოდ არ დაუმწუხრებია, რადგან ქულები კონკურენტებმაც დაკარგეს. პირველი დივიზიონის მესამე საგზურს წესით, თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, „ლორიანი“ უნდა დაეპატრონოს, რომელმაც პარასკევს ნანსიში 1:0 გაიმარჯვა.

დავუბრუნდეთ პირველ დივიზიონს და 31-ე ტურს, რომლის 8 მატჩში 25 გოლი გავიდა, მსაჯებმა კი ფეხბურთელებს 33-ჯერ აუფრიალეს ყვითელი ბარათი. ყველაზე უდისციპლინო მატჩები მარსელში, ტულუზსა და ნანტში გაიმართა, ექვს-ექვსი გაფრთხილებით. „ნანტს“ პირველად გაუძევეს კაცი, არგენტინელი მცველი ნესტორ ფაბრი. მის გარდა კიდევ სამ ფეხბურთელს — კუასის (გენგამი), ვან ჰანდენჰოვენსა (მეცი) და დეფლანდრს (ლიონი) — მოუწია მინდვრის იძულებით დატოვება.

„მონაკომ“ 5 გოლი გაიტანა და „ნანტს“ პირველობას ეცილება, ოღონდ არა ჩემპიონატში, არამედ ყველაზე შედეგიანი გუნდის სახელისთვის. საუკეთესო დაცვის მქონეებად „ლილი“ და „ლიონი“ რჩებიან, რომლებსაც, შესაბამისად, მხოლოდ 22 და 26 გოლი აქვთ გაშვებული.

„ნანტის“ კარის დარაჯმა მიკაელ ლანდრომ ბასტიელი პიერ-ივ ანდრეს პენალტის მოგერიებით დაამტკიცა, რომ ამ საქმის ერთ-ერთი საუკეთესო ოსტატია, 31 მარტს ლანდრომ საფრანგეთის თასის მეოთხედფინალში „ოსერის“ წინააღმდეგ ორი თერთმეტმეტრიანი აილო და, საერთოდ, მან პირველ დივიზიონში დებიუტი სწორედ პენალტის მოგერიებით აღნიშნა. 1996 წლის 2 ოქტომბერს 16 წლის მეკარემ სლოვაკი ლუბიმორ მორავჩიკი გააწბილა „ფურიანზე“, რაც „ბასტიის“ სტადიონის სახელია.

კორსიკელები უკანასკნელ ხანებში ერთგვარ „უძრაობის“ ხანაში არიან. 24-ე ტურიდან მოყოლებული ერთი მატჩიც ვერ მოუგიათ, 21 შესაძლებლიდან ოდენ 1 ქულა მოიხვეჭეს და ევროსაგზურს დაემშვიდობნენ.

სამაგიეროდ, თამაშს თამაშზე იგებს „ნანტი“ და რადგან მისმა მთავარმა მეტოქე „ლილმა“ ისევ ფრედ ითამაშა, ფაქტობრივად, მიუღწეველია. ძნელი წარმოსადგენია თბილისის დაძმობილებული ქალაქის გუნდმა სამ ტურში ოთხქულიანი უპირატესობა გაფლანგოს, მით უმეტეს, რომ 32-ე ტურში, როცა ის „ტრუას“ ესტუმრება, „ლილი“ „ლიონს“ მასპინძლობს. თუმცა, რომ იტყვიან, ბურთი მრგვალია და ჩვენც წინდაწინ ნუ გამოვაცხადებთ „ნანტს“ ჩემპიონად.

თანაც „ლიონიც“ ბრწყინვალე ფორმაშია, რაც „პარი სენ ჟერმენთანაც“ დადასტურდა. მასპინძლებმა თავიდანვე შეუტიეს და ვიოლის, ფოესა და გოვუს შეეძლოთ თავის გამოჩენა, მაგრამ პსჟ გადარჩა. ტაიმის შუაში თამაში გათანაბრდა და პარიზელებსაც მიეცათ ანგარიშის გახსნის შანსი, ოღონდ ბენარბიასა და ანელკას კუპემ არ დაანება გოლის გატანა. ლიონელთა მეკარემ მატჩის მიწურულს იმავე ანელკას თავურიც მოიგერია და ეგ იყო. ლეტიზი კი უფრო დაიტვირთა და ორი გოლიც გაუშვა. 45-ე წუთზე ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა, ბრაზილიელმა სონი ანდერსონმა გადაუგდო თავზე ბურთი, 81-ე წუთზე კი ერთ-ერთი კონტრშეტევისას ანდერსონმა სტივ მარლეს პასით საბოლოო ანგარიშიც დაფიქსირდა.

ტური იმითაც იყო გამორჩეული, რომ მარსელის „ოლიმპიკს“ ძველი პატრონი ბერნარ ტაპი დაუბრუნდა. ოდინდელი პრეზიდენტი ამჯერად კლუბის სპორტულ მხარეს მიხედავს. მან უკვე განაცხადა კიდეც, რომ ახლანდელი შემადგენლობიდან მხოლოდ ორ-სამ ფეხბურთელს დატოვებს, დანარჩენებს კი, რადგანაც უჯიგროდ თამაშობენ, მიჰყიდ-მოჰყიდის.

ამ სიტყვებმა იმოქმედეს, თუ რა იყო, მარსელელებმა ჩინებულად ითამაშეს და ევროსაგზურისთვის მებრძოლი „სედანი“ შინ ხელცარიელი გაუშვეს. თანაც თავიდან აგებდნენ და მატჩის ბედის შემობრუნება შეძლეს. „წლეულს პირველად ვითამაშეთ რაღაც ტაქტიკური სქემით“ — ახალ მწვრთნელ ტომისლავ ივიჩს გაუგორა კოჭი გუნდის კაპიტანმა პატრიკ ბლონდომ და იქვე დაამატა, ბერნარ ტაპის მოსვლით „მარსელსა“ და მარსელში სულ სხვა ატმოსფერო შეიქმნაო. მისმა თანაგუნდელმა ფრედერიკ ბრანდომ კი შედარებით ნაკლებად აღიდა ახალი ხელმძღვანელობა. „ეს მატჩი ტაპიმ კი არა, ფეხბურთელებმა მოვიგეთ“ — თქვა ბრანდომ.

ივიჩის აზრით კი სამუშაო მეტისმეტად ბევრია, რადგან „მარსელი“ „ტაქტიკაში, ტექნიკასა და ფიზიკურ მზადყოფნაში საკმაოდ მოიკოჭლებს“. დარჩენილ სამ ტურში, ვინაიდან გავარდნის საფრთხე, ფაქტობრივად, აიცილეს, მარსელელები უკვე მომავალი სეზონისთვის მზადების დაწყებას გეგმავენ.

**გაგი გურული**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანტი | 31 | 18 | 5 | 8 | 52:35 | 59 |
| ლიონი | 31 | 14 | 13 | 4 | 46:26 | 55 |
| ლილი | 31 | 15 | 10 | 6 | 38:22 | 55 |
| ბორდო | 31 | 14 | 11 | 6 | 44:28 | 53 |
| სედანი | 31 | 13 | 9 | 9 | 42:35 | 48 |
| რენი | 31 | 13 | 6 | 12 | 41:33 | 45 |
| ტრუა | 30 | 11 | 10 | 9 | 42:43 | 43 |
| გენგამი | 31 | 11 | 9 | 11 | 37:43 | 42 |
| მონაკო | 31 | 12 | 5 | 14 | 51:47 | 41 |
| ოსერი | 31 | 11 | 8 | 12 | 31:38 | 41 |
| ბასტია | 31 | 11 | 6 | 14 | 37:38 | 39 |
| პსჟ | 31 | 11 | 6 | 14 | 39:41 | 39 |
| ლანსი | 30 | 9 | 10 | 11 | 34:33 | 37 |
| მეცი | 31 | 9 | 10 | 12 | 33:42 | 37 |
| მარსელი | 31 | 10 | 6 | 15 | 28:37 | 36 |
| სენტ ეტიენი | 31 | 9 | 8 | 14 | 40:52 | 29 |
| ტულუზი | 31 | 6 | 10 | 15 | 28:42 | 28 |
| სტრასბური | 31 | 6 | 8 | 17 | 26:54 | 26 |

## მეორე დივიზიონი

35-ე ტური. ნიმი — ლე მანი 3:1; ლავალი — მონპელიე 0:0; კრეტეი — სოშო 1:0; გენიონი — ლე ავრი 1:2; ნიორი — აიაჩო 4:3; ბოვე — მარტიგი 3:1; ნიცა — კანი 2:0; ნანსი — ლორიანი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონპელიე | 35 | 18 | 13 | 4 | 50:22 | 67 |
| სოშო | 35 | 18 | 12 | 5 | 56:24 | 66 |
| ლორიანი | 34 | 18 | 10 | 6 | 50:31 | 64 |
| ნანსი | 35 | 15 | 9 | 11 | 45:29 | 54 |
| ლავალი | 35 | 15 | 8 | 12 | 37:35 | 53 |
| ნიორი | 34 | 13 | 13 | 8 | 53:40 | 52 |
| შატორუ | 32 | 13 | 12 | 7 | 45:29 | 51 |
| ნიმი | 34 | 13 | 11 | 10 | 48:45 | 50 |
| ლე ავრი | 34 | 12 | 13 | 9 | 43:38 | 49 |
| გენიონი | 34 | 11 | 10 | 13 | 36:45 | 43 |
| ლე მანი | 35 | 9 | 15 | 11 | 35:43 | 42 |
| ნიცა | 35 | 12 | 6 | 17 | 36:49 | 42 |
| აიაჩო | 35 | 11 | 8 | 16 | 28:37 | 41 |
| ბოვე | 34 | 9 | 13 | 12 | 34:39 | 40 |
| კრეტეი | 35 | 9 | 12 | 14 | 33:39 | 39 |
| ვასკეალი | 34 | 8 | 12 | 14 | 30:36 | 36 |
| კაენი | 32 | 9 | 9 | 14 | 30:46 | 36 |
| მარტიგი | 33 | 6 | 14 | 13 | 26:42 | 32 |
| კანი | 35 | 7 | 11 | 17 | 39:59 | 32 |
| ანჟერი | 34 | 5 | 11 | 18 | 29:55 | 26 |




REUTERS ლიონიდან

ლიონი — პსჟ. სტივ მარლემ პარიზელებს დამჭდარმაც გაუტანა

## რუსეთი

# ჯანაშიამ გაზაევი გადააყენა

V ტური

**როტორი 1:1 ცსკა**

1:0 ესიპოვი (33), 1:1 ბორზენკოვი (37ს.კ.)

**როსტსელმაში 0:1 სპარტაკი**

0:1 პარფიონოვი (72პ)

**ტორპედო ზილ 2:0 ჩერნომორეცი**

1:0 მიკალაიუნასი (60), 2:0 რადიონოვი (85)

**სატურნი 1:2 სოკოლი**

1:0 კუჩინოვი (33), 1:1 ნიკიტინი (45), 1:2 სამოილოვი (63)

**ფაკელი 1:2 ზენიტი**

0:1 პოპოვიჩი (11), 1:1 გურბანოვი (32პ), 1:2 არშავინი (42)

**დინამო 1:2 ლოკომოტივი**

1:0 გრიშინი (29), 1:1 ლოსკოვი (61), 1:2 ჯანაშია (76)

**კრილია სოვეტოვი 0:0 ანჟი**

**ტორპედო 0:1 ალანია**

0:1 ბითაროვი (84)

**მეხუთე** ტურის მატჩებმა ჩემპიონატის ინტრიგა კიდევ უფრო გაზარდა. სამარის „კრილიამ" შინ „ანჟისთან" დრამატულ მატჩში პირველი ქულები დაკარგა. შედეგად, მას სამი გუნდი — „ზენიტი", „სოკოლი" და „სპარტაკი" წამოეწია. ზაზა ჯანაშიას გადამწყვეტი გოლით „ლოკომოტივმა" თანაქალაქელი „დინამო" დაამარცხა და ლიდერებს ორი ქულით ჩამორჩება. დინამოელთა თავკაცი ვალერი გაზაევი კი გადადგა.

პირველი გამარჯვება მოიპოვა „ალანიამ". ვლადიკავკაზელებმა მოსკოვში „ტორპედოს" მოუგეს და ბოლოდან მესამე ადგილზე აინაცვლეს. პირველი ქულა ჩაიწერა ცსკა-მაც, რომელმაც ვოლგოგრადში, როტორთან" ფრეს მიაღწია.

სამარაში ხალხი ფეხბურთზე გაგიჟდა. მატჩის ბილეთების შოვნა დიდი გმირობაა, გადამყიდველები კი მამასისხლად ასაღებენ. „ანჟისთან" მასპინძლებს არ ჰყავდათ ანგინიანი ტიხონოვი და ტრავმირებული ბუშმანოვი. მიუხედავად ამისა, მთელი მატჩის მანძილზე ძალიან ბევრს უტევდნენ, მაგრამ სტუმართა მეკარე ჟიდკოვს ვერაფერი დააკლეს. დასაწყისშივე, მე-11 წუთზე კარიაკას წაქცევისთვის მსაჯმა დაღესტნელთა კარში პენალტი დანიშნა, მაგრამ წინა მატჩის გმირის, კასიმოვის დარტყმული ჟიდკოვმ მოიგერია. ბოლო 13 წუთი სამარელებმა რიცხობრივ უმცირესობაში გაატარეს, უკრაინელი კარიაკა ისევ საჯარიმოში წაიქცა, მაგრამ მსაჯმა თაღლითობო და ყვითელი აუფრიალა, ვინაიდან კარიაკას ერთი გაფრთხილება უკვე მიელო, მინდორიც თავჩაქინდრულმა დატოვა.

„კასიმოვს რომ გაეტანა, სულ სხვა თამაში წავიდოდა, მაგრამ რა გაეწყობა. ეტყობა, ჩვენი დღე არ იყო. თუმცა, მაყურებლისთვის ერთობ სასეირო მატჩი კი გამოდგა" — თქვა შეხვედრის შემდეგ „კრილიას" მწვრთნელმა ალექსანდრ ტარხანოვმა.

„პეტროვსკი პარკში" „დინამომ" „ლოკომოტივთან" წააგო, თუმცა პირველი ტაიმის მერე გრიშინის გოლით იგებდა. მეორე ნახევრის შუაში ლოსკოვმა სადღაც 20 მეტრიდან უძლიერესად დაარტყა და გაათანაბრა. დამთავრებამდე 15 წუთით ადრე კი ქართველი თავდამსხმელის ჯერიც დადგა. შეცვლაზე შესული ბუზნიკინი ორი მცველის მოტყუებას ცდილობდა, მაგრამ ბურთი ყველასგან მივიწყებულ ჯანაშიას მიუვიდა და ზაზამაც ახლოდან ზუსტად დაარტყა. მერე კი... „საწყენია, რომ ზედიზედ მეორე მატჩში ქულებს ვკარგავთ. ჩვენ თანამედროვე ფეხბურთის თამაშს ვცდილობთ, მაგრამ ფეხბურთელების ოსტატობა და მოკლე სათადარიგოთა სკამი ამის საშუალებას არ გვაძლევს. მიმაჩნია, რომ „დინამოში" ჩემი მისია ამოვწურე. მე მივდივარ, თუმცა ჩემს შემცვლელს ახალგაზრდა და პერსპექტიულ გუნდს ვუტოვებ, რომელსაც უკვე ამ სეზონში შეუძლია წარმატებით გამოსვლა" — დინამოელთა უკვე ყოფილ მწვრთნელ ვალერი გაზაევს მეტი არაფერი უთქვამს.

ამბობენ, მისი გადადგომა კლუბის პრეზიდენტ ნიკოლაი ტოლსტიხთან უთანხმოებამ გამოიწვიაო. საერთოდ, მათ დიდი ხანია ერთმანეთი გულზე არ ეხატებათ, ამიტომაც გასაკვირი იყო, როცა შარშანდელი სეზონის წინ გაზაევი „დინამოს" მწვრთნელად დაინიშნა. ჭორაობენ, პრეზიდენტი აიძულეს ასეთი გადაწყვეტილება მიეღოო.

გადადგომა კი გაზაევისგან გასაკვირი არ არის. ის „დინამოდან" 1993-შიც წავიდა, როცა უეფას თასის მატჩში გერმანულ „აინტრახტთან" 0:6 წააგოს, „ალანიიდანაც" მიდიოდა საჩემპიონო სეზონის მერე, მაგრამ დარჩა. „დინამოს" შარშან ნოემბერშიც დაუქნია ხელი, მაგრამ მალევე გადაიფიქრა. ახლა კი, ჩანს მართლაც წავიდა.

გაზაევის შემცვლელად დროებით მისი თანაშემწე ალექსანდრ ნოვიკოვი იმუშავებს. მერე კი, შესაძლოა, ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცის" ახლანდელი დამრიგებელი ანატოლი ბაიდაჩნი მიიწვიონ.

ნოვიკოვი 1975-88 წლებში თამაშობდა მოსკოვის „დინამოში" და ამ კლუბში ჩატარებული მატჩების რაოდენობით თვით ლევ იაშინსაც კი უსწრებს. ასევე დინამოელი იყო ბაიდაჩნიც. ასე რომ, კლუბში „შინაურები" ტრიალებენ.

ჯანაშია კი რკინიგზელთაგან საუკეთესოდ მიიჩნიეს. „სპორტ ექსპრესმა" მას ყველაზე მაღალი ქულა — 7 დაუწერა.

ზემოთ ვთქვით, რომ წლევანდელ სეზონში პირველად მოიგო ვლადიკავკაზის „ალანიამ", თანაც მოსკოვში „ტორპედოსთან". დამთავრებამდე 6 წუთით ადრე რობერტ ბითაროვი მარჯვენა ფლანგზე ყველას გაექცა და მახვილი კუთხიდან ძლიერად დაარტყა. ეს იყო „ალანიას" პირველი გოლი ჩემპიონატში. ჩვენი რუსი კოლეგები კი აღნიშნავენ, „ალანიას" დიდი არაფერი უთამაშია, უბრალოდ, „ტორპედო" უფრო სუსტი გამოდგაო. ალანთა მწვრთნელი ალექსანდრ ავერიანოვი კი უმუშევრად დარჩენას გადაურჩა და „მიმინოს" გმირივით ალაპარაკდა: „შეიძლება არც დამიჯეროთ, მაგრამ თამაშის მერე თვალებზე ცრემლი მომადგა. ვუყურებ ჩემს ბიჭებს და მეამაყება. რთულ ვითარებაში არ მიღალატეს და მოიგეს. ძალიან დიდი მადლობა მათ სიასაყ... ცრემლებისთვის"...

აი, ხანდახან ასეც ხდება ხოლმე.

დღეს კი მეექვსე ტურია. მთავარი ამბები რამენსკოეში მოხდება, სადაც „ლოკომოტივი" „კრილიას" მასპინძლობს.

**სოლომონ ბულისაშვილი**



დინამო — ლოკომოტივი 1:2. რკინიგზელი ზაზა ჯანაშია (შუაში) და დინამოელი ანდრეი ბულატოვი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრილია | 5 | 4 | 1 | 0 | 8:0 | 13 |
| ზენიტი | 5 | 4 | 1 | 0 | 9:3 | 13 |
| სოკოლი | 5 | 4 | 1 | 0 | 6:2 | 13 |
| სპარტაკი | 5 | 4 | 1 | 0 | 5:1 | 13 |
| ლოკომოტივი | 5 | 3 | 2 | 0 | 4:1 | 11 |
| ანჟი | 5 | 2 | 3 | 0 | 4:2 | 9 |
| როტორი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:3 | 5 |
| სატურნი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:5 | 5 |
| ტორპედო | 5 | 1 | 2 | 2 | 4:7 | 5 |
| დინამო | 5 | 1 | 1 | 3 | 4:5 | 4 |
| ფაკელი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:6 | 4 |
| ზილ | 5 | 1 | 1 | 3 | 3:5 | 4 |
| ჩერნომორეცი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:8 | 4 |
| ალანია | 5 | 1 | 0 | 4 | 1:5 | 3 |
| როსტსელმაში | 5 | 0 | 2 | 3 | 3:7 | 2 |
| ცსკა | 5 | 0 | 1 | 4 | 1:8 | 1 |

# სიკვდილი საუთენდში

## ვარჯიში მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისთვის

**ორშაბათის** მატჩი „საუთენდსა" და „მანსფილდ თაუნს" შორის 42-ე წუთზე შეწყდა და აღარც განახლებულა — ინგლისის მესამე დივიზიონის ეს რიგითი შეხვედრა ტრაგიკულად დამთავრდა.

„თავიდან ვიფიქრე, მსაჯს რომელიღაც ფეხბურთელი შეეჯახა-მეთქი, თუმცა როცა ადგილზე მივირბინე, მივხვდი, რომ საქმე გაცილებით სერიოზულად იყო — ამბობს „საუთენდის" მასაჟისტი ჯონ კოუენსი — საწყალი არბიტრი უმოძრაოდ ეგდო. ჩვენი ექიმი სასწრაფოდ მის შველას შეუდგა, თუმცა უკვე გვიან იყო". მართლაც, 41 წლის მაიკ ნორსი საუთენდის ჰოსპიტალში უკვე გარდაცვლილი მიიყვანეს. „ცხადია, სარეზერვო მსაჯი ადგილზე იყო, მაგრამ შეხვედრის მონაწილენიც და 4 ათასამდე მაყურებელიც ისეთ შოკში აღმოვჩნდით, თამაშის გაგრძელება აზრადაც არავის მოსვლია" — განაცხადა სტუმართა მწვრთნელმა.

ორი ქალიშვილის მამა მაიკ ნორსი დორსეტელი იყო. სწორედ ამ რეგიონის მატჩების მსაჯობით დაიწყო არბიტრის კარიერა, წლეულს კი მესამე დივიზიონის შეხვედრათა წარმართვაც ანდეს. როგორც კოლეგები და ახლობლები ამბობენ, ერთ დროს ჯარში ნამსახურევი ნორსი თითქმის იდეალური ჯანით გამოირჩეოდა. მუდმივად დარბოდა ან ველოსიპედით დაქროდა და საერთოდ, ჯანმრთელობას დიდ ყურადღებას აქცევდა... „ის ყველაფერს ასწრებდა" — თქვა დორსეტის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცმა.

ბედისწერას მაინც ვერ გაექცა და შუა მოედანზე გულის შეტევით აღესრულა.



მაიკ ნორსი

**გიგა ძოგახიძე**

## ჰოლანდია

XXVIII ტური

**ვიტესი 0:0 პსვ ეინდჰოვენი**

პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ფაბერი, ნიკიფოროვი, ჰოფლანდი, ჰაინცე (ბუმა 80), ვან ბომელი, რომედალი (ბრუგინკი 68), დე იონგი, რამზი (კოლკა 67), კეზმანი, ვან ნისტელროოი

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

28 000 მაყურებელი

**ფეიენოორდი 1:2 გრააფსხაპი**

0:1 დენ ტურკი (9), 0:2 ტუმბა (72), 1:2 ელმანდერი (81)

**როზენდალი 1:3 სპარტა**

1:0 ვოსი (10), 1:1 ელხატაბი (16), 1:2 ბუხარი (39), 1:3 ინია (63)

**ვალვაიკი 1:1 ჰერენვენი**

0:1 ლურლინგი (50), 1:1 ვან ლონშუტი (82)

**ალკმარი 2:0 გრონინგენი**

1:0 მატისი (49), 2:0 ჰუიბერტსი (90)

**სიტარდი 2:0 ნაიმეგენი**

1:0 ბიეკოვიჩი (30), 2:0 ჰამინგი (90)

**როდა 1:1 აიაქსი**

1:0 ანასტასიუ (62), 1:1 არველაძე (63პ)

აიაქსი: გრიმი, ვერკლაუ, პასანენი, დე კლერი, იაკუბუ, გალაშეკი, ვან დერ ვაარტი (კრუზი 63), ვიჩგე, ვან დერ გუნი, შ. არველაძე, ვამბერტო (ვან დერ მეიდე 71)

მწვრთნელი: კო ადრიანსე

19 200 მაყურებელი

**ტვენტე 0:0 უტრეხტი**

**ტილბურგი 1:3 ბრედა**

1:0 ლანძაატი (50), 1:1 პენდერსი (63), 1:2 სტიუარტი (81), 1:3 ფეპერი (86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 28 | 20 | 7 | 1 | 57:16 | 67 |
| ფეიენოორდი | 28 | 18 | 2 | 8 | 55:28 | 56 |
| აიაქსი | 28 | 15 | 6 | 7 | 70:33 | 51 |
| როდა | 3 | 14 | 7 | 7 | 50:33 | 49 |
| ვალვაიკი | 28 | 13 | 10 | 5 | 38:23 | 49 |
| ვიტესი | 28 | 13 | 8 | 7 | 46:38 | 47 |
| უტრეხტი | 27 | 12 | 6 | 9 | 42:39 | 42 |
| ტილბურგი | 28 | 11 | 8 | 9 | 49:42 | 41 |
| ბრედა | 27 | 11 | 6 | 10 | 36:38 | 39 |
| ჰერენვენი | 27 | 9 | 11 | 7 | 38:32 | 38 |
| ნაიმეგენი | 28 | 8 | 13 | 7 | 33:37 | 37 |
| ტვენტე | 27 | 7 | 9 | 11 | 38:51 | 30 |
| ალკმარი | 28 | 8 | 6 | 14 | 37:52 | 30 |
| გრონინგენი | 28 | 7 | 7 | 14 | 31:43 | 28 |
| გრააფსხაპი | 28 | 7 | 3 | 18 | 34:58 | 24 |
| სიტარდი | 28 | 6 | 6 | 16 | 22:49 | 24 |
| სპარტა | 28 | 6 | 5 | 17 | 38:60 | 23 |
| როზენდალი | 28 | 4 | 2 | 22 | 34:76 | 14 |

## ბელგია

XXIX ტური

**ანტვერპენი 1:1 ლუვიე**

1:0 სეოლი (29), 1:1 ოუსბი (80)

**შარლერუა 2:1 ბეერსხოტი**

0:1 დაგანო (15), 1:1 დიასი (69), 2:1 დაფერი (77პ)

**ბევერენი 0:2 ბრიუგე**

0:1 სილა (17), 0:2 კლემენტი (88)

**ვესტერლო 0:0 მეხელენი**

**სენტ ტრუიდენი 1:0 აალსტი**

1:0 ბოფინი (22)

აალსტი: კუიოვიჩი, ვან ჰაუვეგენი, ეტჩი ობენი (დიმბალა 77), არტსი, ტემერმანი, ფილიპოვიჩი (ჯეკობსი 58), რეიჯელი, კესტენსი, აელბრეხტი (ვან დენ ბოში 58), ტიბო დე ვილდე

მწვრთნელი: ვიმ დე კონინკი

7 000 მაყურებელი

**ჰარელბეკე 2:1 გენტი**

0:1 ბროკარი (32), 1:1 ტომსონი (45), 2:1 მრჩელქაკი (90)

**გენკი 4:0 მუსკრონი**

1:0 დი გრეგორიო (11), 2:0 სკოკო (44), 3:0, 4:0 სონკი (81, 89)

**ლიერსი 1:4 ლოკერენი**

0:1 კრისტინსონი (19), 0:2 ბანგურა (23), 1:2 სომერსი (37), 1:3 ბანგურა (47), 1:4 ოლუფადე (74)

ლიერსი: დემანი, ლაერემანსი (იანსენსი 55), ვან მეირი, ჰოფკენსი, დაემსი, შეყილაძე, სნოექსი, სომერსი (კარლოს ალბერტო 59), ლეენი, კავენსი (ჰიუსმანსი 59), ვან დოორენი

მწვრთნელი: ვალტერ მეუსი

6 500 მაყურებელი

**ანდერლეხტი 0:0 სტანდარდი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 29 | 20 | 8 | 1 | 73:24 | 68 |
| ბრიუგე | 29 | 19 | 9 | 1 | 73:23 | 66 |
| სტანდარდი | 29 | 14 | 10 | 5 | 64:34 | 52 |
| გენტი | 29 | 14 | 7 | 8 | 49:41 | 49 |
| ბეერსხოტი | 29 | 15 | 3 | 11 | 52:39 | 48 |
| ლოკერენი | 29 | 13 | 8 | 8 | 43:35 | 47 |
| მუსკრონი | 29 | 13 | 6 | 10 | 55:43 | 45 |
| ვესტერლო | 29 | 12 | 8 | 9 | 50:44 | 44 |
| ლიერსი | 29 | 12 | 6 | 11 | 40:37 | 42 |
| შარლერუა | 29 | 12 | 5 | 12 | 45:51 | 41 |
| გენკი | 29 | 10 | 7 | 12 | 38:39 | 37 |
| ანტვერპენი | 29 | 10 | 5 | 14 | 33:40 | 35 |
| ბევერენი | 29 | 8 | 7 | 14 | 24:52 | 31 |
| აალსტი | 29 | 6 | 7 | 16 | 27:57 | 25 |
| სტ. ტრუიდენი | 29 | 6 | 6 | 17 | 28:47 | 24 |
| ჰარელბეკე | 29 | 7 | 3 | 19 | 32:71 | 24 |
| ლუვიე | 29 | 4 | 11 | 14 | 25:48 | 23 |
| მეხელენი | 29 | 4 | 8 | 17 | 35:61 | 20 |

## შვეიცარია

A ჯგუფი VI ტური

**ლოზანა 0:3 ლუგანო**

0:1 კრისტი (8), 0:2 როსი (47), 0:3 გიმენეზი (90)

**სერვეტი 1:0 გრასჰოპერი**

1:0 ტურე (86)

**ციურიხი 3:1 სიონი**

1:0 ბიულმანი (29), 1:1 სირუფო (81), 2:1 აკალე (88), 3:1 ჩინაბა (90)

ციურიხი: პასკოლო, ჯანინი (დელ სინიორე 15), ფუნერე, ფიშერი, კვენტინი, ჰელინგა, დუგლასი (აკალე 81), დუშ სანტუში, ჩინაბა, ბიულმანი, ჯამარაული (შასო 68)

მწვრთნელი: ჟილბერ გრესი

4 400 მაყურებელი

**ბაზელი 1:1 სენტ გალენი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ გალენი | 7 | 3 | 1 | 3 | 12:13 | 30 |
| ლუგანო | 7 | 2 | 2 | 3 | 10:11 | 29 |
| გრასჰოპერი | 7 | 3 | 2 | 2 | 7:4 | 29 |
| ბაზელი | 7 | 2 | 4 | 1 | 7:6 | 27 |
| ციურიხი | 7 | 3 | 2 | 2 | 6:4 | 27 |
| სერვეტი | 6 | 3 | 0 | 3 | 11:7 | 26 |
| ლოზანა | 7 | 2 | 2 | 3 | 7:14 | 26 |
| სიონი | 6 | 2 | 1 | 3 | 8:9 | 23 |

## პოლონეთი

მე-20 ტური. კატოვიცე — ამიცა 4:1; გურნიკი — ლეგია 1:0; ოდრა — პლოცკი 4:0; პოლონია — რუხი 1:2; გროცლინი — რაძიონკოვი 3:0; სტომილი — შლიონსკი 1:2; პოგონი — ვისლა 0:0; ვიძევი — ზაგლებე 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 20 | 13 | 4 | 3 | 47:17 | 43 |
| პოგონი | 20 | 12 | 4 | 4 | 30:17 | 40 |
| ლეგია | 20 | 10 | 7 | 3 | 30:15 | 37 |
| პოლონია | 20 | 10 | 4 | 6 | 28:18 | 34 |
| ზაგლებე | 20 | 9 | 2 | 9 | 30:27 | 29 |
| კატოვიცე | 20 | 6 | 10 | 4 | 21:14 | 28 |
| ამიცა | 20 | 8 | 4 | 8 | 35:33 | 28 |
| ვიძევი | 20 | 7 | 5 | 8 | 27:33 | 26 |
| ოდრა | 20 | 7 | 5 | 8 | 23:30 | 26 |
| რუხი | 20 | 7 | 4 | 9 | 27:31 | 25 |
| გროცლინი | 20 | 6 | 6 | 8 | 22:24 | 24 |
| შლიონსკი | 20 | 6 | 5 | 9 | 21:27 | 23 |
| გურნიკი | 20 | 6 | 4 | 10 | 18:24 | 22 |
| სტომილი | 20 | 6 | 4 | 10 | 16:28 | 22 |
| რაძიონკოვი | 20 | 6 | 1 | 13 | 17:36 | 19 |
| პლოცკი | 20 | 5 | 3 | 12 | 23:41 | 18 |

## თურქეთი

28-ე ტური. ანკარაგიუჯიუ — ფენერბაჰჩე 2:1; ქოჯაელი — გენჩლერბირლიგი 4:1; გაზიანთეპი — ადანა 3:0; ტრაბზონი — რიზე 2:0; ერზურუმი — იოზგათი 1:2; გალათასარაი — ანთალია 2:0; ისთანბული — დენიზლი 1:3; სამსუნი — იეთფა 4:3; ბურსა — ბეშიქთაში 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 28 | 19 | 4 | 5 | 69:32 | 61 |
| გალათასარაი | 28 | 19 | 4 | 5 | 60:28 | 61 |
| გაზიანთეფი | 28 | 17 | 7 | 4 | 56:30 | 58 |
| ბეშიქთაში | 28 | 17 | 4 | 7 | 57:42 | 55 |
| ანკარაგიუჯიუ | 28 | 13 | 8 | 7 | 52:46 | 47 |
| ტრაბზონი | 28 | 13 | 6 | 9 | 55:43 | 45 |
| სამსუნი | 28 | 12 | 6 | 10 | 46:41 | 42 |
| რიზე | 28 | 11 | 5 | 12 | 37:35 | 38 |
| დენიზლი | 28 | 10 | 8 | 10 | 42:46 | 38 |
| ისთანბული | 28 | 10 | 7 | 11 | 42:46 | 37 |
| გენჩლერბირ. | 28 | 11 | 3 | 14 | 34:43 | 36 |
| ბურსა | 28 | 9 | 7 | 12 | 45:50 | 34 |
| ქოჯაელი | 28 | 8 | 10 | 10 | 40:46 | 34 |
| იოზგათი | 28 | 8 | 9 | 11 | 40:41 | 33 |
| ანთალია | 28 | 8 | 7 | 13 | 39:49 | 31 |
| ერზურუმი | 28 | 5 | 4 | 19 | 30:67 | 19 |
| ადანა | 28 | 2 | 9 | 17 | 39:66 | 15 |
| იეთფა | 28 | 3 | 6 | 19 | 35:67 | 15 |

## ავსტრია

29-ე ტური: შტურმი — აუსტრია 2:0; რაპიდი — გრაცერი 1:1; რიდი — ბრეგენცი 1:0; ზალცბურგი — ლინცერი 3:1; ადმირა — ტიროლი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 29 | 16 | 7 | 6 | 52:25 | 55 |
| რაპიდი | 29 | 13 | 9 | 7 | 50:33 | 48 |
| შტურმი | 29 | 14 | 5 | 10 | 49:34 | 47 |
| აუსტრია | 29 | 13 | 6 | 10 | 42:31 | 45 |
| ზალცბურგი | 29 | 11 | 8 | 10 | 39:35 | 41 |
| გრაცერი | 29 | 11 | 8 | 10 | 37:33 | 41 |
| რიდი | 29 | 11 | 7 | 11 | 41:39 | 40 |
| ადმირა | 29 | 7 | 8 | 14 | 24:56 | 29 |
| ლინცერი | 29 | 6 | 9 | 14 | 34:56 | 27 |
| ბრეგენცი | 29 | 7 | 5 | 17 | 33:59 | 26 |

## შოტლანდია

ლიგის თასის 1/2 ფინალი

**სელტიკი 3:1 დანდი იუნაიტედი**

1:0, 2:0 ლარსონი (32, 79პ), 3:0 მაკნამარა (80), 3:1 ლილი (84)

**ჰიბერნიანი 3:0 ლივინგსტონი (I)**

1:0 ონილი (2), 2:0 ზიტელი (69), 3:0 ონილი (76)

## შვედეთი

მე-2 ტური. აიკ — იორგრიტე 0:0; სუნდსვალი — ჰაკენი 1:0; ელფსბორგი — მალმიო 0:2; ტრელებორგი — ნორჩიოპინგი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალმიო | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| ელფსბორგი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| გიოტებორგი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ჰამარბი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ჰაკენი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| სუნდსვალი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| ნორჩიოპინგი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | 3 |
| იორგრიტე | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| აიკ | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| იორებრო | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| დიურგარდენი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ჰალმსტადი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ჰელსინგბორგი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ტრელებორგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |

## დღეს ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები დღეს

### ბაიერნი — მანჩესტერ იუნაიტედი (1:0)

მიუნხენი. «ოლიმპიაშტადიონი». 23.45 ჩვენი დროით

**სავარაუდო შემადგენლობები**

კანი, კუფური, ანდერსონი, ლინკე, სანიოლი, იერემისი, ტარნატი, ეფენბერგი, იანკერი, ელბერი, შოლი

ბარტეზი, გ. ნევილი, სტამი, ბრაუნი, სილვესტრი, ბათი, კინი, სქოულზი, გიგზი, ენდი კოული, იორკი

### რეალი — გალათასარაი (2:3)

მადრიდი. «სანტიაგო ბერნაბეუ». 23.45 ჩვენი დროით

**სავარაუდო შემადგენლობები**

კასილიასი, სალგადო, რობერტო კარლოსი, იერო, კარანკა, ელგერა, მაკელელე, მაკმანამანი, ფიგუ, რაული, გუტი

ტაფარელი, ბიულენთი, კაპონე, ფათიჰი, ერგუნი, ემრე, ოკანი, უმითი, ჰაჯი, ჟარდელი, ჰასან შაში

მსაჯი: ვიტორ მანუელ მელო პერეირა (პორტუგალია)

# კაცების სიხარული ქალების დარდია



AP მიუნხენიდან

შტეფან ეფენბერგსა და ოტმარ ჰიცფელდს მანჩესტერელი სტუმრები ჩაუვიდნენ



REUTERS მიუნხენიდან

**თავიდან ითქვა,** შანსები ორმოცდაათი ორმოცდაათზეაო. მერე „ბაიერნმა“ „ოლდ ტრეფორდზე“ მოიგო და თქვეს, არაფერი შეცვლილა, შანსები კვლავ თანაბარიაო.

გავიდა ორი კვირა, თუმცა რომ განვაცხადოთ, სასწორი რომელიმე მხარეს გადაიხარაო, მართლები არ ვიქნებით. ინგლისელები და გერმანელები ერთმანეთს კვლავაც ულრენენ, მომგებიან სათამაშო სქემებს ადგენენ, მაგრამ ნახევარფინალში ვინ გავა, დაზუსტებით ვერ ამბობენ.

ამ ორ კვირაში კი საინტერესო ამბები მოხდა — „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ინგლისის ჩემპიონობა, რაც ფაქტობრივად ადრევე ჰქონდა განაღდებული, ოფიციალურად დაიკანონა, ხოლო „ბაიერნმა“ ბუნდესლიგაში ლიდერობა დათმო.

„მანჩესტერის“ ჩემპიონობაზე სათქმელიც არაფერია — ეკუთვნოდა და მოიგო, აი, ბავარიელთა დაქვეითებას კი მათი პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი ძალების არასწორად განაწილებას აბრალებს, ამბობს, ჩემპიონთა ლიგას მეტ ყურადღებას ვუთმობდით, ვიდრე ბუნდესლიგასო. თუმცა, პრეზიდენტის ალსარების მიუხედავად, „შალკესთან“ ლიდერობის დამკარგველი მარცხი მთლიანად სამუელ კუფურს დაბრალდა, რომლის შეცდომებიც „ბაიერნს“ ძვირად დაუჯდა. კლუბი იენს იერემისის თამაშითაც უკმაყოფილოა და თუ გავითვალისწინებთ, რომ იერემისი დაცვაზე მოფიქრალი ნახევარმცველია, გამოდის, რომ „ბაიერნის“ უმთავრესი პრობლემაც სწორედ უკანა ხაზში უნდა ვეძიოთ.

დაცვის ხარვეზების აღმოფხვრას ოტმარ ჰიცფელდი შემტევ ფეხბურთელთა კარგი გარჯით აპირებს. შტეფან ეფენბერგმა, რომელსაც „შალკესთან“ დისკვალიფიკაციის გამო არ უთამაშია, გონივრული იერიშები უნდა წამოიწყოს, რომელთა დასრულებასაც მეჰმეთ შოლი, კარსტენ იანკერი და ჯოვანი ელბერი შეეცდებიან.

გერმანელთა დაცვის შედარებით სისუსტეზე შეგვიძლია ისიც დავუმატოთ, რომ ბიქსენტ ლიზარაზუ ერთმატჩიან სასჯელს იხდის, არადა, ბასკი „ბაიერნისთვის“ რასაც ნიშნავს, კარგად ვიცით.

„ბაიერნის“ ქომაგებს ძალიან რომ არ დასწყდეთ გული, „მანჩესტერელთა“ გასაჭირზეც ვთქვათ. ფიქრი არ გვჭირდება — ალექს ფერგიუსონი დღეს დევიდ ბექემს ვერ დაიხმარს და თუ ვიანგარიშებთ, რამდენი გოლი გაუტანია „მანჩესტერს“ ბექემის ჩაწოდებებით, ყველაფერი გასაგები გახდება.

ცოტაოდენი სტატისტიკაც მოვიშველიოთ. „ბაიერნს“ ჩემპიონთა თასის, შემდგომ ლიგის საშინაო შეხვედრებში ბრწყინვალე შედეგები აქვს აქამდე გამართულ 73 მატჩში ის მხოლოდ სამჯერ დამარცხებულა და მაშინაც ერთბურთიან სხვაობას დასჯერებია.

ამასთანავე, „ბაიერნი“ 31 წელია, ევროტურნირებზე თამაშობს და მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონზე“ შეკრებილ ხალხს სულ 43-ჯერ უნახავს საკუთარ კარში გაშვებული გოლი. თუ 43-ს თამაშების რაოდენობაზე გავყოფთ, მივიღებთ, რომ „ბაიერნი“ ერთ საშინაო მატჩში საშუალოდ 0,6 ბურთს უშვებს. ინგლისურ გუნდთაგან კი „ოლიმპიაშტადიონზე“ ოდენ „ნორვიჩ სიტის“ მოუგია. ეს 1993 წელს მოხდა უეფას თასის შეხვედრაში.

„ბაიერნი“ — „მანჩესტერზე“ ლაპარაკისას, ძალიანაც რომ გვინდოდეს, 1999 წლის ლიგის ფინალს ვერ ავცდებით. ანკი როგორ არ აღვნიშნოთ, როცა მეტოქენი დღესაც ორი წლის წინანდელს იხსენებენ. ტედი შერინგემმა, დიდ ფინალში ანგარიშის გამთანაბრებელმა თქვა, მაშინაც ასე იყო და ახლაც ასეა, რომ 0:1 ვაგებდით და ერთხელ თუ შევძელით ორი გოლის გატანა, ვითომ დღეს რა გვიდგას წინო. შევნიშნოთ, რომ სერ ალექს ფერგიუსონი იმ ფინალის გმირებს შერინგემს და სოლსკიაერს დღესაც სათადარიგოთა სკამზე იყოლიებს და თუ ძალიან გაჭირდა, მინდორზე მაშინღა შეუშვებს.

ბოლოს ისევ დევიდ ბექემის არყოფნა ვახსენოთ. „ბაიერნის“ დირექტორმა ული ჰიონესმა მიუნხენელ გოგონებს „მიუსამძიმრა“, ვიცი, რომ ბექემის ჩამოუსვლელობით გულდაწყვეტილნი ხართ, მაგრამ მერწმუნეთ, ასე სჯობსო.

**გიორგი დარჯანია**

მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)



დიდი ათიანები: გეორგე ჰაჯი და ლუიშ ფიგუ

# მადრიდში დაგცემთ! გალა რეალს ემუქრება

**დღეს** მადრიდის „რეალს“ კიდევ ერთი დიდი გამოცდა ელის. სამეფო კლუბმა უნდა დაამტკიცოს, რომ ტყუილად არ მიიჩნევენ ევროპაში საუკეთესოდ. ბოლო ოთხ წელიწადში ჩემპიონთა ლიგის მესამედ მოგება კი მართლაც ფანტასტიკური შედეგი იქნება. თუმცა, მანამდე ჯერ სტამბოლის „გალათასარაია“ გასავლელი. თურქებმა ხომ ამ სეზონში უკვე ორჯერ აწყენინეს ესპანელებს. ჯერ აგვისტოში ევროპის სუპერთასი არ დაანებეს და ორი კვირის წინ კი საერთოდაც იშვიათი რამ მოახერხეს — შინ „ალი სამი იენზე“ 0:2 აგებდნენ, მაგრამ 3:2 მოუგეს...

„ნახევარფინალში გასასვლელად კარგი შანსი გაგვიჩნდა — თქვა მაშინ თურქთა რუმინელმა მწვრთნელმა მირჩა ლუჩესკუმ — თუმცა ძალიან კარგად გვესმის, რა გველის ორი კვირის თავზე მადრიდში“.

მისი კოლეგა ვისენტე დელ ბოსკე კი წაგების მიუხედავად ოპტიმიზმს არ კარგავდა: „ცხადია, შედეგით უკმაყოფილო ვარ, მაგრამ მეტოქის მინდორზე ორი ბურთი გავიტანეთ და საპასუხო მატჩისთვის ეს ურიგო მარაგი არ გახლავთ“.

უფრო ხალისიანად იყო რობერტო კარლოსი: „პირველ ტაიმში მართლაც ჩინებულად ვითამაშეთ, მერე კი... თუმცა, პანიკის საფუძველს ვერ ვხედავ. მეოთხედფინალი ორი მატჩისგან შედგება, ამიტომ საშიში არაფერია. უბრალოდ, საპასუხო შეხვედრაში უფრო მწვავედ უნდა შევუტიოთ. მოკლედ, მჯერა, რომ ჩვენსას მაინც მივაღწევთ და ნახევარფინალში გავალთ“.

„დროა ვალი დავუბრუნოთ — უთხრა გუშინ ჟურნალისტებს „რეალის“ კაპიტანმა ფერნანდო იერომ, რომელიც ტრავმას იმუშებს და იმედი აქვს, რომ ითამაშებს. თუ ვერა, მაშინ აიტორ კარანკას მეწყვილე ივან ელგერა იქნება — ვფიქრობ, პირველი მატჩის შედეგი ჩვენთვის არცთუ ცუდია. „რეალი“ გამოცდილი გუნდია და საჭირო შედეგის მიღწევა მაშინაც კი შეუძლია, როცა საუკეთესო ფორმაში არ არის“.

რეალელები ჩინებულ ხასიათზე ყოფილან. პრიმერადივიზიონის ბოლო ტურში ხომ „ვილიარეალს“ 4:0 მოუგეს და ამან საკუთარი თავის რწმენა კიდევ უფრო გაუმყარათ.

ცნობილია, რომ არ ითამაშებს დაშავებული ფერნანდო მორიენტესი. დელ ბოსკე მის მაგიერ, რაულის მეწყვილედ გუტის ათამაშებს, რომელმაც „ვილიარეალთან“ ჰეთ თრიქი შეასრულა. ალბათ, ძირითადში ვერ მოხვდება ბრაზილიელი სავიო. აი, სტივ მაკმანამანი და ლუიშ ფიგუ კი სრულ მზადყოფნაში არიან.

თურქები კი თავისას ამტკიცებენ. ორი კვირის წინ ნახევარმცველმა ოკანმა თქვა, ეს მოგება საერთო გამარჯვების მხოლოდ შესავალია, „ბერნაბეუზე“ მატჩის შემდეგ კი ნამდვილ ზეიმს მოვაწყობთო.

გეორგე ჰაჯი, „გალათასარაის“ რუმინელი ნახევარმცველი, რომელსაც იერო ყველაზე სახიფათოდ მიიჩნევს, დარწმუნებულია, რომ თავისი ყოფილი კლუბის წინააღმდეგ ამჯერადაც ღირსეულად ითამაშებს: „ეს ევროთასებზე ჩემი ბოლო მატჩი არ იქნება — თქვა ჰაჯიმ, რომელიც ამ სეზონის ბოლოს ფეხბურთელის კარიერის დასრულებას აპირებს — მჯერა, „გალათასარაი“ ნახევარფინალში გავა და მეც კარიერას ამაღლებული განწყობით დავამთავრებ“.

ჰაჯის განცხადება მთლად უსაფუძვლო არ არის. მადრიდში გაფრენამდე გუნდმა თურქეთის ჩემპიონატის ლიდერობა დაიბრუნა — „ფენერბაჰჩეს“ ქულებით გაუთანაბრდა და ახლა ქვეყნის ჩემპიონობის ზედიზედ მეხუთედ მოგებასთანაც ახლოსაა.

სტამბოლელებს ერთი სერიოზული დანაკლისი აქვთ. დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებს გამოცდილი რუმინელი მცველი გეორგე პოპესკუ. მის ადგილს, ალბათ ბრაზილიელი კაპონე დაიკავებს, მარჯვნივ ფათიხი ითამაშებს, რომელიც პირველ მატჩში შეცვლაზე ერთობ სასარგებლოდ შევიდა, მარცხენა ფრთაზე ერგიუნს გაამწესებენ.

ნახევარდაცვაში კი ჰაჯისთან ერთად მთავარი ფიგურები ემრე ბელოზოღლუ და ოკან ბურუქი იქნებიან.

**სოლომონ გულისაშვილი**



ვისენტე დელ ბოსკე

# სარბიელი

## სპორტული ლატარია კროკო

### ინგლისი. I დივიზიონი. გადადებული მატჩი

18 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 005 | ქრიუ-ბოლტონი | 2,9 | 3,2 | 2,2 |

### იტალია. სერია "ა". გადადებული მატჩი

18 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 011 | ლაციო-პარმა | 1,7 | 3,0 | 5,0 |

### პორტუგალია. I ლიგა. გადადებული მატჩი

18 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.45 | 012 | მარიტიმუ-პორტუ | 3,5 | 3,1 | 1,95 |

### შვეიცარია. "ა/ბ" ჯგუფი. გადადებული მატჩი

18 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 013 | ბელინცონა-ივერდონი | 2,1 | 3,0 | 3,3 |

### რუსეთი. მე-6 ტური

18 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 014 | ჩერნომორეცი-სატურნი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 16.00 | 015 | სპარტაკი-ზილ | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 16.00 | 016 | როტორი-როსტსელმაში | 1,75 | 2,9 | 4,7 |
| 16.00 | 017 | ანჟი-ტორპედო | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 16.00 | 018 | ლოკომოტივი-კრილია | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 16.00 | 019 | ზენიტი-დინამო | 1,65 | 2,9 | 5,3 |
| 16.00 | 020 | სოკოლი-ფაკელი | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 16.00 | 021 | ცსკა-ალანია | 1,7 | 3,1 | 4,7 |

### შვედეთი. მე-2 ტური

18 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 023 | ჰალმსტადი-გიოტებორგი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 22.00 | 024 | იორგრიტე-ჰამარბი | 1,8 | 3,3 | 3,6 |

### პოლონეთი. თასის 1/2 ფინალი. II მატჩები

18 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 025 | პოლონია-ზაგლებე | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 21.00 | 026 | გურნიკი-ოპოლე | 1,35 | 3,8 | 7,0 |

### დანია. თასის 1/4 ფინალი

19 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 029 | ვიბორგი-ბრიონდბიუ | 3,2 | 3,3 | 2,0 |
| 18.00 | 030 | ჰოლსტებრო-აკადემისკი | 5,3 | 3,8 | 1,45 |
| 18.00 | 031 | ბ 93-მიდტიულანდი | 3,8 | 3,3 | 1,75 |
| 18.00 | 032 | ფკ ორჰუსი-სილკებორგი | 5,6 | 3,6 | 1,5 |

### შვედეთი. თასის 1/16 ფინალი

18 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 033 | ტრელებორგი-სუნდსვალი | 1,75 | 3,3 | 3,8 |
| 22.00 | 034 | იორებრო-აიკ | 2,4 | 3,2 | 2,5 |

### ჩემპიონთა თასი. 1/4 ფინალი. II მატჩები

18 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 503 | ბაიერნი-მანჩესტერი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 23.45 | 504 | რეალი-გალათასარაი | 1,35 | 4,0 | 7,5 |

### უეფას თასი. 1/2 ფინალი. II მატჩები

19 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 505 | კაიზერსლაუტერნი-ალავესი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 00.05 | 506 | ლივერპული-ბარსელონა | 2,2 | 3,2 | 2,9 |

### ლიბერტადორესის თასი

18 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 511 | სპ.კრისტალი-ოლიმპია | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 04.00 | 512 | პენიაროლი-ტაჩირა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 04.30 | 513 | რივერ პლ.-ელ ნასიონალი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 05.40 | 514 | უნივერსიდადი-პალმეირასი | 3,3 | 3,3 | 1,95 |

19 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 515 | სან კაეტანო-ოლმედო | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 05.10 | 516 | ხუნიორი-უნივერსიტარიო | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 05.10 | 517 | ველესი-როსარიო | 1,95 | 3,1 | 3,5 |

| | | I ტაიმი/ძირითადი დრო | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 18 აპრილი | | | | | | | | | |
| 23.45 | 603 | ბაიერნი-მანჩესტერი | 4,0 | 10,0 | 15,0 | 4,7 | 4,7 | 5,0 | 15,0 | 10,0 | 4,2 |
| 23.45 | 604 | რეალი-გალათასარაი | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,6 | 12,0 | 18,0 | 12,0 | 12,0 |
| | | 19 აპრილი | | | | | | | | | |
| 23.30 | 605 | კაიზერსლაუტერნი-ალავესი | 2,7 | 11,0 | 20,0 | 4,2 | 5,0 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 00.05 | 606 | ლივერპული-ბარსელონა | 3,3 | 10,0 | 15,0 | 4,4 | 4,7 | 5,3 | 15,0 | 10,0 | 4,2 |

### შემდეგ ეტაპზე გასვლა

18 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 703 | ბაიერნი | -1,25 | მანჩესტერი | -2,8 |
| 23.45 | 704 | რეალი | -1,2 | გალათასარაი | -3,1 |

19 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 705 | კაიზერსლაუტერნი | -15,0 | ალავესი | -1,01 |
| 00.05 | 706 | ლივერპული | -1,6 | ბარსელონა | -1,8 |

### თასის აღება

ჩემპიონთა თასი

18 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| 23.45 | 751 | რეალი | 3,0 |
| 23.45 | 752 | მანჩესტერი | 5,0 |
| 23.45 | 753 | ბაიერნი | 4,0 |
| 23.45 | 758 | გალათასარაი | 15,0 |

უეფას თასი

19 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| 23.30 | 759 | ბარსელონა | 1,9 |
| 23.30 | 760 | ლივერპული | 1,9 |
| 23.30 | 761 | კაიზერსლაუტერნი | 40,0 |
| 23.30 | 762 | ალავესი | 2,5 |

### კალათბურთი

18 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 810 | ბოსტონი-შარლოტი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 04.00 | 811 | ფილადელფია-ჩიკაგო | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 04.00 | 812 | ვაშინგტონი-ტორონტო | 2,5 | 12,0 | 1,3 |
| 04.30 | 813 | კლივლენდი-ინდიანა | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 04.30 | 814 | ნიუ იორკი-დეტროიტი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 05.00 | 815 | დალასი-მინესოტა | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 05.00 | 816 | ორლანდო-მაიამი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 06.00 | 817 | დენვერი-საკრამენტო | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 07.00 | 818 | სიეტლი-სან ანტონიო | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 07.30 | 819 | გოლდენ სტეიტი-ვანკუვერი | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 07.30 | 820 | ფინიქსი-იუტა | 1,6 | 12,0 | 1,8 |

### კალათბურთი. სუპროლიგა. 1/4 ფინალი. II მატჩები

19 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 825 | სპლიტი-ეფესი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 23.30 | 826 | ვილერბანი-ცსკა | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 23.30 | 827 | ალბა-პანათინაიკოსი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 23.30 | 828 | სკავოლინი-მაკაბი | 1,0 | 1,0 | 1,0 |

### კალათბურთი. ევროლიგა. ფინალი. II მატჩი

19 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 830 | კინდერი-ტაუ | 1,0 | 1,0 | 1,0 |

### ჰოკეი. 1/8 ფინალი

18 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 905 | ტორონტო-ოტავა | 1,75 | 4,0 | 2,6 |
| 04.00 | 906 | პიტსბურგი-ვაშინგტონი | 1,6 | 4,0 | 3,0 |
| 04.30 | 907 | კაროლინა-ნიუ ჯერსი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 07.30 | 908 | ვანკუვერი-კოლორადო | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 07.30 | 909 | ლოს ანჯელესი-დეტროიტი | 2,1 | 4,0 | 2,1 |

19 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 910 | ფილადელფია-ბუფალო | 1,7 | 4,0 | 2,7 |
| 04.30 | 911 | სენტ ლუისი-სან ხოსე | 1,55 | 4,0 | 3,2 |
| 05.00 | 912 | დალასი-ედმონტონი | 1,5 | 4,0 | 3,4 |

## კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")
წერეთლის გამზირი №11;
ჭავჭავაძის გამზირი №41

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა №16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)
ფალიაშვილის ქუჩა № 27

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა №30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61

მარნეულში — რუსთაველის ქუჩა №39

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

**ხუთშაბათს, 19 აპრილს კროკო ჩვეული განრიგით იმუშავებს**

ეროვნული ბიბლიოთეკა

FORMULA 1

ფორმულა 1. მსოფლიოს ჩემპიონატი. მეოთხე ეტაპი

# შუმახ-ორი: მიხაელი ბოქსში, რალფი პოდიუმზე

**იტალიის** პაწაწინა ქალაქ იმოლას ავტოდრომზე საკვირაო რბოლით ფორმულა 1-ში მორიგი აკრძალვის პერიოდი დასრულდა. ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ თავისივე შვიდი წლის წინ დადებული ტაბუ აზსნა და მომდევნო, ესპანური ეტაპიდან ბოლიდებზე წევის კონტროლის ელექტრონული სისტემა დამონტაჟდება. ეს ურთულესი და მეტად ძვირი მოწყობილობა მძღოლის ჩაურევლად არჩევს სიჩქარის გადართვის შემდეგ (სტარტზეც და მოსახვევებშიც) აჩქარების ოპტიმალურ რეჟიმს, რაც პრაქტიკულად გამორიცხავს დაბუქსავებას და, აქედან გამომდინარე, დროის კარგვას. ეს ყველაფერი სამასკილომეტრიანი დისტანციის ფინიშზე სოლიდურ მოგებას განაპირობებს, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ამას, შესაძლოა, უარყოფითი შედეგიც მოჰყვეს, კერძოდ, უფრო გაიზარდოს ისედაც ფეთიანი სიჩქარეები, თან მდიდარმა საჯინიბოებმა კიდევ უფრო ჩამოიტოვონ უკან დანარჩენები. საეჭვოა, ამ მოწყობილობამ რაიმე უშველოს წყალწაღებულებს — ვთქვათ, „ეროუსს“, „მინარდის“, „პროსტს“, რომელთა ოცნების ზღვარიც კინკილა პოდიუმი და სეზონში ათიოდე ქულაა, მაგრამ ეგებ ზოგადი პროგრესისა და ტრიბუნებზე მაყურებელთა მიზიდვის საშუალებად იქცეს.

იქნებ სიმბოლურიცაა, რომ სწორედ სტარტზე წამიერმა შეფერხებამ, ანუ დაძვრისას ბუქსაობამ დააკარგვინა დევიდ კულჰარდს „იმოლაზე“ კარიერაში მე-11 დიდი პრიზი. ცხადია, ხელაღებით ამის მტკიცება შეუძლებელია, მაგრამ შოტლანდიელი მრბოლის მიერ კვალიფიკაციის მოგება შთამბეჭდავი უპირატესობით (კარიერაში მეთერთმეტედ) ცოტას როდი ნიშნავდა. ენცო და დინო ფერარების სახელობის ავტოდრომის თითქმის ხუთკილომეტრიანი წრის რეკორდი ამიერიდან 1 წუთი და 23,054 წამია (საშუალო სიჩქარე 213,822 კმ/სთ), რაც წამის 25 მეასედით სჯობს კანადელი ჟაკ ვილნევის ოთხი წლის წინანდელ მიღწევას. აღსანიშნავია, რომ ძველი რეკორდი კულჰარდის თანაგუნდელმა მიკა ჰაკინენმაც გააუმჯობესა და ასევე პირველ სასტარტო რიგში მოკალათდა. მესამე დრო რალფ შუმახერს ჰქონდა, ხოლო მიხაელ შუმახერისა და რუბენს ბარიკელოს „ფერარები“ მათთვის შეუფერებელ მეოთხე და მეექვსე პოზიციებზე დადგნენ.

სტარტი „მაკლარენმაც“ და „ფერარიმაც“ სამარცხვინოდ ჩააფლავეს. კულჰარდს ბოლიდი დაუბუქსავდა, რალფი კი ცოცხლად დაიძრა და მისი გასწრება სცადა, მაგრამ რადგან მარჯვენა მხარე მიკას ეკავა, მარცხნივ, გზის კიდისკენ გაიწია და იქიდან მიიტანა იერიში. პატარა შუმის „უილიამსი“ ოდნავ ბალახშიც გადავიდა, მაგრამ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა და ბრწყინვალედ შესრულებული უზუსტესი მანევრით გერმანელი პელოტონის სათავეში აღმოჩნდა. იყოჩაღა იარნო ტრულიმაც — მისი „ჯორდანი“ უსწრაფესად მოსწყდა ადგილს და ჯერ მიხაელს აუარა გვერდი, პირველ მოსახვევში კი ჰაკინენსაც შეასწრო შიდა მხრიდან.

საბედნიეროდ, სტარტს შეხლა-შემოხლა არ მოჰყოლია და არავინ გამოთიშულა. ის კი არა, ამ ურთულეს ტრასაზე მთელ რბოლაში ერთი ავარიაც არ მომხდარა, ხოლო ათივე პილოტი საკუთარი შეცდომის ან მანქანის გაუმართაობის მიზეზით გამოაკლდა ბრძოლას. მიხაელ შუმახერს, ეტყობა, თავიდანვე აწუხებდა პრობლემები: ჯერ სტარტზე შეყოვნდა, მესამე წრის ბოლოს კი სიჩქარის გადართვისას დაკარგა ტემპი, რითაც მშვენივრად ისარგებლეს ხუან პაბლო მონტოიამ და ოლივიე პანიმ და სამგზის ჩემპიონი უკან ჩამოიტოვეს. მალე თანაგუნდელს ბარიკელომაც გაასწრო.

ხუთი წრის შემდეგ რალფ შუმახერი 2,5 წამს უგებდა კულჰარდს, ხოლო ტრული, ჰაკინენი, მონტოია და პანი 8-10 წამის ჩამორჩენით მიჰყვებოდნენ ლიდერებს. „ფერარები“ ოდნავ გამოცოცხლდნენ და შეძლეს პანის გასწრება, რითაც ბარიკელო მეექვსე გახდა. კულჰარდი თანდათან ამცირებს რალფთან სხვაობას, თუმცა ვერაფრით მოახერხა საიერიშო მანძილამდე მიახლოება. ორივენი მეოცე წრეზე უკვე ოცი წამით დაშორდნენ მდევრებს.

კურიოზი შეემთხვა ჯენსონ ბატონს — „ბენეტონის“ მექანიკოსებს საწვავის ჩასხმის სისტემა მოეშალათ და მილი ტყუილად ჰქონდათ ჩაყოფილი ბრიტანელის ბოლიდში. ბატონმა ეს ვერ შენიშნა და ბოქსი არხეინად დატოვა, მაგრამ ერთი წრის შემდეგ დაბრუნება მოუხდა. ამ ზედმეტმა პიტ-სტოპმა იგი ამჯერადაც უქულოდ დატოვა.

უავარიო და სტარტის შემდგომ თითქმის უგასწრებო, ერთფეროვანი რბოლა საბოქსე ფაციფუცმა გაახალისა. 23-ე წრეზე ჩემპიონის ბორბალჩაფუშული ბედაური იქამდე ძლივს მიგორდა და 13 წამის შემდეგ უკან გაბრუნებული ქარავნის კუდში, მე-17 პოზიციაზე აღმოჩნდა, ორი წრის შემდეგ კი შუმიმ საერთოდ შეწყვიტა ბრძოლა. ლიდერთაგან ჯერ კულჰარდმა შეცვალა საბურავები, მომდევნო წრეზე — რალფმა, რის მერეც მათ შორის სხვაობა რვა წამამდე გაიზარდა. ბოქსის ტაქტიკამ გადაწყვიტა მესამე ადგილის ბედი — ჰაკინენმა იქ 8,2 წამი დაჰყო, ბარიკელომ კი ხუთიოდე წუთი კიდევ იცადა და როცა თითქმის დაცარიელებული ავზით დროის საკმაო მარაგი დააგროვა, მაშინღა შეიარა (7,8) და ტრასაზეც მიკას წინ დაბრუნდა.

ნახევარი გზის გავლის შემდეგ ექვსეულში იყვნენ რალფ შუმახერი, კულჰარდი, ბარიკელო, ჰაკინენი, მონტოია და ტრული. ფინიშამდე ერთი ცვლილებაღა მოხდა — მონტოია მეორე პიტ-სტოპზე ძალიან დიდხანს, წუთსა და 8 წამს შეაჩერეს, მაგრამ მისი „უილიამსის“ სიჩქარეთა კოლოფს ვერაფერი ეშველა და კოლუმბიელი დებიუტანტისთვის მეოთხე ეტაპიც უხეიროდ დამთავრდა.




REUTERS

### რალფ შუმახერი

გერმანია

დაიბადა 1975 წლის 30 ივნისს ჰურტ-ჰერმოლცჰაიმში

ცხოვრობს მონტე კარლოში. უცოლო

სიმაღლე 178 სმ, წონა 73 კგ

დებიუტი ფორმულა 1-ში: ავსტრალიის დიდი პრიზი (1997)

ჩემპიონატში საუკეთესო შედეგი — V ადგილი (2000)

ასპარეზობდა „ჯორდანში“ (1997-98)

„უილიამსშია“ 1999 წლიდან

70 რბოლა, 1 მოგება, 10 პოდიუმი (1+2+7), 3 უსწრაფესი წრე, 98 ქულა

რალფ შუმახერი 90-ე პილოტი (მეხუთე გერმანელი) გახდა, ვისაც დიდი პრიზი მოუგია.

რალფ შუმახერმა კარიერაში პირველი გამარჯვება ტრასის რეკორდით მოიპოვა ისე, რომ მთელ 305-კილომეტრიან დისტანციაზე ერთხელაც არ დაუთმია ლიდერობა. გერმანელი პილოტი უკეთეს საჩუქარს ვერც მიუძღვნიდა თავის შეფს, სერ ფრენკ უილიამსს, რომელიც გუშინწინ 59 წლის შესრულდა, „უილიამსს“ ხომ ბოლო სამ სეზონში, უფრო ზუსტად 54 რბოლიდან, ერთიც ვერ მოეგო. რაც შეეხება კულჰარდს, მეორე ადგილითაც სავსებით კმაყოფილი ჩანდა — იგი ხომ ერთადერთია, ვინც წლეულს ოთხივე ეტაპზე ქულები მოიპოვა, თანაც ოთხჯერვე პოდიუმზე იდგა. რაც მთავარია, დევიდი საერთო ჩათვლაში მიხაელს წამოეწია და მათი საჩემპიონო ბრძოლაც პრაქტიკულად თავიდან იწყება.

ბარიკელომ, რომელსაც ორი კვირის წინ რალფ შუმახერთან არაკორექტული შეჯახების გამო ყველა მანქანის მართვის უცოდინარობას უკიჟინებდა, ამჯერად რბოლა ტაქტიანად და უშეცდომოდ წარმართა, მესამე ადგილიც მშვენიერი შედეგია იმის გათვალისწინებით, რომ სტარტის შემდეგ რუბინიო მხოლოდ მერვე იყო. ამით მან საერთო მესამე ადგილიც შეინარჩუნა და „ფერარის“ პოდიუმების უწყვეტი სარეკორდო სერიაც 23-მდე გაზარდა.

**გია ახალაძე**



REUTERS

სტარტი: წამიც და, რალფ შუმახერი (მარჯვნივ) რბოლას თავში მოექცევა

### რბოლის შედეგები

**სან მარინოს დიდი პრიზი**

15 აპრილი. იმოლა

დისტანცია — 62 წრე — 305.609 კმ

| | |
|---|---|
| 1. **რ.შუმახერი** (უილიამსი) | 1:30.44,817 (202,062 კმ/სთ) |
| 2. **კულჰარდი** (მაკლარენი) | ჩამორჩა 4,352 |
| 3. **ბარიკელო** (ფერარი) | 34,766 |
| 4. **ჰაკინენი** (მაკლარენი) | 36,315 |
| 5. **ტრული** (ჯორდანი) | 1.25,558 |
| 6. **ფრენცენი** (ჯორდანი) | 1 წრით |
| 7. **ჰაიდფელდი** (ზაუბერი) | 1 წრით |
| 8. **პანი** (BAR) | 1 წრით |
| 9. **ალეზი** (პროსტი) | 1 წრით |
| 10. **ბერნოლდი** (ეროუსი) | 2 წრით |
| 11. **ბურტი** (იაგუარი) | 2 წრით |
| 12. **ბატონი** (ბენეტონი) | 2 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | |
|---|---|
| **მარკეში** (მინარდი) | გაიარა 54 წრე |
| **მონტოია** (უილიამსი) | 49 |
| **ირვინი** (იაგუარი) | 42 |
| **ფიზიკელა** (ბენეტონი) | 31 |
| **ვილნევი** (BAR) | 30 |
| **მაცაკანე** (პროსტი) | 28 |
| **მ. შუმახერი** (ფერარი) | 24 |
| **რაიკონენი** (ზაუბერი) | 17 |
| **ფერსტაპენი** (ეროუსი) | 6 |
| **ალონსო** (მინარდი) | 5 |

**საუკეთესო წრე**

**რ.შუმახერი** 1.25,524 (207.646 კმ/სთ)

| FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP | ავსტრალია 4 მარტი | მალაიზია 18 მარტი | ბრაზილია 1 აპრილი | სან მარინო 15 აპრილი | ესპანეთი 29 აპრილი | ავსტრია 13 მაისი | მონაკო 27 მაისი | კანადა 10 ივნისი | ევროპა 24 ივნისი | საფრანგეთი 1 ივლისი | დ.ბრიტანეთი 15 ივლისი | გერმანია 29 ივლისი | უნგრეთი 19 აგვისტო | ბელგია 2 სექტემბ. | იტალია 16 სექტემბ. | აშშ 30 სექტემბ. | იაპონია 14 ოქტომბ. | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 **მ.შუმახერი** ფერარი, გერმანია | 10 | 10 | 6 | - | | | | | | | | | | | | | | 26 |
| 2 **კულჰარდი** მაკლარენი, ბრიტანეთი | 6 | 4 | 10 | 6 | | | | | | | | | | | | | | 26 |
| 3 **ბარიკელო** ფერარი, ბრაზილია | 4 | 6 | - | 4 | | | | | | | | | | | | | | 14 |
| 4 **რ. შუმახერი** უილიამსი, გერმანია | - | 2 | - | 10 | | | | | | | | | | | | | | 12 |
| 5 **ჰაიდფელდი** ზაუბერი, გერმანა | 3 | - | 4 | - | | | | | | | | | | | | | | 7 |
| 6 **ფრენცენი** ჯორდანი, გერმანია | 2 | 3 | - | 1 | | | | | | | | | | | | | | 6 |
| 7 **ჰაკინენი** მაკლარენი, ფინეთი | - | 1 | - | 3 | | | | | | | | | | | | | | 4 |
| 8 **ტრული** ჯორდანი, იტალია | - | - | 2 | 2 | | | | | | | | | | | | | | 4 |
| 9 **პანი** BAR, საფრანგეთი | - | - | 3 | - | | | | | | | | | | | | | | 3 |
| 10 **რაიკონენი** ზაუბერი, ფინეთი | 1 | - | - | - | | | | | | | | | | | | | | 1 |
| ფიზიკელა (იტალია, ბენეტონი) — 1 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 **ფერარი** | 14 | 16 | 6 | 4 | | | | | | | | | | | | | | 40 |
| 2 **მაკლარენი** | 6 | 5 | 10 | 9 | | | | | | | | | | | | | | 30 |
| 3 **უილიამსი** | - | 2 | - | 10 | | | | | | | | | | | | | | 12 |
| 4 **ჯორდანი** | 2 | 3 | 2 | 3 | | | | | | | | | | | | | | 10 |
| 5 **ზაუბერი** | 4 | - | 4 | - | | | | | | | | | | | | | | 8 |
| BAR — 3; ბენეტონი — 1 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | |

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ლიგამ რვა მილიონს უწია

13 აპრილი

**ნიუ ჯერსი 91:97 კლივლენდი**

ნიუ ჯერსი: ოვერტონი (12), ჰარისი (19), ნიუმენი (8), ვან ჰორნი (23), ემმეიერი (2); ვილიამსი (17), სტრიკლენდი (6), გილი (2), ტომასი (2)

კლივლენდი: მილერი (24), პერსონი (6), ჰარპრინგი (6), ვეზერსპუნი (10 ქულა, 10 მოხსნა), მიმი (14 ქულა, 10 მოხსნა); მიურეი (22), ტრეილორი (5), ლანგდონი (4), კოულზი (2), ბრაუნი (2)

15 აპრილი

**ბოსტონი 95:88 ნიუ ჯერსი**

ბოსტონი: უოლკერი (22 ქულა, 12 პასი, 6 მოხსნა, 4 ჩაჭრა), პირსი (18 ქულა, 11 მოხსნა), ე. ვილიამსი, მაკკარტი (27), ბლაუნტი (4); შერენი (9), პოტაპენკო (7), გრიფინი (9), პალასიო (4)

ნიუ ჯერსი: ოვერტონი, ჰარისი (15), ნიუმენი (7), ვან ჰორნი (21), ემმეიერი (9); ჯექსონი (15), გილი (9), ა. ვილიამსი (7), სტრიკლენდი (5), სტეფანია (7 წუთი, 0 ქულა, 6 მოხსნა), ტომასი.

„ნიუ ჯერსი ნეტსის“ უკანახაზელ ედი გილს თავად ნბა-შიც კი ბევრი არავინ იცნობს, იგი სეზონის შუაგულში შეუერთდა „ნეთსს“, სულ თითებზე ჩამოსათვლელი თამაშები ჩაატარა და მათგან არც ერთში არ ჩაუგდია თუნდაც ათი ქულა. კვირას „ბოსტონთან“ მატჩის შემდეგ კი ეს უცნობი ჯეელი დუნიამ გაიცნო. გილს არც ამჯერად მოუხვეჭია ქულები უსაშველო ოდენობით, მაგრამ მან შეხვედრის დამთავრებამდე ათნახევარი წუთით ადრე ჩააგდო ბურთი, რომლითაც ნბა-ში გაკეთებულ ქულათა რაოდენობამ რვა მილიონს მიაღწია.

ეს იყო ერთადერთი მოვლენა, რამაც „ნიუ ჯერსის“ უფერული უქმეები ოდნავ მაინც შეაფერადა. სხვაფრივ „ბადეები“ ვერაფრით გაახარა ამ ორმა შეხვედრამ, მათ ორივე დათმეს, მიუხედავად იმისა, რომ მეტოქეებად ქვესაშუალო გუნდები ჰყავდათ და გარდა ამისა, ტრავმახშირ „ნიუ ჯერსის“ ამ სენმა კიდევ ერთი ლიდერი გამოაკლო. „ბადეთა“ ვეტერანმა ფრთამ ჯონი ნიუმენმა „კლივლენდთან“ მუხლი იტკინა, თუმც ტრავმას არ მოერიდა, „ბოსტონთანაც“ ითამაშა, მაგრამ ექვსი წუთის შემდეგ გაუმიზეზდა და გუნდის იმ რვა დამტვრეულს შეუერთდა, რომელთათვისაც სეზონი უკვე დამთავრდა.

განახევრებული შემადგენლობის მიუხედავად, პარასკევს „კლივლენდთან“ „ნიუ ჯერსი“ რიგიანად გამოიყურებოდა, კარგადაც დაიწყო და მართალია, მეორე მეოთხედი 16:32 ჩაუვარდა და ტაიმთა გასაყარზე ათი ქულით ჩამორჩა სტუმრებს, მაინც მოახერხა ინიციატივის დაბრუნება და ბოლო მეოთხედის შუაწელს შვიდი ქულითაც კი დაწინაურდა — 85:78. შემდეგ უნიუმენოდ დარჩენილმა მასპინძლებმა სამნახევარწუთიანი მონაკვეთი 2:11 წააგეს და საბოლოოდ დაკარგეს ლიდერობა.

პლეი ოფში ვერმოხვედრილმა „ბოსტონმა“ კი ვლადიმერ სტეფანიას გუნდთან პირველივე წუთებიდან იგდო ხელთ ლიდერობა და საფინალო სირენამდე მდევრად ამყოფა „ნეთსი“. „ბადეებმა“ ახლაც ჩააგდეს მეორე თორმეტწუთეული, ერთხანს 17 ქულითაც აგებდნენ, მაგრამ მერე თანდათან გამოფხიზლდნენ, ედი გილის ზემოთნასენები ჩაგდების შემდეგ ორ ქულამდე დაიყვანეს სხვაობა 72:74, მეტი კი ველარ შეძლეს.

აღსანიშნავია, რომ „ბოსტონის“ თავდამსხმელი ანტუან უოლკერი, რომლის ადგილი ფარქვეშაა, მაგრამ იგი პერიმეტრზეც ხშირად ამოდის, „ნიუ ჯერსისთან“ სულაც გამთამაშებლად მოევლინა თავისიანებს და ამ 206-სანტიმეტრიანმა და 110-კილოგრამიანმა მოთამაშემ 12 პასი გაუხერხა თანაგუნდელთ, ოთხი სამქულიანიც ჩააგდო და გვარიანადაც აუბნია თავგზა „ბადეებს“.

რაც შეეხება „ნეთსის“ ქართველ ცენტრ ვლადიმერ სტეფანიას, მან მხოლოდ „ბოსტონთან“ ითამაშა, მოედანზე შვიდი წუთი დაჰყო, თამაშიდან სამივე სროლა ააცილა და მატჩი უქულოდ დაასრულა. სამაგიეროდ, ექვსი ბურთი მოხსნა, აქედან სამი მეტოქის ფარზე. გარდა ამისა, ვოვა ერთხელ მეტოქეზე დაჯარიმდა და ორჯერაც ბურთი დაკარგა.

13 აპრილი

**ფინიქსი 109:100 სიეტლი**

ფინქსი: კიდი (30 ქულა, 17 პასი, 9 მოხსნა, 4 ჩაჭრა), მარიონი (20 ქულა, 13 მოხსნა), რობინსონი (20)

სიეტლი: ლუისი (27), იუინგი (21), პეიტონი (21)

**კლიპერსი 111:105 მინესოტა**

კლიპერსი: პიატკოვსკი (26), ოდომი (21)

მინესოტა: გარნეტი (23 ქულა, 12 მოხსნა, 6 პასი), ელისი (17)

**პორტლენდი 103:109 ჰიუსტონი**

პორტლენდი: პიპენი (28 ქულა, 13 მოხსნა), ვოლესი (21)

ჰიუსტონი: ფრენსისი (32 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა), ანდერსონი (20), მობლი (18)

**დალასი 101:97 საკრამენტო**

დალასი: ფინლი (31), ჰოვარდი (16 ქულა, 12 მოხსნა)

საკრამენტო: ვებერი (24 ქულა, 13 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (18)

**დენვერი 108:92 გოლდენ სტეიტი**

დენვერი: მაკლაუდი (24), ლაფრენცი (18 ქულა, 11 მოხსნა), პეკი (12 ქულა, 11 მოხსნა, 10 პასი)

გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (30)

**ტორონტო 94:82 მაიამი**

ტორონტო: ვ. კარტერი (27), დევისი (25 ქულა, 13 მოხსნა)

მაიამი: ა. კარტერი (17), გრანტი (16)

**ინდიანა 113:108 ბოსტონი**

(ძირითადი დრო 104:104)

ინდიანა: მილერი (29), ონილი (18 ქულა, 13 მოხსნა)

ბოსტონი: უოლკერი (37), პირსი (19), პალასიო (18)

**ჩიკაგო 83:94 იუტა**

ჩიკაგო: არტესტი (27 ქულა, 5 ჩაჭრა)

იუტა: მელოუნი (32 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი), მენინგი (16)

**ნიუ იორკი 101:65 ატლანტა**

ნიუ იორკი: სპრიუელი (22), ჰარინგტონი (18)

ატლანტა: მუჰამედი (13 ქულა, 11 მოხსნა)

**ვაშინგტონი 113:110 ორლანდო**

ვაშინგტონი: ჰამილტონი (30), ლეიტნერი (26 ქულა, 10 მოხსნა)

ორლანდო: მაკგრეიდი (49), ჰადსონი (23)

სეზონი უკანასკნელ დღეებს ითვლის, ოქროს მაძიებელ „პორტლენდს“ კი დღითიდღე მკვეთრად ეტყობა სიძაბუნე. პარასკევს „პორტლენდმა“ მორიგი მნიშვნელოვანი მატჩი დათმო, შინ წააგო პლეი ოფს მიღმა დარჩენილ „ჰიუსტონთან“. „ბლეიზერსს“ ვერ უშველა ბებერმა ფრთამ სკოტი პიპენმა, რომელსაც ერთი სეზონი „ჰიუსტონში“ გაუტარებია, ამიტომაც ყოფილი გუნდის წინააღმდეგ იკადრა ოფლის მოდენა და სეზონში იქნებ საუკეთესო მატჩიც ჩაატარა. გამარჯვება მაინც სტუმრებს დარჩათ, რომელთაც მართალია, ბებერი მგელი ჰაკიმ ოლაჯუონი აკლდათ, მაგრამ ყმაწვილი სტივ ფრენსისის სასწაულების წყალობით მორიგი გამარჯვება შეიმატეს.

პორტლენდელთა გულის გასახეთქად იმარჯვა „ფინიქსმა“, თან მეექვსედ. ფინიქსელთა ლიდერმა, ლიგის პირველმა (იქნებ მეორე) გამთამაშებელმა ჯეისონ კიდმა აჯობა მუდმივ მეტოქეს ლიგის მეორე (იქნებ პირველ) გამთამაშებელ გერი პეიტონს, ამის პარალელურად კი კიდის „ფინიქსმა“ პეიტონის „სიეტლი“ დააჩოქა მიუხედავად იმისა, რომ პეიტონმა თანაგუნდელთაგან სერიოზული დახმარება მიიღო. 38 წლის ცენტრმა პატრიკ იუინგმა „ფინიქსს“ სეზონში სარეკორდო, 21 ქულა ჩაუგდო, მაგრამ ამაოდ გაისარჯა.

ერთი დღის შემდეგ, რაც ლოს ანჯელესში დარბაზ „სტეიპლზ სენთერში“ „ლეიკერსთან“ წააგო, „მინესოტამ“ „ლეიკერსის“ უმცროსი ძმისგან „კლიპერსისგანაც“ იგემა მწარე ალიყური, თუმც იქნებ არც ძალიან ემწარა, რადგან კონფერენციაში მერვე ადგილს და შესაბამისად პლეი ოფში „სან ანტონიოს“ გზას ვერანაირად ვერ აუქცევს. ამ ბოლო ხანებში გამოცოცხლებულმა „კლიპერსმა“ კი ზედიზედ მესამედ, ბოლო 15 შინაური თამაშიდან კი მეთორმეტედ, მოიგო.

დალასში იქაურ „მავერიქსთან“ წაიბორძიკა წყნარი ოკეანის დივიზიონში პირველმა „საკრამენტომ“ და ამ ადგილის დაკარგვის საფრთხის წინაშე დადგა.

ალონზო მურნინგის დაბრუნების შემდეგ გვარიანად მოძლიერებულმა „მაიამიმ“ კვლავ ქვევით ჩაიჩოჩა, ძირითადი გამთამაშებელი ტიმ ჰარდევეი დაკარგა და მოძლიერებულ „ტორონტოს“ მარცხნივ გამორჩა.

15 აპრილი

**ატლანტა 124:129 დეტროიტი**

(ძირითადი დრო 115:115)

ატლანტა: რაიტი (31 ქულა, 15 მოხსნა), ტერი (25), მუჰამედი (20), ნაითი (15 ქულა, 11 პასი, 7 ჩაჭრა)

დეტროიტი: სტეკჰაუზი (37), ვილიამსონი (23), ეტკინსი (21)

**მილუოკი 112:86 ტორონტო**

მილუოკი: ალენი (31), ჰანტერი (22), კასელი (18)

ტორონტო: კლარკი (18)

**სან ანტონიო 111:95 დენვერი**

სან ანტონიო: რობინსონი (25 ქულა, 12 მოხსნა, 7 დაფარება, 4 ჩაჭრა), ანდერსონი (20)

დენვერი: მაკლაუდი (23)

**გოლდენ სტეიტი 94:106 კლიპერსი**

გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (36 ქულა, 10 მოხსნა), პორტერი (20)

კლიპერსი: მაკინისი (22), ოდომი (19); მეჯიტი (17)

**ვანკუვერი 95:100 ჰიუსტონი**

ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (24)

ჰიუსტონი: ანდერსონი (19)

შინ მშობლიურ დარბაზში უკანასკნელად წააგო უხეირო „ვანკუვერ გრიზლიზმა“. არა, იმას კი არ ვგულისხმობთ, ეს გუნდი ისე გაძლიერდა, შინ საერთოდ აღარ წააგებსო, უბრალოდ „ჰიუსტონთან“ შეხვედრა უკანასკნელია „დათვებისთვის“ ვანკუვერში. რაკი კანადის მოყინულ მიწაზე კალათბურთმა ფეხი ვერ მოიკიდა, „დათვებმა“ საქმე მოაგვარეს და მწირი კანადიდან ნაყოფიერ შტატებში გადაბარგდებიან, კერძოდ, დიდი ელვის პრესლის მშობლიურ მემფისს შეაფარებენ თავს. ეს ამბავი თითქმის გადაწყვეტილია. ისე კი თადარიგში ახალი ორლეანიცაა.

ცენტრალური დივიზიონის მეორეადგილოსანმა, მეორე კანადურმა გუნდმა „ტორონტომ“ „მაიამის“ დამარცხების შემდეგ მეორე ბობოლას, „მილუოკის“ დაუპირა წაქცევა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

დასავლეთ კონფერენციის პირველმა გუნდმა „სან ანტონიომ“ შინ „დენვერი“ გაამწარა და პირველობა საბოლოოდ დაიბევა.

15 აპრილი

**ფილადელფია 89:82 ნიუ იორკი**

ფილადელფია: აივერსონი (27)

ნიუ იორკი: სპრიუელი (26)

**მინესოტა 107:100 იუტა**

მინესოტა: გარნეტი (17), შჩერბიაკი (17)

იუტა: სტოქტონი (21), მარშალი (18 ქულა, 12 მოხსნა)

**ვაშინგტონი 98:106 კლივლენდი**

ვაშინგტონი: ალექსანდერი (30), ლეიტნერი (18)

კლივლენდი: მილერი (20), ტრეილორი (17)

**მაიამი 73:90 ორლანდო**

მაიამი: მეისო[illegible] (20 ქულა, 10 მოხსნა)

ორლანდო: მაკგრეიდი (24), მილერი (21)

**ჩიკაგო 86:93 ინდიანა**

ჩიკაგო: ბრენდი (17)

ინდიანა: ტაბაკი (16)

**ფინიქსი 88:86 საკრამენტო**

ფინიქსი: კიდი (20 ქულა, 14 პასი), როჯერსი (20), მარიონი (16 ქულა, 19 მოხსნა)

საკრამენტო: ვებერი (22), კრისტი (20), დივაცი (17)

**ლეიკერსი 105:100 პორტლენდი**

ლეიკერსი: ონილი (33 ქულა, 18 მოხსნა), ბრაიანტი (25), ფიშერი (21)

პორტლენდი: ვოლესი (28), სმიტი (24)

**დეტროიტი 90:99 შარლოტი**

დეტროიტი: სტეკჰაუზი (34), ვილიამსონი (18)

შარლოტი: მაშბურნი (20), ვესლი (17)

**სიეტლი 99:107 დალასი**

(ძირითადი დრო 94:94)

სიეტლი: პეიტონი (23 ქულა, 13 პასი), ლუისი (17)

დალასი: ფინლი (26), ნოვიცკი (22 ქულა, 15 მოხსნა)

კიდევ ერთი მარცხი ჭამა „პორტლენდმა“, ამჯერად შარშან დასავლეთის ფინალში მის მგვემელ „ლეიკერსთან“. ჩემპიონი „ლეიკერსი“ სწორედ ახლა შედის საუკეთესო ფორმაში, რისი დასტურიც ზედიზედ შვიდი გამარჯვებაა. ამ მოგებით ლოსანჯელესელებმა წყნარი ოკეანის დივიზიონის პირველადგილოსან „საკრამენტოს“ გადაუსწრეს. ამ უკანასკნელმა „ფინიქსთან“ წააგო. თავის მხრივ „ფინიქსმაც“, „ლეიკერსის“ დარად, ზედიზედ მეშვიდე გამარჯვება იზეიმა და დასავლეთში მეექვსე ადგილზე მყოფ „პორტლენდს“ გადაუსწრო. არადა, „პორტლენდი“ მარტის დასაწყისში ლიგის პირველი გუნდიც კი იყო, მაგრამ ბოლო 21 თამაშიდან 13 წააგო და ასეთ დღეში აღმოჩნდა. ეს კი არა, იქნებ უარესიც დაემართოს, არაა გამორიცხული პლეი ოფის პირველივე წრეში დაეჯახოს „ლეიკერსს“, ეს კი ამ ძლიერი შემადგენლობის, მაგრამ მოშლილ გუნდს კარგს არას უქადის. „პორტლენდს“ შინააშლილობაც ჭამს. „ლეიკერსთან“ შეხვედრაში გუნდის ლიტველმა ცენტრმა არვიდის საბონისმა იდაყვი ჩაარტყა სახეში თანაგუნდელ რაშიდ ვოლესს, ამ უკანასკნელმა კი პირსახოცი ესროლა და საჩხუბრადაც გაიწია, მაგრამ გააშველეს.

16 აპრილი

**კლივლენდი 80:78 ნიუ იორკი**

კლივლენდი: მილერი (19 ქულა, 11 პასი)

ნიუ იორკი: სპრიუელი (21), ჰიუსტონი (20), ტომასი (19 ქულა, 11 მოხსნა)

**შარლოტი 106:83 ატლანტა**

შარლოტი: მაშბურნი (31), დევისი (18 ქულა, 12 პასი)

ატლანტა: გლოვერი (16)

**ორლანდო 89:101 მილუოკი**

ორლანდო: მაკგრეიდი (26)

მილუოკი: რობინსონი (19)

**კლიპერსი 100:80 ფინიქსი**

კლიპერსი: მაკინისი (20 ქულა, 13 პასი), ოდომი (18 ქულა, 12 მოხსნა, 9 პასი)

ფინიქსი: მარიონი (18 ქულა, 12 მოხსნა)

**გოლდენ სტეიტი 101:110 დალასი**

გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (31), კამინგსი (22 ქულა, 10 პასი), პორტერი (21)

დალასი: ჰოვარდი (30), ფინლი (21)

**საკრამენტო 110:100 ვანკუვერი**

საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (31), ვებერი (23), დივაცი (21 ქულა, 16 მოხსნა)

ვანკუვერი: ჯონსი (25), აბდურ-რაჰიმი (18)

ზედიზედ შვიდი მატჩის მომგები „ფინიქსი“ ლოს ანჯელესში იქაურ „კლიპერსს“ ველარ მოერია და გამარჯვებათა სერია შეწყვიტა.

16 აპრილმა კიდევ ერთი ბობოლა, „ნიუ იორკი“ შეიწირა, რომელიც „კლივლენდს“ ემსხვერპლა.

კვლავ, უკვე ზედიზედ მეთორმეტედ, დამარცხდა „გოლდენ სტეიტი“. ოქროსშტატელ „მეომრებს“ ერთი მცდელობაღა აქვთ, ასე შერცხვენილებმა არ დაამთავრონ სეზონი, 18 აპრილს ისინი მათსავით უკბილო „ვანკუვერს“ უმასპინძლებენ.

**ირაკლი ფირცხვილი**



ლეიკერსი — პორტლენდი. პორტლენდელი დეიმონ სტუდემაიერი (№3) კობი ბრაიანტს ბურთს ეცილება

REUTERS

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | მ | წ | % |
| ფილადელფია* | 55 | 25 | 68,8 |
| მაიამი* | 48 | 32 | 60,0 |
| ნიუ იორკი* | 47 | 34 | 58,0 |
| ორლანდო* | 43 | 38 | 53,1 |
| ბოსტონი | 36 | 45 | 44,4 |
| ნიუ ჯერსი | 26 | 55 | 32,1 |
| ვაშინგტონი | 19 | 61 | 23,8 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| მილუოკი* | 52 | 29 | 64,2 |
| ტორონტო* | 45 | 35 | 56,3 |
| შარლოტი* | 45 | 36 | 55,5 |
| ინდიანა* | 40 | 40 | 50,0 |
| დეტროიტი | 32 | 48 | 40,0 |
| კლივლენდი | 30 | 51 | 37,0 |
| ატლანტა | 24 | 57 | 29,6 |
| ჩიკაგო | 13 | 67 | 16,3 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| სან ანტონიო* | 57 | 23 | 71,3 |
| იუტა* | 52 | 28 | 65,0 |
| დალასი* | 52 | 29 | 64,2 |
| მინესოტა* | 47 | 33 | 58,8 |
| ჰიუსტონი | 44 | 37 | 54,3 |
| დენვერი | 39 | 41 | 48,8 |
| ვანკუვერი | 22 | 59 | 27,2 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| ლეიკერსი* | 55 | 26 | 67,9 |
| საკრამენტო* | 55 | 26 | 67,9 |
| ფინიქსი* | 50 | 31 | 61,7 |
| პორტლენდი* | 50 | 31 | 61,7 |
| სიეტლი | 43 | 38 | 53,1 |
| კლიპერსი | 31 | 50 | 38,3 |
| გოლდენ სტეიტი | 17 | 64 | 21,0 |

* — გავიდა პლეი ოფში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ჩემპიონატი

17 აპრილი. ვერის ბაღი

**ბასკო 92:65 შევარდენი**

24:11, 24:16, 28:21, 16:17

ბასკო: ნიკოლაძე (14), ბეჟანიშვილი, დროჟანოვი (13), ვ. ნაცვლიშვილი (13), კილაძე (8); საყვარელიძე (4), მ. მარკოიშვილი (10), აბრამიძე (11), გ. ნაცვლიშვილი (8), კეშელავა (6), ათუაშვილი, ორმოცაძე (5)

შევარდენი: ნ. ნოზაძე (8), გ. ჩხეიძე (15), გულხადარაშვილი (4), სუხიშვილი (12), გოგუა (2); ალავიძე (10), კაზანჯიანი (9), ნუცუბიძე, გელაშვილი (5)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

17 აპრილი. ვერის ბაღი

**აზოტი 95:71 თსუ**

23:24, 17:20, 28:16, 27:11

აზოტი: ჩაჩუა (3), ტურაშვილი (18), გოგობერიშვილი (10), ბაბიაშვილი (25), ჯაფარიძე (16); გაბისონია (2), მიქიაშვილი (3), აბზიანიძე, შენგელია (12), კოკოლიშვილი (4), ჯიმშელეიშვილი (2)

თსუ: დ. ბერიშვილი (14), მაისურაძე (7), გ. მარკოიშვილი (22), ახალკაცი (11), სანიკიძე (9); ხეცურიანი (6), ზანგურაშვილი (2), მაჭარაძე, ი. ბერიშვილი

მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, დავით ანდრიაძე

კომისარი: როლანდ ხომერიკი

17 აპრილი. ვერის ბაღი

**სტუ 96:103 მაკაბი**

22:21, 21:18, 18:36, 35:28

სტუ: მიქაძე, ხოშტარია (31), დავითულიანი (24), მინაშვილი (12), მდივანი (5); ბ. ბერიშვილი (4), სულაძე, ოთიურიძე (4), ლოსაბერიძე (8), ჩუბინიძე (8)

მაკაბი: წოწელია (28), ანდღულაძე (19), შანიძე (19), სარიშვილი (18), დაჩუმი (17); კოჭლამაზაშვილი, კრიხელი, ტუჯანი (2), მჭედლიშვილი

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე

კომისარი: მურმან ქურიძე

# ყველამ ყველაფერი იცის

**გიორგი ბიკაშვილი**

**ექვსეულის** მესამე წრემ კარგა ხანია, აზრი დაკარგა, რადგან ისედაც ყველაფერი ცნობილია და სადღეისოდ დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პლეი ოფის ნახევარფინალში „ბასკო" „მაკაბის" შეხვდება, „აზოტი" კი — სტუ-ს. აბა, რას იფიქრებდა ფედერაცია, მოვლენები ამგვარად თუ განვითარდებოდა, თორემ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, არაფრისმომცემ შეხვედრებს ნაღდად ავიცილებდით. სხვა თუ არაფერი, თითოეული მატჩის გამართვა ხომ სწორედ ფედერაციის ბიუჯეტთანაა დაკავშირებული.

რაკი საქმე ასეა, რა გასაკვირია, რომ გუნდებიც ნაკლებად ინდომებენ, წარჩინებულნი ფიქრით პლეი ოფზე არიან გადართულნი და, აქედან გამომდინარე, მეტოქეთა რეალური შესაძლებლობების განსაზღვრაც ძალიან ჭირს. ბუნებრივია, რომ უმოტივაციოდ დარჩენილ კალათბურთელებთან მწვრთნელებიც ნაკლებ სიმკაცრეს იჩენენ.

ერთი სიტყვით, ინერციითღა უახლოვდება მეათე ეროვნული პლეი ოფს და, რა თქმა უნდა, თვალსასეიროც ცოტა რამ ხდება.

გუშინ, მაგალითად, სტუ-ს უსუსური თამაში თუ დაამახსოვრდებოდა ვერის ბაღში შეკრებილ ქომაგს. საჩემპიონო ამბიციების მქონე კლუბმა „მაკაბის" წინააღმდეგ შეუფერებლად და ცუდად ითამაშა და, ცხადია, წააგო. ეს კონკრეტული მარცხი სტუდენტებისთვის ტრაგედია სულაც არ გახლავთ, მაგრამ მწვრთნელებს ბევრ რამეზე დაფიქრება მოუწევთ. გუნდს საიმისო პოტენციალს ნამდვილად ვერ ვამჩნევთ, ნახევარფინალურ სერიაში „აზოტის" ბარიერი გადალახოს, მით უფრო, საჩემპიონო ოქროს შესწვდეს.

სადღეისოდ სტუ-ს ყველა სათამაშო რგოლში დიდი პრობლემები აქვს, რაც „მაკაბისთან" მატჩშიც თვალნათლად გამოჩნდა. შეუთანხმებლად მოქმედებს გუნდის უკანა ხაზი, უნიათოდ თამაშობენ კალათბურთელები დაცვაში, რაც 103 გაშვებულ ქულაში გამოიხატა, მოუწესრიგებელია შეტევა და მოთამაშეებიც რაღაც დამძიმებულები ჩანან. ერთი სიტყვით, მთავარ მწვრთნელ ნუგზარ ჭეიშვილს საქმე თავზესაყრელად აქვს და თითქმის ყველა მიმართულებით.

ცნობილია, რომ „მაკაბის" ყველაზე დიდი ნაკლი მოკლე სკამია. ჩემპიონატის მთელი სიმძიმე ხუთ-ექვს კალათბურთელზე ნაწილდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, წარმატებით თამაშობს. ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ ეს კლუბი მიღწეულითაც კმაყოფილია და, სტუ-სგან განსხვავებით, პირველობის პრეტენზია არა აქვს.

სტუ-სთან „მაკაბიმ" კამერუნელი ჟოლივეტ ტუჯანი მოისაკლისა, მართალია, ოქმში მის გვარსაც ამოიკითხავთ, მაგრამ ფეხმტკივანმა აფრიკელმა კოჭლობით ერთი-ორი თუ გაირბინა, რაც სათვალავში ჩასაგდები არ არის. მის შემცვლელად მწვრთნელებმა მალხაზ ანდღულაძე შეიგულეს და თითქმის ყველასგან მივიწყებულმა ამ ვეტერანმაც ძველი დრო გაიხსენა. იგი კარგად მოერგო ლამის შეუცვლელად მოასპარეზე „მაკაბის" სათამაშო სქემას და თავისიანთა გამარჯვებაში ლომის წილიც დაიდო.



[illegible]ს ფოტო

მაკაბელმა მალხაზ ანდღულაძემ ძველი დრო გაიხსენა

საწყისი წუთები თანაბარ ბრძოლაში გაილია და მერეც კარგა ხანს ფეხდაფეხ სდიეს მეტოქეებმა ერთმანეთს. ფარქვეშ შედარებით უკეთ „მაკაბი" გამოიყურებოდა, რაც უმეტესწილად დიდიე დაჩუმის დამსახურება გახლდათ. სტუდენტები ფონს ირაკლი ხოშტარიას ძალისხმევით გადიოდნენ, რომლის ინდივიდუალური გარღვევებიც მეტოქეს სოლიდურად დაწინაურების შანსს უსპობდა.

მეორე მეოთხედში სტუ-მ ტემპს უმატა, ნუგზარ ჭეიშვილის გუნდმა დაცვითი თამაში გაამკაცრა და აქცენტი სწრაფ პირველ შეტევებზე აიღო. ორ-ორჯერ მინაშვილმა და ოთიურიძემაც ივარგეს ფარქვეშიდან და „მაკაბი" მეტოქეს 12 ქულით ჩამორჩა — 31:43. სტუ-სთვის თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, თუმცა მოულოდნელად „დადგნენ" სტუდენტები. წინ გასულ ტექნიკოსებს დაღლა დაეტყოთ და თითქოს თამაშის სურვილიც წაერთვათ, რაც „მაკაბიმ" სათავისოდ გამოიყენა და ტაიმის მიწურულს სხვაობა ოთხ ქულამდე შეამცირა.

შესვენების შემდეგ „მაკაბიმ" კიდევ უფრო მძლავრი დარტყმა აგემა ქაოსურად მოთამაშე მოწინააღმდეგეს. სარიშვილმა და ანდღულაძემ შორი მანძილიდანაც არაერთხელ დაარბიეს სტუდენტთა კალათი და სტუ-მ ის მონაკვეთი 2:21 დათმო. შეგირდების თამაშით უკმაყოფილო ჭეიშვილმა შეცვლებს უხშირა და გარკვეულწილად ექსპერიმენტებსაც მიმართა, მაგრამ მისი გუნდი აშკარად არ იყო იშტაზე და მოგვიანებით უიმედო სიტუაციაშიც აღმოჩნდა — 72:56 „მაკაბის" სასარგებლოდ.

ბრძოლა და მონდომება რაც არის, სტუ-მ გულშემატკივარს მეოთხე ათწუთეულშიღა უჩვენა, მაგრამ მატჩის გადასარჩენად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. „მაკაბის" უპირატესობა შეხვედრის ბოლომდე აღარ გაუშვია ხელიდან.

„აზოტი" — თსუ-ს დაპირისპირებაც შესვენების შემდეგ წახდა, რადგან გაცილებით ნაცადმა რუსთავის კლუბმა მაღალი კლასის ხარჯზე საფუძვლიანად დაწინაურება მოახერხა. მანამდე კი ტოლ-სწორი თამაში მიმდინარეობდა, იყო ეპიზოდი უნივერსიტეტელები 6 ქულითაც იყვნენ წინ. ვიცე-ჩემპიონებმა ამ მატჩში ჟილენტი და ბერუაშვილი ვერ დაიხმარეს, რადგან ორივეს ფეხის ტრავმა აწუხებს. დანარჩენები ჯანზე კი იყვნენ, მაგრამ, გასაგებ მიზეზთა გამო, მაინცდამაინც არ იწვოდნენ გამარჯვების სურვილით. „აზოტი" არ ზღუდავდა მეტოქეს და შეხვედრის სცენარიდან გამომდინარე, ადვილი შესაძლებელი იყო, წაეგო კიდეც, მაგრამ თსუ ზედმეტმა მღელვარებამ აზარალა. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ უნივერსიტეტელები სათამაშო დისციპლინის უქონლობამ დაალალატა.

ბათუმის „ბასკომ" შეთხელებულ „შევარდენს" საწყის ათწუთეულშივე მოუთავა ხელი. ვახტანგ ნაცვლიშვილმა ფარი დაიპყრო, რუსმა სერგეი დროჟანოვმა კი სამქულიანებით დააწიოკა მეტოქე. სიმართლე ითქვას, „შევარდენის" გამარჯვებას არავინ ელოდა...

**დარჩენილ მატჩთა განრიგი**

| | | |
|---|---|---|
| 18 აპრილი | | |
| შევარდენი | აზოტი | 12.00 |
| მაკაბი | ბასკო | 13.45 |
| თსუ | სტუ | 15.30 |
| 19 აპრილი | | |
| თსუ | ბასკო | 12.00 |
| შევარდენი | მაკაბი | 13.45 |
| აზოტი | სტუ | 15.30 |
| 21 აპრილი | | |
| მაკაბი | თსუ | 12.00 |
| სტუ | შევარდენი | 13.45 |
| ბასკო | აზოტი | 15.30 |
| 22 აპრილი | | |
| თსუ | შევარდენი | 12.00 |
| მაკაბი | აზოტი | 13.45 |
| ბასკო | სტუ | 15.30 |

14 აპრილი. ვერის ბაღი

**სტუ 76:90 ბასკო**

17:21, 21:17, 19:32, 19:20

სტუ: მიქაძე (12), დავითულიანი (16), ლოსაბერიძე (8), მინაშვილი (11), მდივანი (13); ბ. ბერიშვილი (9), კორძაძე (3), სულაძე, ოთიურიძე (4), ჩუბინიძე

ბასკო: როჯერსი (12), ნიკოლაძე (2), დროჟანოვი (20), ვ. ნაცვლიშვილი (28), კილაძე (6); უსტიაშვილი, ბეჟანიშვილი (10), აბრამიძე, გ. ნაცვლიშვილი (2), საყვარელიძე (1), ორმოცაძე (9)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: მურმან ქურიძე

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 27 | 26 | 1 | 2651:1979 | 53 |
| აზოტი | 27 | 22 | 5 | 2310:2011 | 49 |
| სტუ-ჯეოსელი | 27 | 17 | 10 | 2474:2341 | 44 |
| მაკაბი | 27 | 14 | 13 | 2367:2304 | 41 |
| თსუ | 27 | 10 | 17 | 2311:2473 | 37 |
| შევარდენი | 27 | 7 | 20 | 2012:2238 | 33 |

შევარდენს დაკლებული აქვს ერთი ქულა

**ბოსტონის მარათონი**

# შავებს წილი არ ერგოთ

**ბოსტონის** მარათონზე შავი ხანა დასრულდა. უძველესი მარათონული გარბენი (თუ ანტიკურ ხანას არ ჩავთვლით) სამხრეთკორეელმა ლი ბონგ იუმ მოიგო და წინა მარათონების კენიელი გამარჯვებულები — ჯოზეფ ჩებეტი, მოზეს ტანუი, ელია ლაგატი, ეთიოპელი ოლიმპიური ჩემპიონი გეზაგნე აბერა და ორშაბათს სტარტზე მდგარი 15606 მორბენალიდან სხვა მრავალიც ხახამშრალი დატოვა. ეს ყველაფერი 525 ათას ამერიკულ დოლარად დაფასებული ღონისძიების ცენტრალური მოვლენა გახლდათ.

ქალების გარბენს ორი უეჭველი ფავორიტი ჰყავდა: კენიელი კეტრინ ნდერება (შარშანდელი გამარჯვებული) და სარევანშოდ განწყობილი ეთიოპელი ფატუმა რობა, რომელმაც გასულ წლამდე ბოსტონში ზედიზედ სამჯერ იმარჯვა. უკანასკნელს ჯანსაღი ამბიციის თვალსაზრისით ორშაბათის სირბილი კენიელზე უფრო აღელვებდა. გაიმარჯვებდა და პირველი ქალი გახდებოდა, ვინც ეს მარათონი ოთხჯერ მოიგო, მაგრამ რობას საქმე კარგად ვერ წაუვიდა და პირველს ვინ ჩივის, საპრიზო ადგილზეც ვერ მოხვდა.

25 კილომეტრი რომ გაილია, მოწინავე ჯგუფში ჯერ კიდევ 10 ქალი იყო, რაც ბოსტონის მარათონის ქალთა განყოფილების 30-წლიან ისტორიაში არ ყოფილა, თუმცა სულ მალე ჯგუფმა დნობა იწყო და პირველ პოზიციებზე რობა და ნდერება დარჩნენ, კენიელი ლორნა კიპლაგატი კი 50-ოდე მეტრით უკან მორბოდა. კრიტიკულ მომენტში პირველად ეთიოპს უღალატა ძალამ, ნდერება კი გარბოდა დასვენებული ჭაკივით და არც ფინიშზე დასტყობია აუტანელი დაღლილობა. თუმც უნდა შევნიშნოთ, რომ მისი 2:23,53 მოწინავე მარათონული შედეგებიდან ერთობ შორსა დგას, მეშვიდეა ბოსტონის მარათონის ისტორიაში და უტა პიპიგის 7 წლის წინანდელ რეკორდს 2 წუთითა და 8 წამით ჩამორჩება. როცა ნდერებამ ეს გაიგო, სულაც არ უნერვიულია, მთავარი გამარჯვება იყო და 80 ათასი დოლარი, რომელიც პრემიად მისცეს, ხოლო რობას ფინიში საბრალო იყო. მას ზედიზედ გაუსწრეს პოლონელმა, რუსმა, კენიელმა და მეხუთე ადგილს დასჯერდა.

ნდერებას გამარჯვება ერთადერთია, რაც ორშაბათის ბოსტონში კენიელთა გულებს მალამოდ მოეცხებოდა, თორემ რომელი ქომაგი აიტანს პატივცემულ კერპთა იმგვარ უხეირობას, გუშინწინ ვაჟებმა რომ უჩვენეს. ტანუი და ლაგატი ათეულში ვერ მოხვდნენ, ჩებეტი სულაც შუაგზაზე შედგა. კატასტროფა სრული იყო. მისი ნიშნები თავიდანვე ჩანდა. პირველი 15 კილომეტრი სამხრეთაფრიკელი მახოსონკე ფიკას ლიდერობით გაილია, შემდეგ ამერიკელი ჯოშ კოქსი დაწინაურდა და სამხრეთაფრიკელივე ლაბან ნკეტესა და რუსი ფიოდორ რიჟოვის თანხლებით გზის ნახევარი პირველმა გაასრულა. ეს ყველაფერი, ცხადია, შესავალი გახლდათ. სად იყო ამერიკელის მოსაგები, როცა ბოსტონში გამარჯვებული ბოლო იანკი გრეგ მეიერი ყოფილა შორეულ 1983-ში, მაგრამ...

დიახაც, რომ მაგრამ: ბოლოს კორეელმა ბოსტონის მარათონი სულაც 1950 წელს მოიგო, ჯერ კიდევ ერთიანი ქვეყნის სახელით. იმ კაცს კი იონგ ჰამი ჰქვია, ცოცხალია და ორშაბათს გაფაციცებით უყურებდა ტელევიზორს, სადაც მოვლენები დაუჯერებლად განვითარდა — „ჰართბრეიკ ჰილზს" ბორცვებზე ლიდერთა ჯგუფი შეთხელდა, შეთხელდა და ჰოი, საოცრებავ! გზამოსწორებულზე მოწინავედ გამოჩნდა მისი თვისტომი ლი ბონგ იუ, რომელიც ტანჯული სახით, მაგრამ ტემპის დაუგდებლად მირბოდა სანუკვარი „კოპლი სქვერისკენ", სადაც ზღვა ხალხი და ფინიშის ლენტი ელოდა. კორეელმა გაიმარჯვა. „ბოლო ორ მილზე საშინლად გამიჭირდა — თქვა ბედნიერმა იუმ, რომელიც მეორე იყო ატლანტაში და 24-ე სიდნეის ოლიმპიადაზე — მაგრამ რამ გამამარჯვებინა იცით? თვალები არ მიცეცებია აქეთ-იქით, მთლიანად საკუთარ თავზე მოვიმართე. მე მგონი, მარათონი პირველ რიგში თავთან ბრძოლაა, თავს თუ მოერიე, ყველაფერი გამოვა". სამხრეთკორეელსაც ნდერებასავით 80 ათასი დოლარი ერგო, რჩეულ და ჩაჭრილ კენიელებს კი ალბათ არაფერი, რადგან საეჭვოა, ტანუის მე-12 და ლაგატის მე-17 ადგილები პრემიით დაეფასებინათ.

**დავით გულუა**

**ვაჟები**

1. ლი ბონგ იუ (სამხრეთ კორეა) 2:09,43; 2. სილვიო გერა (ეკვადორი) 2:10,07; 3. ჯოშუა ჩელანგა (კენია) 2:10,29

**ქალები**

1. კეტრინ ნდერება (კენია) 2:23,53; 2. მალგორზატა სობანსკა (პოლონეთი) 2:26,42; 3. ლიუბოვ მორგანოვა (რუსეთი) 2:27,18




REUTERS ბოსტონიდან

ლი ბონგ იუმ ფინიში ეულად გადალახა

# ხარისხი და არა რაოდენობა



ამელი მორესმომ ზედიზედ მესამე ტურნირი მოიგო

**ამელია აილენდი (აშშ)**
**BAUSCH&LOMB-ის პირველობა**
**მწვანე თიხნარი. საპრიზო 565 ათასი $**

**მეოთხედფინალი:** არანჩა სანჩეს-ვიკარიო (7, ესპანეთი) — მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) 6:2, 6:4; ამელი მორესმო (6, საფრანგეთი) — ელენა დემენტიევა (რუსეთი) — ტრავმა; ამანდა კუტცერი (4, სამხრეთ აფრიკა) — მეგან შონესი (10, აშშ) 6:3, 6:3; ნადია პეტროვა (რუსეთი) — სილვია ფარინა (იტალია) 4:6, 6:3, 6:0

**ნახევარფინალი:** კუტცერი — პეტროვა 4:6, 7:5, 6:4. მორესმო — სანჩეს-ვიკარიო 6:3, 6:2

**ფინალი:** მორესმო — კუტცერი 6:4, 7:5

ამელი მორესმოს ნამდვილად არ სწამს პრინციპი — „მთავარია რაოდენობა". ლესბოსელი ფრანგი სეზონის მანძილზე მაქსიმალურად ბევრ ტურნირზე მონაწილეობის გეგმის გადაჭარბებით შესრულებას არ აპირებს და ამის ნაცვლად ურჩევნია, ხარისხიანად ითამაშოს.

მაშინ, როდესაც მთავარი კონკურენტები ინდიან უელსსა და კი ბისკეინში პრესტიჟულ პირველობებზე ეპაექრებოდნენ ერთმანეთს, მორესმო შინ, საფრანგეთში ვარჯიშობდა. თებერვალში პარიზსა და ნიცაში ზედიზედ გამარჯვების შემდეგ 21 წლის ჩოგბურთელმა თითქმის ორთვიანი შესვენება აიღო და თიხნარის სეზონისთვის სამაგალითოდ მოემზადა.

„ხეირიანად რომ ვითამაშო, ამისთვის დიდი სურვილი, სტიმული მჭირდება. ვფიქრობ, სწორედ მოვიქეცი, რომ მთელი ეს ტურნირები გამოვტოვე. სამაგიეროდ, წესიერად დავისვენე და ვივარჯიშე, როგორც ხედავთ, ურიგო აზრი არ ყოფილა" — განაცხადა კვირას ზედიზედ მე-15 მატჩის მოგებისა და ზედიზედ მესამე ტიტულის მოპოვების შემდეგ მორესმომ.

დაკუნთული ფრანგი WTA ტურზე ჯანიანი დარტყმებითა და მოწოდებებით ყოველთვის გამოირჩეოდა, მაგრამ ბოლო ხანებში ამას სტაბილური და გააზრებული თამაშიც დაუმატა. თუ ადრე მოთმინება არ ჰყოფნიდა და მეტისმეტად ადრე ცდილობდა ქულის მითვლას, ამჟამად ის ხანგრძლივ გათამაშებებს აღარ ერიდება, გაუმართლებელ რისკზეც არ მიდის და მეტოქეებს ერთიორად ურთულებს საქმეს.

სწორედ ამ ტაქტიკით დაჯაბნა მორესმომ ნახევარფინალსა და ფინალში გამოცდილი ვეტერანები — არანჩა სანჩეს-ვიკარიო და ამანდა კუტცერი. ზუსტად მიმართული, მოჭრილ-ჩახუჭუჭებული დარტყმებით ფრანგი დაუსრულებლად დაარბენინებდა ჩია მეტოქეებს წინ და უკან, კორტის ფარგლებიდან გააგდებდა და მერე ბადესთან გასვლით ან იოლი დარტყმით უსვამდა წერტილს გათამაშებებს.

მორესმო მხოლოდ მაშინ განერვიულდა, როდესაც ფინალში მეორე ხელში 5:3 დაწინაურდა: „ბოლო გეიმის მოგება ყოველთვის ყველაზე ძნელია. იმ მომენტში იმაზე დავიწყე ფიქრი, რომ ზედიზედ მესამე ტიტულამდე სულ მცირე მაკლდა, ყურადღება გამეფანტა და რამდენიმე უხეში შეცდომაც დავუშვი."

თავისდა საბედნიეროდ, ფრანგი გონს მალევე მოეგო და კუტცერს სეტებში ანგარიშის გათანაბრების არანაირი შანსი არ დაუტოვა. მორესმოს გამარჯვებისთვის 90 ათასი დოლარი ერგო, კლასიფიკაციაში კი ექვსი საფეხურით ზევით აიწია და მეცხრე ადგილზე მოკალათდა. ახლა მისთვის უპირველესი ამოცანაც და ჯერჯერობით აუხდენელი ოცნებაც როლან გაროსის მოგებაა: „საფრანგეთში ასპარეზობისას, როგორც წესი, მეტად ვნერვიულობ, თუმცა პარიზში მხურვალე ქომაგობით ძალიან მეხმარებიან. შევეცდები, სიმშვიდე შევინარჩუნო და მეტისმეტად ამბიციურად არ განვეწყო, თუმცა, იმედია, ეს მხოლოდ დასაწყისია და წინ კიდევ უფრო დიდი წარმატებები მელის."

**წყვილების ფინალი:** კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) და პატრიცია ტარაბინი (არგენტინა) — მარტინა ნავრატილოვა (აშშ) და არანჩა სანჩეს-ვიკარიო 6:4, 6:2

უბერებელ მარტინა ნავრატილოვას ამელია აილენდში ერთი მოგება დააკლდა წყვილებში კარიერის 166-ე ტიტულის მოპოვებამდე. 44 წლის ლეგენდამ შარშან სპორტში დაბრუნების შემდეგ პირველად იასპარეზა WTA-ს ტურნირის ფინალში და წაგების მიუხედავად, უკმაყოფილო ნამდვილად არ ეთქმოდა.

„ბევრი 40-50 წლის ქალი მოდის ჩემთან და მეკითხება, თუ შეიძლება ხელი შეგახოო, თითქოს იმედი აქვს, ჩემგან რაღაც გადაედება. ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ მე ცნობილი ვარ, არამედ იმიტომ, რომ ამ ასაკში გამორჩეულ რამეს ვახერხებ — მიაჩნია მარტინას, რომელიც ერთეულებში ასპარეზობას არ აპირებს — ფიზიკურად ამას შევძლებდი, მაგრამ ფსიქოლოგიურად — ვერა. არ მსურს, თავი დავიტანჯო, წყვილებში თამაშისგან უდიდეს სიამოვნებას ვიღებ. მინდა, ისევ ვმართო ჩემი თვითმფრინავი, ვითამაშო ჰოკეი, დრო გავატარო ჩემს საყვარელ ადამიანებთან, ერთეულებში ასპარეზობის შემთხვევაში კი დრო არაფრისთვის დამრჩებოდა."

**ეშტორილის (პორტუგალია)**
**ღია პირველობა**
**თიხნარი. საპრიზო 800 ათასი $**

**ვაჟები**

**მეოთხედფინალი:** ხუან კარლოს ფერერო (1, ესპანეთი) — ალბერტ მონტანესი (ესპანეთი) 6:2, 6:4; ალბერტ პორტასი (ესპანეთი) — დომინიკ ჰრბატი (3, სლოვაკეთი) 6:2, 6:4; ანდრეი პაველი (5, რუმინეთი) — ფრანკო სკილარი (4, არგენტინა) 7:6 (8:6), 7:6 (8:6); ფელიქს მანტია (ესპანეთი) — მარკუს ჰიპფლი (ავსტრია) 3:6, 6:3, 6:1

**ნახევარფინალი:** ფერერო — პორტასი 6:3, 6:1; მანტია — პაველი 6:2, 3:6, 6:2

**ფინალი:** ფერერო — მანტია 7:6 (7:3), 4:6, 6:3

პირველად განთესილი ხუან კარლოს ფერერო ეშტორილში მხოლოდ ერთი მიზნით — ტურნირის მოსაგებად ჩავიდა. 21 წლის ესპანელმა საბოლოოდ ეს მოახერხა კიდეც, მაგრამ მის გზას იოლს ნამდვილად ვერ უწოდებ: თანამემამულე ფელიქს მანტიასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლამ ფინალში სამ საათზე მეტს გასტანა, თანაც ფერეროს ექიმის დახმარება დასჭირდა მტკივანი მხრის საწამლოდ.

ორი ესპანელის შეხვედრაში ხანგრძლივი გათამაშება უფრო საჭადრაკო კომბინაციებს ჰგავდა. გადამწყვეტ ხელში ერთ დროს საუკეთესოთა ათეულელი, ახლა კი პირველი ასეულიდან გავარდნილი მანტია 3:1 დაწინაურდა, თუმცა ენდშპილი ფერეროს უკეთესი გამოუვიდა, მან აქედან მოყოლებული ზედიზედ 5 გეიმი მოიგო.

„ფერერო თიხნარზე სამ-ოთხ საუკეთესო ჩოგბურთელთა შორის შედის. დამარცხებას უკვე გადავეჩვიე და ცოტა უცნაურად ვგრძნობ თავს, თუმცა მან მოგება სრულებით დაიმსახურა" — შეაქო მეტოქე მანტიამ, რომელსაც ჩელენჯერებისა და საკვალიფიკაციო ტურნირის ჩათვლით ზედიზედ 17 მატჩი ჰქონდა მოგებული.

**ქალები**

**ნახევარფინალი:** ანხელეს მონტოლიო (ესპანეთი) — ჟიუსტინ ენენი (3, ბელგია) 5:7, 7:6 (7:4), 6:4; ელენა ბოვინა (რუსეთი) — იანა კანდარი (გერმანია) 7:5, 6:3

**ფინალი:** მონტოლიო — ბოვინა 3:6, 6:3, 6:2

**კასაბლანკა (მაროკო)**
**„ჰასან II-ის გრან პრი"**
**თიხნარი. საპრიზო 350 ათასი $**

**ნახევარფინალი:** ტომი რობრედო (ესპანეთი) — იუნეს ელ აინაუი (6, მაროკო) 3:6, 6:3, 7:6 (7:4); გილერმო კანასი (არგენტინა) — სერხი ბრუგერა (ესპანეთი) 6:0, 7:6 (7:4)

**ფინალი:** კანასი — რობრედო 7:5, 6:2

**ავთანდილ სვანიძე**



ჭაბუკთა მსოფლიოს თასი

# ქართველები რუსებს დიდ-პატარიანად უგებენ

**ჩილეში** დასრულდა 33-ე ჭაბუკთა მსოფლიოს თასის გათამაშება. ქართველმა მორაგბეებმა B ჯგუფში ოთხივე მეტოქე — გერმანია, აშშ, ესპანეთი, რუსეთი დაამარცხეს და ჯგუფის ჩემპიონები გახდნენ. უმცროსი ბორჯღალოსნები გაისად იტალიაში გასამართ ანალოგიურ ტურნირზე, A ჯგუფში იასპარეზებენ.

ჩვენმა ჭაბუკებმა ელიტაში აღზევება ჯერ კიდევ ნახევარფინალში ესპანელების ძლევით დაიბევეს, მაგრამ ჯგუფის ფინალსაც ორმაგი დატვირთვა ჰქონდა, რაკი მეტოქედ რუსეთი გვერგო, თანაც ფინალში გამარჯვებით ქართველები B ჯგუფში პირველობას მოიპოვებდნენ. ჩვენმა ყმაწვილებმა დიდი სხვაობით დაჯაბნეს რუსები — 37:8. მათ ხუთჯერ დაალელოვეს ჩრდილოელი მეზობლები, პასუხად კი მხოლოდ ერთი ლელო მიიღეს. უმცროს ბორჯღალოსანთაგან საყვარელიძემ, ყურაშვილმა, შკინინმა, პავლოვმა და გუგავამ ისახელეს თავი. თითო გარდასახვა შეაგდეს ავლოხაშვილმა, პინჩუკოვმა და სოხაძემ, ხოლო ლადო ავლოხაშვილმა ყველაფერ ამას ორი არეკნიც დაურთო.

ამრიგად, ქართველი მორაგბეები იოლად გაუსწორდნენ რუსეთს და B ჯგუფის ჩემპიონისთვის განკუთვნილ ორიგინალურ თასს დაეუფლნენ.

ნაღდი მსოფლიოს ჩემპიონი კი ახალი ზელანდია გახდა. ნახევარფინალში „ოლ ბლექსმა" ავსტრალიას შარშანდელი წყენისთვის სამაგიერო გადაუხადა — 35:18, ფინალში კი უელსის მძლეველი საფრანგეთის ნაკრები დაამარცხა — 36:23. ამ გამარჯვებით ჭაბუკმა ახალზელანდიელებმა მეორედ ირგუნეს მსოფლიოს პირველი გუნდის წოდება. პირველად შარშანწინ, 1999 წელს, უელსში იზეიმეს ეს წარმატება.

ამავე ეტაპზე გაირკვა ის ორი უიღბლო, რომლებიც გაისად ელიტიდან B ჯგუფში გავარდებიან და თავიანთ ადგილს საქართველოსა და რუსეთს დაუთმობენ. ესენი არიან სამოა და კორეა. კორეამ მასპინძელ ჩილესთან შეხვედრა დათმო, სამოამ კი რუმინელებს ვერაფერი მოუხერხა და ერთი საფეხურით დაქვეითდა.

როგორც აღვნიშნეთ, 2002 წლის პირველობას იტალია უმასპინძლებს. გათამაშების სისტემა ისეთივე იქნება, როგორიც წლეულს. ასე რომ, საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები გაისად პირდაპირ მერვედფინალში დაიწყებს ასპარეზობას და მეტოქედ საფრანგეთის საკმაოდ ძლიერი გუნდი ეყოლება. ელიტაში დასარჩენად ჩვენს მორაგბეებს პირველ სამ წრეში თუნდაც ერთხელ გამარჯვება ეყოფათ. ახლა კი იმ მორაგბეთა ვინაობას გაგაცნობთ, რომლებმაც ჩილეში თავი ისახელეს და საქართველოს ელიტის საგზური მოუპოვეს.

*ფორვარდები:* დავით ხინჩაგაშვილი, ავთო კოპალიანი, აკაკი სანაძე, დავით ზირაქიშვილი, ლევან ღვაბერიძე, ბესიკ ქარაბაქი, დიმიტრი პავლოვი, შალვა პაპაშვილი, დავით აბაშიძე, ლევან დათუნაშვილი, ბექა ყურაშვილი, ოთარ ტორაძე, შოთა საყვარელიძე, რეზო ბელქანია.

*ბეკები:* გიორგი კაჭარავა, ბიძინა სამხარაძე, ლადო ავლოხაშვილი, ბექა შარაშენიძე, ირაკლი გიორგაძე, ბექა კობახიძე, დენის პინჩუკოვი, გოგა შკინინი, ლექსო გუგავა, ივანე სოხაძე, ნიკა მხეიძე, ოთარ ბარკალაია.

*მწვრთნელები:* პაატა ნარიმანაშვილი, ლევან მაისაშვილი, მამუკა ტყეშელაშვილი

*მრჩეველი:* კლოდ სორელი

**ბაჩო სვანიძე**



## NHL. სტენლის თასი. პირველი წრე (ოთხ მოგებამდე)

### აღმოსავლეთი

| | |
|---|---|
| პიტსბურგი | 2 |
| ვაშინგტონი | 1 |

14 აპრილი

**ვაშინგტონი 1:2 პიტსბურგი (1:2 0:0 0:0)**
0:1 სტივენსი 8 (1), 1:1 ბონდრა 10 (2), 1:2 ლემიე 17 (1)

16 აპრილი

**პიტსბურგი 3:0 ვაშინგტონი (0:0 1:0 2:0)**
1:0 სტივენსი 30 (2), 2:0 კოვალიოვი 45 (1), 3:0 ჰრდინა 48 (1)

| | |
|---|---|
| ტორონტო | 3 |
| ოტავა | 0 |

13 აპრილი

**ოტავა 0:1 ტორონტო (0:0 0:0 0:0 0:1)**
0:1 სუნდინი 71 (1)

14 აპრილი

**ოტავა 0:3 ტორონტო (0:1 0:1 0:1)**
0:1 ბერეზინი 3 (1), 0:2 რობერტსი 30 (1), 0:3 რობერტსი 48 (2)

16 აპრილი

**ტორონტო 3:2 ოტავა (1:0 1:0 0:2 1:0)**
1:0 სუნდინი 8 (2), 2:0 ანტროპოვი 29 (1), 2:1 ჰოსა 57 (1), 2:1 ალფრედსონი 60 (1), 3:2 კრისი 63 (1)

| | |
|---|---|
| ბუფალო | 2 |
| ფილადელფია | 1 |

14 აპრილი

**ფილადელფია 3:4 ბუფალო (1:0 2:2 0:1 0:1)**
1:0 ლენგკოუ 14 (1), შატანი 21 (1), 1:2 ჟიტნიკი 30 (1), 2:2 ლეკლერი 34 (1), 3:2 რეკი 36 (1), 3:3 ბრაუნი 44 (1), 3:4 მაკი 79 (1)

**ბუფალო 2:3 ფილადელფია (1:0 1:2 0:1)**
1:0 გრეტონი 4 (2), 1:1 მანდერვილი 23 (1), 2:1 ჰაინცი 25 (1), 2:2 განიე 32 (1), 2:3 დელმორი 52 (1)

| | |
|---|---|
| ნიუჯერსი | 2 |
| კაროლინა | 0 |

15 აპრილი

**ნიუ ჯერსი 2:0 კაროლინა (1:0 1:0 0:0)**
1:0 მოგილნი 5 (1), 2:0 ოდოლენი 23 (1)

### დასავლეთი

| | |
|---|---|
| ლოს ანჯელესი | 1 |
| დეტროიტი | 2 |

14 აპრილი

**დეტროიტი 4:0 ლოს ანჯელესი (2:0 0:0 2:0)**
1:0 ფიოდოროვი 3 (2), 2:0 დიუშენი 10 (1), 3:0 კოზლოვი 47 (1), 4:0 კოზლოვი 54 (2)

15 აპრილი

**ლოს ანჯელესი 2:1 დეტროიტი (0:0 1:1 1:0)**
1:0 რობიტალი 29 (2), 1:1 ლიდსტრიომი 39 (1), 2:1 შტუმპელი 54 (1)

| | |
|---|---|
| სან ხოსე | 1 |
| სენტ ლუისი | 2 |

14 აპრილი

**სენტ ლუისი 0:1 სან ხოსე (0:0 0:1 0:0)**
0:1 ტორნტონი 34 (1)

16 აპრილი

**სან ხოსე 3:6 სენტ ლუისი (1:3 1:2 1:1)**
0:1 მელანბი 3 (1), 0:2 ჰეხტი 5 (1), 0:3 სტილმანი 14 (1), 1:3 ტორნტონი 17 (2), 2:4 დრეიკი 27 (1), 2:4 დამფუსი 33 (1), 2:5 ტარჯონი 38 (2), 3:5 გრენატო 44 (1), 3:6 დრეიკი 6:0 (2)

| | |
|---|---|
| ედმონტონი | 1 |
| დალასი | 2 |

14 აპრილი

**დალასი 3:4 ედმონტონი (2:3 0:1 1:0)**
1:0 კინი 1 (1), 1:1 კლიარი 10 (1), 2:1 ნეიდაიკი 12 (1), 2:2 ლარაქი 12 (1), 2:3 რ. მიურეი 19 (1), 2:4 კარტერი 34 (1), 3:4 სიდორი 4:2 (1)

15 აპრილი

**ედმონტონი 2:3 დალასი (0:1 0:0 2:1 0:1)**
0:1 ზუბოვი 4 (1), 0:2 მოდანო 46 (2), 1:2 რ. სმითი 59 (2), 2:2 რ. მიურეი 60 (2), 2:3 ჰოგი 80 (1)

| | |
|---|---|
| ვანკუვერი | 0 |
| კოლორადო | 3 |

14 აპრილი

**კოლორადო 2:1 ვანკუვერი (0:0 0:1 2:0)**
0:1 მორისონი 21 (1), 1:1 ნიემინენი 43 (1), 2:1 ჰეიდუკი 44 (1)

16 აპრილი

**ვანკუვერი 3:4 კოლორადო (1:1 1:1 1:1 0:1)**
1:0 კლეტი 7 (2), 1:1 საკიკი 18 (3), 2:1 დ. სედინი 22 (1), 2:2 დრური 29 (3), 3:2 ბერტუცი 46 (2), 3:3 ფუტი 50 (1), 3:4 ფორსბერგი 63 (1)

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge